დამოუკიდებელი და ზეპარტიული
ასავალ-დასავალი
WWW.ASAVALI.COM
2024 წლის 2 - 8 დეკემბერი
N 50 1568
ფასი 3 ლარი და 90 თეთრი

# პრეზიდენტი ქართველია!



«ნაცმაიდანს ვერ მოგვიწყობენ!»

„ზეპარტიული პრეზიდენტი მიხეილ ყაველაშვილი ერთადერთ პარტიას – სამშობლოს მოემსახურება!“

4-5-6



„ქართული სახელმწიფო დღეს ძლიერია და მყარად დგას ფეხზე!“

8

«ყაველაშვილი ყველაზე კარგი პრეზიდენტი იქნება!»



ევროკავშირის საელჩომ ნაც-ტერორისტს უმასპინძლა!

3

## პრეზიდენტად წოდებული ყვავი

2

პოლიციელებსა და სპეცრაზმელებს არ უნდა დასჩხაოდეს!



**ჯონდი ბაღათურია:**

ოპოზიციად წოდებული ბრბო ვერანაირ „მაიდანს“ ვერ მოაწყობს, რადგან

უმთავრესი რამ — ხალხის მხარდაჭერა არ გააჩნია!

14

**ელიზბარ ჯაველიძე:**

ეს მოღალატე ოპოზიცია პარლამენტში თუ არ შევა, ძალიან გამიხარდება!



10

## საჭიროა, გვახსოვდეს და არასოდეს ვივიწყებდეთ:



# თითქოს დღეს ითქვა!




მავნებელთა შესახებ

სანამ არსებობს კაპიტალისტური გარემოცვა, იარსებებენ მავნებლებიც, დივერსანტებიც, ჯაშუშებიც, მკვლელებიც და ტერორისტებიც, რომლებსაც ჩვენს ზურგში აგზავნიან უცხო სახელმწიფოთა მზვერავი ორგანოები!

15

**ნოდარ ჯავახიშვილი:**



20

იმთავითვე ვიცოდი, რომ ბიძინა ივანიშვილი ახალ რევოლუციას არ დაუშვებდა!

**ნინა მჟავანაძე:**



29

დაე, საქართველოს ყველა მომავალ ხელმძღვანელს ისევე უყვარდეს საქართველო, როგორც მამაჩემს უყვარდა!

# პრეზიდენტად წოდებული ყვავი პოლიციელებსა და სპეცრაზმელებს არ უნდა დასჩხაოდეს!





***პრეზიდენტად წოდებული ყვავი, რომელიც ბოლო 3 წელიწადია, საქართველოს ავბედითად დასჩხავის, გასულ კვირას ორბელიანების სასახლიდან გამოფრინდა, თავისუფლების მოედანზე დაფრინდა და იქ განლაგებულ სპეცრაზმელებს ჩაჩქანით დაფარულ სახეში შესჩხავლა — მიტინგი კი არ უნდა დაშალოთ, არამედ ვალდებული ხართ, სახელმწიფო და მოქალაქეები დაიცვათო!***

— რუსეთის ემსახურებით თუ საქართველოს? ფიცი ვის წინაშე დადეთ? — ასე შესჩხაოდა **პრეზიდენტად წოდებული ყვავი** ქართველ სპეცრაზმელებს, რომლებიც მის ისტერიულ პროვოკაციას ღირსეული თავდაჭერილობითა და დუმილით შეხვდნენ.

— თქვენ პრეზიდენტს არ პასუხობთ? — უმატებდა და უმატებდა ჩხავილს ქართველი სპეცრაზმელების მოთმინებითა და უსიტყვობით კიდევ უფრო გაავებული **ყვავი,** რომელსაც პრეზიდენტის თანამდებობაზე **სულ ოთხიოდე პარასკევი დარჩენია.**

სანამ ორბელიანების სასახლიდან გამოფრინდებოდა და თავისუფლების მოედანზე სპეცრაზმელებს მიაფრინდებოდა, **პრეზიდენტად წოდებულმა ყვავმა** ბრიფინგიდან ქართველ პოლიციელებსაც დაუჩხავლა:

> *„მინდა, მივმართო ნამდვილ პოლიციას, რომელიც ემსახურება სახელმწიფოს — თქვენ სახელმწიფოს გარეშე არაფერი ხართ და თქვენი მოვალეობაა, დაიცვათ არა მონები, არა რუსები და არა უცხოელები, არამედ დაიცვათ მოქალაქეები. ასე რომ, აიღეთ თქვენს ხელში, რაც არის თქვენი გადასაწყვეტი“.*

ესე იგი, **პრეზიდენტად წოდებული ყვავი,** რომელიც, საქართველოს მოქმედი კონსტიტუციის თანახმად, ნეიტრალური არბიტრი, მედიატორი და შემრიგებელი უნდა იყოს, ქვეყნისათვის კრიტიკულ სიტუაციაში ცეცხლზე ნავთის დასხმით არის დაკავებული და პოლიციელებს „ნამდვილებად“ და „არანამდვილებად“ ყოფს, ქართველ ხალხს კი „მონებად“ და „თავისუფალ მოქალაქეებად“ ახარისხებს.

უკეთ რომ ვთქვათ, **პრეზიდენტად წოდებული ყვავი** საშუალო სტატისტიკური ნაცპროვოკატორივით იქცევა!

თუმცა, აქ „ვით“ სრულიად ზედმეტია, რადგან **პრეზიდენტად წოდებული ყვავი** კარგა ხანია, საშუალო სტატისტიკურ **ნაცპროვოკატორად** ჩამოყალიბდა!

ცალკე საკითხია, რომ **პრეზიდენტად წოდებულ ყვავს** არავითარი მორალური უფლება არა აქვს, ქართველ პოლიციელებსა და სპეცრაზმელებს რამისკენ მოუწოდოს!

დიახ, **პრეზიდენტად წოდებულ ყვავს** ქართველი პოლიციელებისა და სპეცრაზმელების დამუნათების კი არა, მათ სიახლოვეს ჩავლისა და მათთვის თვალებში შეხედვის უფლებაც კი არა აქვს მას შემდეგ, რაც შეიწყალა და ციხიდან გამოუშვა **ტერორისტი ლაზარე გრიგორიადისი,** რომელიც ქართ-

## პრეზიდენტად წოდებულ ყვავს არავითარი მორალური უფლება არა აქვს, ქართველ პოლიციელებსა და სპეცრაზმელებს რამისკენ მოუწოდოს მას შემდეგ, რაც მათთვის „მოლოტოვის კოქტეილის“ მსროლელი ტერორისტი ლაზარე გრიგორიადისი შეიწყალა!



მოსამართლე თამაზ ურთმელიძე

პრეზიდენტად წოდებული ყვავი — **სალომე ზურაბიშვილი** პატრიოტ ქართველ პოლიციელებსა და სპეცრაზმელებს სახელმწიფოს ერთგულებასა და სამშობლოს სიყვარულზე ეყრანტალებოდეს, ეს ისეთივე აბსურდი და ნონსენსია, კანონსა და სამართლიანობაზე ისისინონ **საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში** ჩანერგილმა **ყოფილმა ვაი-მოსამართლე თამაზ ურთმელიძემ და მოქმედმა ვაი-მოსამართლე ქეთევან მესხიშვილმა,** რომლებმაც კანონი და სამართალი ქაქის ორმოში დამარხეს, როცა **„ასავალ-დასავალთან“** დავაში გაამართლეს **ყაჩაღ-ბანკირი მამუკა ხაზარაძე,** რომელმაც **ასევე ტექნიკური უნივერსიტეტის,** იმხანად გეპეის სიახლოვეს ჯერ კიდევ 1989 წელს მოუქნია ხელი საქართველოს ეროვნულ გმირს **მერაბ კოსტავას!**



მოსამართლე ქეთევან მესხიშვილი

### კვირგვინოსნები

**ბიძინა ივანიშვილი**
*პარტია „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარე*



**მიხეილ ყაველაშვილი** თავისი ბუნებით, თუ გნებავთ, ჰაბიტუსითაც, **არის ქართველი კაცის საუკეთესო განსახიერება** — დარწმუნებული ვარ, **ის სრულად დაუბრუნებს პრეზიდენტის ინსტიტუტს დროებით წართმეულ ღირსებას.**

„ინტერპრესნიუსი“

**ირაკლი კობახიძე**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*



**არიან ადამიანები,** რომლებიც ამტკიცებენ, რომ, თუ მივიღებთ კანონს არასამთავრობო ორგანიზაციების გამჭვირვალობის შესახებ, **საქართველოში ძაღლს ერქმევა Собака,** ასევე, **არიან ადამიანები,** რომელთაც ჰგონიათ, რომ, თუ ევროკავშირში მოლაპარაკებები გაიხსნება, ხვალ გავიღვიძებთ ბრიუსელში და **ძაღლს ერქმევა Dog** ან რაიმე ამდაგვარი — გარწმუნებთ, ვიზრუნებთ ამ ქვეყანაზე და **ამ ქვეყანაში ძაღლს ერქმევა ძაღლი,** ადამიანს — ადამიანი.

„ინტერპრესნიუსი“

**მამუკა მდინარაძე**
*„ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივანი*



სამშობლოს სიყვარულს და ერთგულებას **დიპლომი არ სჭირდება.** ბევრზე მეტად განათლებულია **დიპლომის გარეშეც მიხეილ ყაველაშვილი.**

„იმედინიუსი“

**კახა კალაძე**
*თბილისის მერი*



რა აჯანყებაზეა საუბარი, **გვარამიას აჯანყება** არ გაიშვა არსად!

„რეზონანსი“



*ევროკავშირი, მისი საელჩო საქართველოში და პირადად ელჩი პაველ ჰერჩინსკი ნაბიჯ-ნაბიჯ და მიზანმიმართულად მიექანებოდნენ იმ პოლიტიკური და მორალური ფსკერისკენ, რომელშიც გასულ კვირას საბოლოოდ ამოყვეს თავი.*

# ევროკავშირის საელჩომ ნაცტერორისტს უმასპინძლა!

ველ პოლიციელებსა და სპეცრაზმელებს „მოლოტოვის კოქტეილს“ ესროდა და ცოცხლად დაწვას უპირებდა.

გასული წლის ნოემბერში, როცა ინტენსიურად ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ **პრეზიდენტად წოდებული ყვავი** პოლიციელებისათვის ბენზინის ბომბების მსროლელი ნაცტერორისტის შეწყალებას აპირებდა, ძალადობრივ საპროტესტო აქციაზე დაშავებულმა პოლიციელებმა **სალომე ზურაბიშვილს** საგანგებო წერილით სთხოვეს, არ შეეწყალებინა **ლაზარე გრიგორიადისი,** რადგან ეს საზოგადოებაში გააჩენდა განცდას, რომ სამართალდამცავებზე თავდასხმა დაუსჯელი რჩება.

მიუხედავად ამისა, **პრეზიდენტად წოდებულმა ყვავმა** ქართველი პოლიციელების თხოვნას ყური არ ათხოვა და მათთვის „მოლოტოვის კოქტეილის“ მსროლელი ნაცტერორისტი პატიმრობიდან გაათავისუფლა, რითიც სამართალდამცავებზე ყველა შემდგომი თავდასხმა და ძალადობა წაახალისა. მეტიც,

**პრეზიდენტად წოდებულმა ყვავმა ნაცტერორისტი გრიგორიადისის შეწყალებით პირდაპირი მწვანე შუქი აუნთო კოლექტიურ ლაზარეებს – მიდით, ესროლეთ ქართველ პოლიციელებს ბენზინის ბომბები, თამამად ჩაიდინეთ დანაშაული საპროტესტო აქციებზე წესრიგის დამცველთა წინააღმდეგ და კანონის წინაშე პასუხისგების ნუ**

## შეგეშინდებათ, მე აგერ ვარ და შეგიწყალებთო!

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ დღეებში რუსთაველის გამზირზე გამართულ ძალადობრივ აქციებზე ათეულობით პოლიციელის დაშავება **პრეზიდენტად წოდებული ყვავის** კისერზეა, რადგან სწორედ მის მიერ **ნაცტერორისტი ლაზარეს** შეწყალებით არიან შეგულიანებული ის **კოლექტიური ლაზარეები,** რომლებიც ახლა სამართალდამცველებსა და სპეცრაზმელებს ქვებს, შუშის ბოთლებსა და რკინის ნატეხებს ესვრიან.

ყოველივე ამის ფონზე, **პრეზიდენტად წოდებულ ყვავს** უტიფრობა ჰყოფნის, რომ ქართველ პოლიციელებსა და სპეცრაზმელებს სახეში შეჩხავლება გაუბედოს და ნოტაციები წაუკითხოს!

საერთოდ, **პრეზიდენტად წოდებული ყვავი — სალომე ზურაბიშვილი** პატრიოტ ქართველ პოლიციელებსა და სპეცრაზმელებს სახელმწიფოს ერთგულებასა და სამშობლოს სიყვარულზე ეყრანტალებოდეს, ეს ისეთივე აბსურდი და ნონსენსია, კანონსა და სამართლიანობაზე ისისინონ **საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში** ჩანერგილმა **ყოფილმა ვაი-მოსამართლე თამაზ ურთმელიძემ და მოქმედმა ვაი-მოსამართლე ქეთევან მესხიშვილმა,** რომლებმაც კანონი და სამართალი ქაქის ორმოში დამარხეს, როცა „ასავალ-დასავალთან“ დავაში გაამართლეს **ყაჩაღ-ბანკირი მამუკა ხაზარაძე,** რომელმაც ასევე ტექნიკური უნივერსიტეტის, იმხანად გეპეის სიახლოვეს ჯერ კიდევ 1989 წელს მოუქნია ხელი საქართველოს ეროვნულ გმირს მერაბ კოსტავას!

კიდევ კარგი, **პრეზიდენტად წოდებულ ყვავს** თანამდებობაზე ყოფნის ოთხი პარასკევიღა დარჩენია და **ცოტა ხანში მისი ავბედითი ჩხავილი საქართველოს ყურთასმენას ვეღარ წაიღებს!**

ოთხი პარასკევიც და **პრეზიდენტად წოდებული ყვავი** იქით გაფრინდება, საიდანაც საქართველოში არასოდეს არ უნდა მოფრენილიყო!

**ჯაბა ხუბუა**

კი, ქართველი ხალხის გადამწყვეტი უმრავლესობის თვალში ევროკავშირის პოლიტიკურმა და მორალურმა დეგრადაციამ, თანამედროვე ევროპული პოლიტელიტის ხრწნილებამ და ორსახოვნობამ დასრულებული და ჩამოყალიბებული სახე მიიღო 2024 წლის 28 ნოემბერს, როცა ევროკავშირის საელჩოში აუდიენციაზე მიიპატიჟეს **ნაცტერორისტი დავით კირთაძე,** რომელმაც ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე **გიორგი კალანდარიშვილს** სახეში შავი საღებავი შეასხა.

საქართველოში ევროკავშირის საელჩოსა და **ელჩ ჰერჩინსკის,** რომლებიც ნაცლიბერალური სექტის მხარდასაჭერი და შესაგულიანებელი განცხადებების გაკეთებას არასოდეს აგვიანებენ, **ნაცტერორისტი კირთაძის** მიერ ცესკოს თავმჯდომარისათვის სახეში საღებავის შესხმა, წესით, ცალყბად მაინც უნდა დაეგმოთ და ეთქვათ, რომ მსგავსი ძალადობა მიუღებელია, თუმცა, არათუ ეს არ გააკეთეს, პირიქით, ყველაზე არაევროპული, არადემოკრატიული, უღირსი და ლაჩრული საქციელის ჩამდენი **ნაცტერორისტი** თავიანთ კედლებში პატივით მიიღეს.

პირდაპირ შეიძლება ითქვას — ცესკო-ს თავმჯდომარისათვის სახეში საღებავის შემსხმელი **ნაცტერორისტი კირთაძის** ევროკავშირის საელჩოში მიწვევა ზუსტად ისეთივე სახიფათო პრეცედენტია, როგორიც პოლიციელებისათვის „მოლოტოვის კოქტეილის“ მსროლელი **ნაცტერორისტი ლაზარე გრიგორიადისის** შეწყალება პრეზიდენტად წოდებული **სალომე ზურაბიშვილის** მიერ!

ძალადობრივი საპროტესტო აქციის მონაწილეთა ერთი ჯგუფის ექსტრემისტული ქმედებები, ვანდალიზმი და პოლიციელებისათვის ქვებისა და ასაფეთქებელი პიროტექნიკის სროლა, რასაც საზოგადოება ბოლო დღეების განმავლობაში ადევნებს თვალს, სწორედ იმის შედეგი და პირდაპირი გამოძახილია, რომ **ე.წ. პრეზიდენტმა ზურაბიშვილმა** პოლიციელებისათვის ბენზინის ბომბების მსროლელი **ნაცტერორისტი ლაზარე** შეიწყალა.



ევროკავშირის ელჩი პაველ ჰერჩინსკი

შესაბამისად, სრულიად რეალურია საფრთხე რომ, ევროკავშირის საელჩოში **ნაცტერორისტი დავით კირთაძის** მიპატიჟება და მასპინძლობაც ანალოგიურ შედეგს გამოიღებს და ინტენსიურ ხასიათს შეიძენს, რადგან თავგაცხელებული ნაცაქტივისტები ხედავენ, რომ ოპონენტისათვის სახეში საღებავის შესხმასა და მისი ჯანმრთელობის განზრახ დაზიანებას ევროპელი დიპლომატები არათუ არ გმობენ, არამედ ასეთი დანაშაულის ჩამდენს საელჩოში სტუმრად იწვევენ.

შეუძლებელია, ევროკავშირის საელჩო და **ელჩი ჰერჩინსკი** ამას ვერ აცნობიერებდნენ!

წარმოუდგენელია, ვერ ხვდებოდნენ, რომ ცესკო-ს თავმჯდომარისათვის სახეში საღებავის შემსხმელის საელჩოში მიპატიჟება დივერსანტობისა და ექსტრემისტობის წახალისებას ნიშნავს!

**მაშ, რატომ იქცევიან ასე ევროკავშირის საელჩო და ელჩი ჰერჩინსკი?**

ვფიქრობთ, პასუხი მარტივია — **ევროკავშირის საელჩო და პირადად ელჩი ჰერჩინსკი** პირდაპირ არიან დაინტერესებული, რომ საქართველოში უმართავი პროცესები დაიწყოს, ოპოზიციური პროტესტის მაქსიმალური რადიკალიზაცია მოხდეს და ყველაფერი დამთავრდეს იმით, რამაც უკრაინა ომის კატასტროფამდე მიიყვანა — ე.წ. ევრომაიდნითა და ხელისუფლების დამხობით!



ნაცტერორისტი დავით კირთაძე ევროკავშირის საელჩოში

მოკლედ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში **ევროკავშირის საელჩო და პირადად ელჩი პაველ ჰერჩინსკი** დღეს თბილისის მთავარ გამზირზე მიმდინარე ძალადობრივი და ექსტრემისტული პროტესტის მთავარი ინსპირატორები და წამხალისებლები არიან!

ევროკავშირის საელჩოში **ნაცტერორისტი კირთაძის** მიპატიჟებაც სწორედ ამის დემონსტრირება გახლდათ!

ეს იყო პირდაპირი გზავნილი, რომ ნაცებსა და მათ ექსტრემისტ აქტივისტებს შეუძლიათ, **ნაცტერორისტი კირთაძის** მსგავსად მოიქცნენ ყველგან, სადაც კი ამის საშუალება მიეცემათ!

თუმცა, **ევროკავშირის საელჩო და ელჩი ჰერჩინსკი** აშკარად ვერ აცნობიერებენ ერთ ძალიან მნიშვნელოვან რამეს — **ძალადობის წახალისებას ყოველთვის ბუმერანგის ეფექტი აქვს და შეუძლებელია, თავად ძალადობის წამხალისებელს არ მიუბრუნდეს!**

ამდენად, სულაც არ არის გამორიცხული, რომ ძალადობისა და ექსტრემიზმის წამახალისებელ ევროკავშირის **ელჩ ჰერჩინსკის** ერთ დღესაც ისე მოექცნენ, როგორც მის მიერ საელჩოში მიპატიჟებული **ნაცტერორისტი კირთაძე** მოექცა **ცესკო-ის თავმჯდომარე კალანდარიშვილს!**

ასე რომ, **სულაც არ იქნება გასაკვირი, ევროკავშირის ელჩი ჰერჩინსკი ერთ დღესაც შავად თუ არა, ევროკავშირის დროშის ფერში სახეშეღებილი ვიხილოთ!**

ცხადია, ამის გაკეთებისაკენ არავის მოვუწოდებთ და მსგავს ქმედებას, ვის მიერ და ვის მიმართაც არ უნდა იქნას ჩადენილი, ცალსახად ვგმობთ, მაგრამ არ გაგვიკვირდება, რომ **ნაცტერორისტი კირთაძის** საელჩოში მიმპატიჟებელმა **ჰერჩინსკიმ** საკუთარ თავზე თუ საკუთარ სახეზე იწვნიოს მის მიერ ძალადობის წახალისების შედეგი.

**ეს თავად ელჩ ჰერჩინსკისაც არ უნდა გაუკვირდეს!**

**ჯაბა ხუბუა**

## კვირგვინოსნები

**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*



**მინდა, თქვენს წინაშე პირობა დავდო:** საქართველოს პარლამენტი მოუსმენს ყველას, მაგრამ **იმოქმედებს მხოლოდ ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესების შესაბამისად.**

„ინტერპრესნიუსი“

**გიგლა ბარამიძე**
*[illegible], პოლიტიკოსი*



როდესაც **სულით-ხორცამდე ქართველი კაცი მიხეილ ყაველაშვილი** მისი სათაყვანებელი ქვეყნის **პრეზიდენტ-მთავარსარდალი** გახდება, უპირველესად, **სალომე ზურაბიშვილის მიერ საჭინკეთად ქცეული სასახლის** დიადი მართლმადიდებლური კურთხევა უნდა განახორციელოს!

**ანრი ოხანაშვილი**
*იუსტიციის მინისტრი*



ვამაყობ, რომ ვარ „ქართული ოცნების“ გუნდის წევრი და **ვიმუშავებ იმ ადამიანებთან ერთად, რომლებიც არიან პროფესიონალები, უყვართ სამშობლო** და ზრუნავენ ჩვენი ქვეყნის ინტერესების დაცვაზე.

„იმედინიუსი“

**მიხეილ ყაველაშვილი**
*პრეზიდენტობის კანდიდატი*



ჩვენი **არაკეთილმოსურნე „მეგობრები“** ხელს უწყობენ, რომ ქვეყანაში რადიკალიზაცია და პოლარიზაცია გამძაფრდეს. **ჩემი მისია იქნება, რომ პრეზიდენტის ინსტიტუტი კონსტიტუციურ ჩარჩოში დავაბრუნოთ!**

„ინტერპრესნიუსი“

*„ქართულმა ოცნებამ“ საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატად საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და არაერთი ევროპული კლუბის ყოფილი ფეხბურთელი, ზედიზედ სამი მოწვევის პარლამენტის წევრი, პარტია „ხალხის ძალის“ პოლიტიკური მდივანი მიხეილ ყაველაშვილი დაასახელა. უკვე ცნობილია ისიც, რომ ახალ პრეზიდენტს 300 ე.წ. ხმოსნისგან შემდგარი საარჩევნო კოლეგია 2024 წლის 14 დეკემბერს აირჩევს, ინაუგურაცია კი 29 დეკემბერს არის დაგეგმილი. იმ ფონზე, როცა მიხეილ ყაველაშვილის საპრეზიდენტო კანდიდატად დასახელება თავად „ქართული ოცნების“ მომხრეებისთვისაც კი დიდი მოულოდნელობა აღმოჩნდა, ხოლო რადიკალური ნაცოპოზიციის ფლანგზე ნამდვილი პოლიტიკური ისტერიის საგანი გახდა, საპარლამენტო უმრავლესობის წევრსა და პარტია „ხალხის ძალის“ თავმჯდომარეს სოზარ სუბარს ვესაუბრებით:*



# სოზარ სუბარი:

# შემიძლია, თავი დავდო, რომ მიხეილ ყაველაშვილისაგან აბსოლუტურად გამორიცხულია ის, რაც მარგველაშვილისა და ზურაბიშვილის შემთხვევაში დაგვემართა!

— მიხეილ ყაველაშვილი არის პატრიოტი და წესიერი ადამიანი, ეს კი ის ორი მთავარი თვისებაა, რომელიც კარგ პრეზიდენტს აუცილებლად უნდა ჰქონდეს. იგი ბოლო 8 წლის განმავლობაში საქართველოს პარლამენტის წევრი იყო და ძალიან კარგი პოლიტიკური გამოცდილება დააგროვა, თუმცა, ქართულ პოლიტიკაში ბევრად უფრო ადრე — ჯერ კიდევ 18 წლის წინათ იყო ჩართული, როცა შვეიცარიაში ცხოვრობდა და საფეხბურთო გუნდს წვრთნიდა. მაშინ საქართველოს სახალხო დამცველი გახლდით და მიხეილ ყაველაშვილს პირადად არც ვიცნობდი, მაგრამ ინტენსიურად მირეკავდა და თავის გულისტკივილსა და მოსაზრებებს მიზიარებდა იმ უბედურებასთან დაკავშირებით, რაც სააკაშვილის მმართველობის პერიოდში ჩვენს ქვეყანაში ტრიალებდა.

**— ჩვენი მხრივ, შეგვიძლია, დავადასტუროთ, რომ მიხეილ ყაველაშვილი სააკაშვილის რეჟიმთან ღიად დაპირისპირებასაც არასოდეს მორიდებია და იმ უმძიმეს წლებში თუნდაც ჩვენი გაზეთისათვის არაერთი მწვავე ინტერვიუ მოუცია!**

— დიახ, მიხეილ ყაველაშვილი თავისი ცხოვრების ყველა ეტაპზე წინა ხაზზე იდგა და სამშობლოსათვის ბრძოლის ერთ-ერთი მებაირახტრე იყო მაშინ, როცა შეეძლო, ევროპაში მშვიდად ეცხოვრა და თავისი საქმე ეკეთებინა. ხუმრობით ვამბობ ხოლმე, თუმცა, ამაში სიმართლის დიდი წილი დევს — **მიხეილ ყაველაშვილი საფეხბურთო მოედანზე თავდამსხმელი იყო, მუდმივად გარღვევაზე მიდიოდა და პოლიტიკაშიც ზუსტად ასეთ ხასიათს ავლენს.** მოკლედ, ყველა თვისება აქვს იმისათვის, რომ იდეალური პრეზიდენტი იყოს.

**— თუმცა, თქვენი ხელისუფლების ოპონენტები მიხეილ ყაველაშვილის განათლების ცენზზე აპელირებენ — არ შეიძლება, საქართველოს უდიპლომო პრეზიდენტი ჰყავდესო! ამასთან დაკავშირებით რას იტყვით?**

— სრულიად ბუნებრივია, რომ **მიხეილ ყაველაშვილმა პროფესიონალი ფეხბურთელობის პერიოდში ფორმალური განათლებისათვის ვერ მოიცალა. არადა, მაშინ ისეთი დრო იყო, თუ მოინდომებდი, დიპლომს ისე აიღებდი, რომ უნივერსიტეტში სიარული არც დაგჭირდებოდა.**

მოგეხსენებათ, როგორც ხდებოდა — ქრთამი, ნაცნობობა, ჩაწყობა... მით უფრო, ცნობილ და წარმატებულ ფეხბურთელს სხვაზე მარტივად შეეძლო ამის გაკეთება, მაგრამ **მიხეილ ყაველაშვილს** არც კი უცდია, ამ გზით წასულიყო, რადგან ეს არ არის მისი სტილი და ცხოვრების წესი.

საერთოდ, საქართველოს კანონმდებლობით, არც პარლამენტის წევრს და არც პრეზიდენტს დიპლომის ქონა არ მოეთხოვება, ხოლო ინტელექტუალურად რამდენად ფართო გაქანება აქვს **მიხეილ ყაველაშვილს,** ეს მან პარლამენტში დაამტკიცა, სადაც კომიტეტის თავმჯდომარე იყო და ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი ძალიან ბევრი პროექტის განხორციელებაში მიიღო მონაწილეობა.

ისე, თუ ოპონენტებს მაინცდამაინც უდიპლომო პრეზიდენტების ჩამონათვალი აინტერესებთ, შეუძლიათ, ამერიკის ისტორიას გადახედონ და ნახავენ, რომ შეერთებული შტატების ათამდე პრეზიდენტი უდიპლომო იყო, მათ შორის, დიპლომი არ ჰქონდათ აშშ-ის ისეთ ლეგენდარულ პრეზიდენტებს, როგორებიც **ჯორჯ ვაშინგტონი და აბრაამ ლინკოლნი** იყვნენ.





**„შეერთებული შტატების ათამდე პრეზიდენტი უდიპლომო იყო, მათ შორის, დიპლომი არ ჰქონდათ აშშ-ის ისეთ ლეგენდარულ პრეზიდენტებს, როგორებიც ჯორჯ ვაშინგტონი და აბრაამ ლინკოლნი იყვნენ!“**

მოკლედ, ჩვენი ოპონენტები ტყუილად ეძებენ სკანდალს იქ, სადაც ამის არანაირი საფუძველი არ არსებობს.

**— საინტერესოა, „ქართული ოცნების“ გუნდში მიხეილ ყაველაშვილის გარდა პრეზიდენტობის სხვა კანდიდატებიც თუ განიხილებოდნენ?**

— თავისთავად ვინ რას ფიქრობდა და გულში ვის რა ედო, არ ვიცი, მაგრამ განხილული იქნა მხოლოდ ერთი — **მიხეილ ყაველაშვილის** კანდიდატურა, რომელსაც მთელმა გუნდმა ერთხმად, დიდი მოწონებითა და დიდი სიყვარულით დაუჭირა მხარი.

**— მიხეილ ყაველაშვილის საპრეზიდენტო კანდიდატად წარდგენისას ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ იგი იქნება ზეპარტიული პრეზიდენტი, რომელიც ამ ინსტიტუტს კონსტიტუციის ჩარჩოებში დააბრუნებს! თუმცა, რამდენად შეძლებს ყაველაშვილი ზეპარტიულობას, როცა ჯერ პარტია „ქართული ოცნების“ წევრი იყო, შემდეგ კი — პარტია „ხალხის ძალის“ პოლიტიკური მდივანი?**

— ნებისმიერი პარტია თუ პოლიტიკური ჯგუფი ყველა წესიერ ადამიანს ერთადერთი მიზნისათვის სჭირდება — ემსახუროს სამშობლოს! უკეთ რომ ვთქვათ, **სამშობლო არის ერთადერთი პარტია, რომელსაც ყველა პატრიოტი ადამიანი უნდა ემსახუროს და მიხეილ ყაველაშვილიც სწორედ ასეთი კაცია.** იგი ნამდვილად ზეპარტიული პრეზიდენტი იქნება და ერთადერთ პარტიას — სამშობლოს მოემსახურება!

**— ასეთივე მოლოდინები არსებობდა წინა ორ პრეზიდენტთან — გიორგი მარგველაშვილთან და სალომე ზურაბიშვილთან დაკავშირებითაც, მაგრამ მათი გაპრეზიდენტება „ქართულ ოცნებასაც“ და ქართველ ხალხსაც თავში სახლელი გაუხდა! დარწმუნებული ხართ, რომ მიხეილ ყაველაშვილთან დაკავშირებითაც იგივე არ მოხდება?**

— შემიძლია, თავი დავდო, რომ **მიხეილ ყაველაშვილისაგან** აბსოლუტურად გამორიცხულია ის, რაც **მარგველაშვილისა და ზურაბიშვილის** შემთხვევაში დაგვემართა!

მარგველაშვილის პრეზიდენტობის კანდიდატად დასახელება თავიდანვე შეცდომა იყო, თუმცა, პირადად მეც და ჩვენი გუნდის წევრებიც მაშინ ვერ წარმოვიდგენდით, რომ შეცდომას ვუშვებდით. ერთადერთი საკითხი, რაზეც **მარგველაშვილთან** ხშირად მისაუბრია და ცხარედაც მიკამათია, ეს იყო მისი მეგობრული ურთიერთობები ნაციონალური მოძრაობის ზოგიერთ წევრთან. იგი ამბობდა, რომ მეგობრობა მეგობრობაა და პოლიტიკა პოლიტიკა, მე კი ვეუბნებოდი, რომ ეს ნორმალურ ვითარებაშია ასე, მაგრამ, როცა ადამიანი ანტიქართულ ძალას და უსამშობლოთა სექტას წარმოადგენს, როგორ შეიძლება მასთან ახლო ურთიერთობა გქონდეს? შენი ქვეყნის მტერთან და უცხო ქვეყნის აგენტთან როგორ უნდა იმეგობრო?

**— რაც შეეხება სალომე ზუ-**

## კვირგვინოსნები

**ვლადიმერ პუტინი**
*რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი*



ოფიციალურ დონეზე ჩვენ არ ვერევით შიდაპოლიტიკურ პროცესებში, საერთოდ, არ ვეჩრებით და არც ვეხებით, უბრალოდ, არ ვეხებით... როდესაც **საქართველოში** მოვლენები დაიწყო, მე, სიმართლე გითხრათ, გაოცებული ვუყურებდი ამ ყველაფერს და ვაკვირდებოდი. მე გაოცება მიპყრობს. **ჩვენ არ გვაქვს მათთან ურთიერთობები, საერთოდ, არავითარი ურთიერთობები საქართველოს დღევანდელ ხელმძღვანელობასთან. მე, უბრალოდ, მაოცებდა მათი გმირობა და ხასიათის სიმტკიცე, რომელიც გამოავლინეს, რათა დაეცვათ თავიანთი თვალსაზრისი.**

**არჩილ ხიდირბეგიშვილი**
*„საქინფორმის“ მთავარი რედაქტორი*



დღესვე დაილუქოს **ლუგარის ლაბორატორია,** დაკავებულ იქნან **გამყრელიძე** და ამ ლაბორატორიის 200 თანამშრომელი, **რომლებიც ფლობენ ბაქტერიოლოგიურ იარაღს და დაუფარავად გამოდიან სახელმწიფოს წინააღმდეგ.**

**გურამ მაჭავარიანი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



**მიხეილ ყაველაშვილი გამოირჩევა იმით, რომ ის არის პრინციპული ადამიანი, სამშობლოზე შეყვარებული.** მას რომ ბეგრაუდი და პოლიტიკური გამოცდილება გააჩნია, მათ შორის, უცხოელებთან ურთიერთობის, ასევე უცხოელებთან სამშობლოს დაცვის, სალომე ზურაბიშვილს და მარგველაშვილს ჯიბეში ჩაისვამს. **ოპოზიციას კი შოკი დიდხანს ექნება, ისედაც დაშოკილები იყვნენ!**

„ინტერპრესნიუსი“

**გიორგი კალანდარიშვილი**
*ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე*



როდესაც საუბარია გაყალბებაზე, **ეს არის ძალიან მძიმე ბრალდება** — როდესაც ისმის ბრალდებები, **ამ ბრალდებებს უნდა ჰქონდეს შესაბამისი მტკიცებულება და ფაქტები.**

„ინტერპრესნიუსი“

რაბიშვილს?

— **ზურაბიშვილის** უარყოფითი პიროვნული თვისებებისა და უხიაგი ხასიათის შესახებ თავიდანვე ვიცოდით, თუმცა, მის ბიოგრაფიაში იყო ბევრი ისეთი ფაქტორი, რამაც უარყოფითი მხარეები თითქოს გადაწონა. მაგალითად, ვფიქრობდით, რომ **ზურაბიშვილის,** როგორც პირველი ქართული ემიგრაციის შთამომავლის გაპრეზიდენტება ერთგვარი სიმბოლური ხიდი იქნებოდა საქართველოს პირველ დამოუკიდებელ რესპუბლიკასა და დღევანდელობას შორის, მაგრამ, სამწუხაროდ, ძალიან მალე შეძლეს მისი ანტიქართულ პლატფორმაზე გადაბირება. ან შესაძლოა, არც არავის გადაუბირებია და როგორც კი პოლიტიკური კარიერის პიკს მიაღწია, აღარ ჩათვალა საჭიროდ, თავისი რეალური სახე დაემალა. **აღმოჩნდა, სალომე ზურაბიშვილის სამშობლო სხვაგან არის და ამიტომაც ვერ შედგა საქართველოს პრეზიდენტად!** იგი საქართველოს ისტორიაში შევა, როგორც მოღალატე და გამყიდველი, რომელიც ყოველ ჯერზე ცინიკურად არღვევდა საქართველოს კონსტიტუციასა და ქართული სახელმწიფოს ინტერესებს!

**— სხვათაშორის, სალომე ზურაბიშვილი აცხადებს, რომ დღეს საქართველოში ერთადერთი ლეგიტიმური ხელისუფალია და ვადის ამოწურვის შემდეგაც არ აპირებს საპრეზიდენტო რეზიდენციის დატოვებას! რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ იგი მართლაც გაჯიქდა და რეზიდენციიდან თავისი ნებით არ გამოვიდა?**

— **სალომე ზურაბიშვილი** საქართველოს ისტორიაში ყველაზე ნაკლები ლეგიტიმაციის მქონე პრეზიდენტია! ნაცმოძრაობის კანდიდატთან არჩევნების პირველი ტური წააგო და მხოლოდ მას შემდეგ გახდა პრეზიდენტი, რაც საარჩევნო ბილბორდებზე მისი გამოსახულება „ქართული ოცნების“ ლიდერთა გამოსახულებებით იქნა ჩანაცვლებული. რაც მთავარია, „ქართულ ოცნებას“ არჩევნების მეორე ტურისთვის საკუთარი მომხრეების სრული მობილიზაცია რომ არ მოეხდინა, **ზურაბიშვილი** პრეზიდენტი ვერ გახდებოდა.

გარდა ამისა, **სალომე ზურაბიშვილი** არალეგიტიმური პრეზიდენტია მას შემდეგ, რაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დაადასტურა, რომ მან კონსტიტუცია არაერთგზის უხეშად დაარღვია. როცა პრეზიდენტად წოდებული ადამიანისთვის სახელმძღვანელოს საქართველოს კონსტიტუცია და ქართული სახელმწიფოს ინტერესები კი არა, უცხო ქვეყნების დირექტივები წარმოადგენს, მას ქართველი ხალხის ლეგიტიმაცია ვერანაირად ვერ ექნება.

რაც შეეხება ვადის ამოწურვის შემდეგ საპრეზიდენტო რეზიდენციის არდატოვებას, თუ ზურაბიშვილი და მისი მოკავშირე რადიკალები მსგავს რამეს გადაწყვეტენ, კანონის წინაშე აგებენ პასუხს და ქართულ სახელმწიფოს კანონის აღსრულება რომ შეუძლია, ეს არაერთხელ დავამტკიცეთ.



მიხეილ ყაველაშვილის წარდგენა საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატად. 2024 წლის 27 ნოემბერი

# „მიხეილ ყაველაშვილი ნამდვილად ზეპარტიული პრეზიდენტი იქნება და ერთადერთ პარტიას – სამშობლოს მოემსახურება!“



**— თქვენ, მიხეილ ყაველაშვილი და დიმიტრი ხუნდაძე სახელისუფლო გუნდში „პირველი მერცხლები“ იყავით, რომლებმაც ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთის ღია კრიტიკა დაიწყეთ და საერთაშორისო პარტნიორებს, საქართველოს ხელისუფლება მანამდე მოწიწებით რომ ესაუბრებოდა, ენის შებრუნება გაუბედეთ. როგორ ფიქრობთ, ეს ფაქტორი მიხეილ ყაველაშვილს პრეზიდენტის რანგში საერთაშორისო პარტნიორებთან ურთიერთობაში ხელს არ შეუშლის?**

— მას შემდეგ, რაც საქართველოს პირველ პრეზიდენტს **ზვიად გამსახურდიას** აშშ-ის პრეზიდენტმა **ჯორჯ ბუშ უფროსმა** უთხრა — დინების საწინააღმდეგოდ მიცურავო, საქართველოში დამკვიდრებული იყო დოგმა, რომ დასავლეთზე ცუდის თქმა არ შეიძლება, რადგან ის არის წმინდა ადგილი, საიდანაც მხოლოდ სიმართლე ისმის და უპირობოდ უნდა დაემორჩილო... **ჩვენ ეს დოგმა რომ არ დაგვერღვია, დღეს საქართველო, როგორც სახელმწიფო, აღარ იარსებებდა, რადგან ვერ გაუძლებდა იმ შემოტევებს, რაც ბოლო 3 წლის განმავლობაში ჩვენ მიმართ ხორციელდება.** ამიტომაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო ის ნაბიჯი, რაც **მე, მიხეილ ყაველაშვილმა და დიმიტრი ხუნდაძემ** გადავდგით და დიდი ძალისხმევით შევძელით, დასავლეთის წმინდანობის სტერეოტიპი დაგვემსხვრია. შედეგად, 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებში ქართველმა ხალხმა კიდევ ერთხელ მკაფიოდ თქვა, რომ მთავარია არა ის, თუ რას ამბობს რომელიმე ამერიკელი თუ ევროპელი პოლიტიკოსი, არამედ მთავარია საქართველოს სუვერენიტეტი, მთავარია ქართული სახელმწიფო და მთავარია ქართველობა.

ვინც საქართველოსა და ქართველი ხალხის ამ ღირსებას ხედავს და აფასებს, ყველასთვის პატივი იქნება ამაყი ქვეყნის ამაყ პრეზიდენტთან — **მიხეილ ყაველაშვილთან** ურთიერთობა, ხოლო, თუ რომელიმე უცხოელი ლიდერი **ჟოზეფ ბორელის** მსგავსად ფიქრობს, რომ ქართველებს ისე უნდა ელაპარაკოს, როგორც ჯუნგლების მცხოვრებლებს, პრეზიდენტ **მიხეილ ყაველაშვილთან** პირველი კომუნიკაციისთანავე მიხვდებიან, ვისთან აქვს საქმე და დარწმუნდებიან, რომ ისე უნდა ელაპარაკონ, როგორც თანასწორ პარტნიორს!

**— თუმცა, სანამ მიხეილ ყაველაშვილის პრეზიდენტად არჩევა მოხდება, ვხედავთ, რომ სერიოზული პოლიტიკური დაძაბულობისა და ექსტრემისტული პროტესტის საგნად იქცა ხელისუფლების გადაწყვეტილება ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებების 2028 წლამდე გადაწევის შესახებ... რამდენად მართებული იყო ეს გადაწყვეტილება და რამდენად სწორ დროს იქნა**

## „სალომე ზურაბიშვილის სამშობლო სხვაგან არის და ამიტომაც ვერ შედგა საქართველოს პრეზიდენტად! იგი საქართველოს ისტორიაში შევა როგორც მოღალატე და გამყიდველი!“

გაგრძელება მე-6 გვერდზე

### კვირგვინოსნები

**ნინო ფოჩხუა**
*ექსპერტი*



2025 წლიდან საქართველოს ეყოლება **ნამდვილი პატრიოტი, თავის ქვეყანაზე შეყვარებული, მებრძოლი და პრინციპული პრეზიდენტი მიხეილ ყაველაშვილი,** რომელიც, გამორიცხულია, მიეყიდოს უცხო ძალებს ან უღალატოს თავის ქვეყანას.

„იმედინიუსი“

**თამარ ჩიბურდანიძე**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



წარმოუდგენია, როგორი სიამაყით და ღირსებით წარადგენს საქართველოს **მიხეილ ყაველაშვილი** საერთაშორისო არენაზე. როგორც იქნა, გვეღირსა, **სულით და გულით ქართველი კაცისთვის** პრეზიდენტი გვეწოდებინა.

„იმედინიუსი“

**გიორგი ჩაკვეტაძე**
*პარლამენტარი*



გვაქვს მიზანი, 2030-სთვის **საქართველო ყველაზე მეტად იყოს მზად ევროპული გაერთიანების სრულფასოვანი წევრობისთვის.**

„ინტერპრესნიუსი“

**რამაზ საყვარელიძე**
*პოლიტოლოგი*



**მიხეილ ყაველაშვილის მხრიდან ღალატი გამორიცხულია,** რასაც იტყვის, იმას ასრულებს.

„ინტერპრესნიუსი“

# „ქართული სახელმწიფო დღეს ძლიერია და მყარად დგას ფეხზე!“






„მიხეილ ყაველაშვილს ყველა თვისება აქვს იმისათვის, რომ იდეალური პრეზიდენტი იყოს!“

## სოზარ სუბარი: ნაცმაიდანს ვერ მოგვიწყობენ და უკრაინის ბედს ვერ გაგვაზიარებენ!

*დასაწყისი მე-4 გვერდზე*

**გახმიანებული?**

— საკითხი დგას ძალიან მარტივად: თავად ევროკავშირს ოფიციალურად აქვს გაცხადებული, რომ 2030 წლამდე არ გაფართოვდება და არცერთ ახალ წევრს არ მიიღებს! შესაბამისად, როგორც გასულ წელს კანდიდატის სტატუსის თემას იყენებდნენ საქართველოში სიტუაციის ასარევად და სახელმწიფო გადატრიალების მოსამწიფებლად, ანალოგიურ ინსტრუმენტად განიხილავდნენ გაწევრიანებაზე მოლაპარაკების გახსნის საკითხსაც... ჯერ მიმდინარე წლის დეკემბერში გვეტყოდნენ უარს მოლაპარაკების გახსნაზე, მერე — მომავალი წლის ივლისში და ყოველ ჯერზე მოხდებოდა ის, რასაც ამ დღეების განმავლობაში ვხედავთ თბილისში, რუსთაველის გამზირზე. შესაბამისად, მივიღეთ გადაწყვეტილება, ეს შანტაჟისა და დესტაბილიზაციის ინსტრუმენტი ხელიდან გამოგვეგლიჯა მათთვის, ვინც საქართველოს არევისა და უკრაინიზაციის ოცნებას არა და არ წყვეტს.

ევროინტეგრაციისაკენ ჩვენი გზა უცვლელია, მაგრამ გაწევრიანებაზე მოლაპარაკებას ახლა დავიწყებთ თუ 4 წლის შემდეგ, ამით არაფერი იცვლება. ჩვენ ვიცით, რა არის გასაკეთებელი და 2028 წლის ბოლოს ვალდებულებების 80 პროცენტზე მეტი შესრულებული გვექნება, მაგრამ, თუ მანამდე გადაწყვეტენ, რომ მოლაპარაკებები გაგვიხსნან, კი ბატონო, მზად ვართ, დღესვე მოვაწეროთ ხელი შესაბამის დოკუმენტს.

რაც შეეხება საპროტესტო გამოსვლებს, **საქართველოს მიტინგების მეტი რა უნახავს, დემოკრატიული ქვეყანა ვართ და ყველას აქვს უფლება, თავისი პროტესტი გამოხატოს, მაგრამ, ვინც კანონის ფარგლებს გასცდება, კანონის წინაშევე აგებს პასუხს.** ქართული სახელმწიფო დღეს იმდენად ძლიერია და იმდენად მყარად დგას ფეხზე, რომ ნაცმაიდანს ვერ მოგვიწყობენ და უკრაინის ბედს ვერ გვაზიარებენ!

**— რას იტყვით იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 40-ზე მეტი თანამშრომელი „ქართული ოცნების“ გადაწყვეტილებას ღიად გაემიჯნა, სხვადასხვა ევროპულ ქვეყანაში საქართველოს ელჩები კი პროტესტის ნიშნად ერთმანეთის მიყოლებით ტოვებენ თანამდებობას?**

— სამწუხაროდ, საგარეო საქმეთა სამინისტროს ზოგიერთი თანამშრომელი და დიპლომატი თავს მიიჩნევს არა საქართველოს წარმომადგენლად უცხო ქვეყნებთან ურთიერთობაში, არამედ — უცხო ქვეყნების წარმომადგენლად საქართველოში. შესაბამისად, მათ ჰგონიათ, რომ საქართველოს ინტერესები კი არ უნდა დაიცვან უცხოეთში, არამედ უცხო ქვეყნების ინტერესები დაიცვან საქართველოში! ასეთი ადამიანები რაც მალე დატოვებენ სისტემას, მით უკეთესია, რადგან ისინი საქართველოს ინტერესებს მხოლოდ და მხოლოდ აზიანებენ.

### კარგი იქნება, ერთხელ და საბოლოოდ სისტემა გაიწმინდოს იმ ადამიანებისგან, რომლებსაც სამშობლო სხვაგან აქვთ და საქართველო მათთვის მხოლოდ კარიერისტული ასპარეზია!

ძალიან კარგია, რომ ასეთი ადამიანები თვითლუსტრაციას ახდენენ და რაც მეტი გამოამჟღავნებს თავს, მით უკეთესი!

დარწმუნებული ვარ, ახალი მინისტრის, დიდი პოლიტიკური და დიპლომატიური გამოცდილების მქონე **მაკა ბოჭორიშვილის** ხელში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საქმიანობა კარდინალურად შეიცვლება და უცხო ქვეყნების კი არა, საქართველოს ეროვნულ ინტერესებზე იქნება ორიენტირებული!



„დარწმუნებული ვარ, ახალი მინისტრის, დიდი პოლიტიკური და დიპლომატიური გამოცდილების მქონე მაკა ბოჭორიშვილის ხელში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საქმიანობა კარდინალურად შეიცვლება და უცხო ქვეყნების კი არა, საქართველოს ეროვნულ ინტერესებზე იქნება ორიენტირებული!“

**— კოლექტიური დასავლეთი საქართველოს 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგებს ამ დრომდე ისედაც არ აღიარებდა და ახლა, თბილისში მიმდინარე მოვლენების ფონზე, ეს არაღიარების პროცესი კიდევ უფრო ღრმა კრიზისში არ შევა?**

— 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებს ყველაზე მთავარი სუბიექტის — ქართველი ხალხის ლეგიტიმაცია გააჩნია და მთავარმა საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიამ — ეუთო-ოდირმაც მკაფიოდ განაცხადა, რომ ეს იყო კონკურენტული და კარგად ორგანიზებული არჩევნები, შედეგზე გავლენის მომხდენი სერიოზული დარღვევების გარეშე. რაც შეეხება იმ ევრობიუროკრატებს, რომელთათვისაც საქართველოში სახელმწიფო გადატრიალება ლამის თვითმიზნად იქცა და საქართველოს რუსეთის წინააღმდეგ ომში ჩართვის მცდელობებს ჯერ კიდევ ვერ ეშვებიან, ისინი მაქსიმალურად შეიკავებენ თავს არჩევნების ლეგიტიმაციის საჯარო აღიარებისაგან, თუმცა, ეს არაფერს შეცვლის.

საქართველოს ჰყავს ქართველი ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლება, რომელთანაც ურთიერთობა ექნება ყველას, ვისაც საქართველოსთვის კარგი სურს, ხოლო საქართველოს არაკეთილმოსურნეებთან ურთიერთობით არც ჩვენ მოვიკლავთ თავს.

**— დაბოლოს: მიუხედავად იმისა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ საკონსტიტუციო უმრავლესობა ვერ მოიპოვა, ხართ თუ არა მზად, შეასრულოთ თქვენი გუნდის ერთ-ერთი მთავარი წინასაარჩევნო დაპირება, რომელიც ნაციონალური მოძრაობის გასამართლებასა და პოლიტიკურ აკრძალვას ეხებოდა?**

— მართალია, საკონსტიტუციო უმრავლესობა ვერ მოვიპოვეთ, მაგრამ ქართველი ხალხის უპრეცედენტო მხარდაჭერა მივიღეთ — 1 120 000-მა ამომრჩეველმა გამოგვიცხადა ნდობა და ხმა მისცა იმას, რასაც „ქართული ოცნება“ დაჰპირდა. შესაბამისად, ყველა წინასაარჩევნო დაპირება, მათ შორის, ნაციონალური მოძრაობის სისტემური გასამართლება აუცილებლად შესრულდება!

დიახ, ჩვენ გვაქვს ძალიან ბევრი არგუმენტი და ძალიან მყარი საფუძველი, რომ ნაციონალური მოძრაობა, როგორც უმძიმესი დანაშაულების ჩამდენი რეჟიმი, გასამართლდეს და დემოკრატიულ საქართველოში აღარ არსებობდეს ასეთი ანტიდემოკრატიული პოლიტიკური ძალა! პირადად მე, ჩემს თანაგუნდელებთან ერთად, ამისათვის ყველაფერს გავაკეთებ!

*ესაუბრა*
***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები

### გიორგი გამსახურდია
*ზვიად გამსახურდიას შვილი*



**სალომე ზურაბიშვილო,** ესენი არიან მშვიდობიანი დემონსტრანტები? შე მავნებელო არამზადავ, შენ? **კიდევ ერთხელ ჩემი წილი ბოდიში იმ ხალხს, ვისაც შენ არჩევას ვეხვეწებოდი.** პასუხი რომ არ მოგეთხოვათ პუტჩისტების წახალისებაზე 1991 წლის დეკემბერში შენ და შენს ქმარს **(შენი შვილის ნათლიას)**, იმიტომ ხარ ამ დღეში. **პირადად გამოვასწორებ მაგ შეცდომას და ყველგან სირცხვილის კორიდორი დაგხვდება!** ყველა საღად მოაზროვნე ქართველმა, ვინც ამ ქალს შეხვდებით, შეახსენეთ, საიდანაც მოდის! **ამ არსებამ საქართველოში თავი წყნარად არ უნდა იგრძნოს!**

„ფეისბუქი“

### გიორგი კახიანი
*„ქართული ოცნების“ წევრი*



ამ პარლამენტს **ოპოზიციის ლეგიტიმაცია არ სჭირდება!** ოპოზიციის გადასაწყვეტია, **შემოვა თუ არა** პარლამენტში. მათი **არც შემოსვლით და არც არშემოსვლით** არაფერი ფუჭდება!

„რეზონანსი“

### გიგი უგულავა
*ოპოზიციონერი პოლიტიკოსი*



**ანრი ოხანაშვილი** ახლა მინისტრი რომ იქნება, ზოოპარკზე უარესია. მაგას ჯობია, **პინგვინი ან ზებრა დანიშნოს.** უფრო ადეკვატური იქნება **ივანიშვილის** მხრიდან.

„რეზონანსი“

### ირაკლი მელაშვილი
*ანალიტიკოსი*



სათანადო წონის მტკიცებულებები თუ არ წარადგინე, **სანქციებს არავინ დაუწესებს „ოცნებას“,** რადგან ასეთი მძიმე გადაწყვეტილებები **ძალიან მკაფიო მტკიცებულებებს უნდა ეფუძნებოდეს.**

„კვირის პალიტრა“



**ნინიკო მშვიდობაძე**

# ასეთი თაობა დგას დღეს რუსთაველზე!

იცით, როდის დაიწყო ტვინების გამორეცხვა? როცა 24 წლის **ლაშა ბუღაძემ** თავისი **„პირველი რუსი“** დაწერა და ვითომ კი ავხმაურდით, მაგრამ ამ ხმაურმა მისი ავტორი კიდევ უფრო პოპულარული გახადა, იმდენად პოპულარული, რომ ერთმა ჩემმა თანატოლმა **(ნუ, მაშინ, როცა ეს მოთხრობა დაიწერა, ორივე გაცილებით ახალგაზრდები ვიყავით)** მითხრა: **ბუღაძე გმირია, ვიღაცას ხომ უნდა ეთქვა, რომ თამარ მეფე ბოზიაო (!!!).**

ანუ მარტივად შემოგვასაღეს: **თქვენი წმინდანად შერაცხილი მეფეები და დედოფლები ჩვეულებრივი გარყვნილი მონარქები იყვნენ და მეტი არაფერიო.**

გავა ზუსტად ცხრა წელი და ახლა უკვე **20 წლის ერეკლე დეისაძე** დაწერს თავის გახმაურებულ რომანს **„საიდუმლო სირობა“**, სადაც სიტყვასიტყვით ამბობს: **მე მიდგებოდა, როცა დედა პირჯვარს იწერდა...**

ეს რომანიც არაადეკვატური ხმაურით მივიღეთ, რითიც ხელი შევუწყვეთ ავტორის გაპოპულარებას.

სამაგიეროდ, კიდევ ერთი რამ შემოგვასაღეს მარტივად: **თქვენი რწმენა სულაც არაა მტკიცე, ისეთი ვადა და ყავლგასულია, რომ შეგვიძლია, სექსთან და, მით უფრო, ინცესტთან გავაიგივოთ.**

წლების შემდეგ **რატი ამაღლობელი**, რომელიც ამავდროულად **თიბისი ბანკთან** ერთად **ლიტერატურული პრემია „საბას“** დამფუძნებელია, ერთ-ერთ ინტერვიუში იტყვის, რომ **ყველა ლექსის წერას იწყებდა ტუალეტში...**

მანამდე კი, 2011 წელს, **დათო ქარდავა** დაწერს რომანს **„ტუალეტში საკითხავი“**, რომელიც იმავე წელს **პრემია „საბას“** ლაურეატი ხდება.

ასე შემოგვასაღეს შემდეგი: **ის, რაც ქართველისთვის ასოცირდება ადამიანის ამაღლებულ გრძნობებთან, ის, რაც ქართველისთვის სულის სიმების შემრხევია, რაც სათუთად ეხება მის გრძნობებს, ანუ პოეზია, იმდენად მდაბალ საფეხურზე დაიყვანეს, იმდენად გაამატერიალურეს, რომ დეფეკაციის აქტთან გააიგივეს.**

განსაკუთრებული ლექსიკით გამოირჩა მწერალი **ზაზა ბურჭულაძე,** რომელიც ერთ-ერთ გახმაურებულ რომანში **(ხმაურიანი კი სწორედ ლექსიკის გამო გახდა)** დაწერს: **„ესაა ნამდვილი მინე...ი** (ცენზურა ჩვენია. რედ.). **წმინდანთა დისციპლინა: პირში — სპერმა, გულში — ლოცვა“...**

ტრენდი: ლოცვის შედარება სექსუალურ აქტთან, ანუ ლოცვის — ამ ზეაღმატებული მდგომარეობის, უხილავი კავშირისა წმინდანებთან — გაიგივება ყველაზე ცხოველურ აქტთან, რომელსაც ძაღლები პირდაპირ ქუჩაში ასრულებენ!!!

2011 წელსვე წარსულში **თორაძეების მკვლელობაში ეჭვმიტანილი და მხედრიონელი ნიკოლოზ რურუა,** საკაშვილთან დაპირისპირების გამო **(კონკრეტულად ამ გამონათქვამის: საკაშვილი სომეხია და ეს დამალული არ არის არავისთვის)** თანამდებობიდან ათავისუფლებს **რობერტ სტურუას.**

ისევ შემოპარებულ-შემოსაღებული: მერე რა, რომ ცნობილი სახეა, ქსენოფობიას **(ასე შეფუთეს)** არავის ვაპატიებთ **(რეალობაში, გაგვაფრთხილეს, რომ არსებული რეჟიმის წინააღმდეგ წასვლას არავის გვაპატიებდნენ).**

ძალიან მალე **მხატვარი და აქტივისტ-ფემინისტი ლია უკლება** თავის ნამუშევრებს გამოფენს, რომელსაც პროპაგანდისტული ტელევიზიები აიტაცებენ: **თვითმკვლელი ღვთისმშობელი, ტრანსგენდერი ქრისტე, კაცების სამაია...**

ერთი-ორი პროტესტი, რომელიც პროპაგანდისტებმა ისევ გამოხატვის თავისუფლების ჩახშობად გაასაღეს, არადა, თუკი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებაზე მიდგა საქმე, თუ შენ გაქვს უფლება, დახატო, რაც გინდა, შესაბამისად, მეც მაქვს უფლება ვთქვა, რომ შენი ნახატი არ მომწონს. მაგრამ არა, მეორე მხარეს, ამ ფსევდოლიბერალების აზრით, არა აქვს უფლება, ჰქონდეს განსხვავებული შეხედულება, რადგან ასეთ შემთხვევაში იოლად მიაკრავენ ბნელის, ჭაობის გადმონაშთის იარლიყს, რომელიც **(ეს აუცილებლად სათქმელია, ტრენდულია):** რუსულად აზროვნებს!

შემოგვაპარეს: **იესო და მარიამი ხელშეუხებელნი არ არიან. მათი გაშარჟება ისევე იოლია, როგორც იოლია პრეზერვატივებს დაახატო ქართველი მეფეები და დედოფლები!!!**

სოციალურ ქსელში დიდი კამათი მომიწია პოლიტიკურად განსხვავებული ორიენტაციის მქონე წარსულში მეგობართან. ის წერდა, რომ **დავით აღმაშენებლის დიდგორის ბრძოლა სულაც არ ყოფილა ისეთი სამაგალითო და დიდებული, როგორიც გვგონიაო.** წერდა, რომ **მტრის რიცხოვნობა გაზრდილია, რომ 200 მხედარი ურიცხვი მტრის ბანაკში ვერ შეიტანდა არეულობას.** კამათი სწორედ ციფრებზე აპელირების გამო მომიწია და მივხვდი, რომ ეს „მეგობარი“ არ იყო ერთადერთი ადამიანი, რომელიც ცდილობდა, დიდგორის ბრძოლა წვრილმანებამდე დაეყვანა და ასე დაეკნინებინა მისი როლი მსოფლიო ისტორიაში. დიახ, მსოფლიო ისტორიაში, რადგან ქართველთა ამ ბრწყინვალე გამარჯვებამ მართლა დიდი როლი შეასრულა მსოფლიოს შემდგომ განვითარებაში.

**შემოპარებული ტრენდი:** **არ გვაქვს ქართველებს არავითარი დანიშნულება. არ გვაქვს ისტორიული მისია, არც გვქონდა. ზღაპარი და მითია ჩვენი იგავმიუწვდომი ბრძოლები...**

შემდეგი შემოპარებული იყო თემა ანბანის თაობაზე, როცა გვითხრეს, რომ **მსოფლიოში 14 ანბანი მითია და რომ ეს არ უნდა დავიჯეროთ!** რომ სულაც არაა აუცილებელი ვისაუბროთ დახვეწილი, სწორი ქართულით, სამაგიეროდ, აუცილებელია, გამოვიყენოთ ისეთი ინგლისური სიტყვები, რომელთა მნიშვნელობა შეიძლება, არც კი ვიცოდეთ, მაგრამ **ტრენდულია და დავამკვიდრეთ ამ ჩვენს უმდიდრეს ენაში: ვორქშოპი, ბულინგი, ქოუჩინგი, თინეიჯერი...**

რაც მთავარია, **ეს თაობა დააჯერეს, რომ ზემონახსენები პირები არიან მეტრები პოეზიაში, მწერლობაში, მხატვრობაში. რომ მათ სიტყვას აქვს ფასი და წონა და მათი ნებისმიერი გამონათქვამი, მათ მიერ გავრცელებული ნებისმიერი ინფორმაცია უნდა მივიღოთ უპირობოდ, კითხვების დასმის გარეშე,** ხოლო, თუ თქვი, რომ ესენი სულაც არ არიან მეტრები, ისევ დაგიძახებენ ბნელს, კომუნისტური აზროვნების მქონეს, მონას...

აღარ გავაგრძელებ, ასე ნელნელა და მიზანმიმართულად გააკეთეს ყველაფერი, რომ ერთ დღესაც ქართველი გოგონა გამოსულიყო ეთერში და ეთქვა: **ქართველებს არ გვაქვს არც კულტურა, არც საამაყო წარსული, რომ საერთოდ დაცლილები ვართ ყველაფრისაგან და მიჩვეულები ვართ მონობას** (არ მოგესმათ, მიჩვეულები ვართ).

ამ თაობას, რომელსაც ეს გოგონა წარმოადგენს, მიზანიმართულად გამოაცალეს ყველაფერი ფასეული და ღირებული, რაც წარსულთან გვაკავშირებს: **მის თვალწინ იოლად დასცინეს — ენას, რწმენას, სამშობლოს. მის თვალწინ გადაუარეს ქართულ კულტურას, პოეზიას, რომანებს, თეატრს, მხატვრობას.** ლიფტი მიუშენეს ბაგრატის დიდებულ ტაძარს, ბეტეერებით დაარბიეს გლდანის ეკლესია, მის თვალწინ დაანგრიეს ფერიას მთაზე მშენებარე ეკლესია, აგინეს პატრიარქს, მამათმავლობა დააბრალეს მოძღვრებს, დასცინეს შოთას — **დიახ, ეს ყველაფერი გააკეთეს მაშინ, როცა თაობა, რომლის ნაწილი დღეს რუსთაველზე დგას, ჯერ კიდევ მცირეწლოვანი იყო და კრიტიკის უნარი, შესაბამისად, გააქტიურებული არ ჰქონდა.**

ამიტომ გასაკვირიც აღარაა: არც ის, რომ **ტრენდად** იქცა სამი თითის კომბინაციით კამერების წინ პოზირება; არც ის, რომ **მისაღები გახდა უცენზურო სიტყვები იმათ მისამართით, ვინც მათსავით არ აზროვნებს;** არც ის, რომ **გოგონებიც ისევე იქცევიან, როგორც ბიჭები, რადგან ჯაფარიძის პარტიამ მათ მორიგი სატყუარა გადაუდგო მარიხუანის დეკრიმინალიზაციით.**

დაბოლოს, ისევ **ჯაფარიძის პარტიას** დავუბრუნდები: **ახალგაზრდა ბიჭები უარს ამბობენ ჯარში მსახურებაზე რწმენის შეცვლის სანაცვლოდ, ანუ მათ მენტალობაში საბოლოოდ ამოძირკვეს ვალი მამულის წინაშე, ამოძირკვეს რწმენის პატივისცემა.**

ზოგადად, დღეს უკვე არავინ საუბრობს ბავშვის ან ადამიანის მოვალეობებზე, გვესმის მხოლოდ უფლებებზე საუბარი, ამდენად **ვიღებთ თაობას, რომელიც ფიქრობს, რომ ყველაფრის უფლება აქვს, მაგრამ მოვალეობები არ გააჩნია.**

**აი, ასეთი თაობა დგას დღეს რუსთაველზე,** რომელსაც მერე რა, რომ არ წაუკითხავს კანონი, **უთხრეს რუსულიაო და დაიჯერა!!!**



ლაშა ბუღაძე უნიტაზზე

**ლაშა ბუღაძე, „საბას“ პრემიის ოთხგზის ლაურეატი:**

**განათლების მიღება საპირფარეშოშიც შესაძლებელია და არათუ შესაძლებელი, ზოგჯერ ძალიან სასიამოვნოც კი. ისეთი ავტორებიც კი ვიცი, ვინც საპირფარეშოში არათუ კითხულობს, არამედ წერს კიდეც.**



რატი ამაღლობელი აქციაზე

**რატი ამაღლობელი, „საბას“ პრემიის ლაურეატი:**

**ყველა ლექსი, ალბათ, დაწყებული მაქვს სველ წერტილში, ტუალეტში. ყველა ლექსი, იმიტომ რომ, მე იქ შევდივარ წიგნებით, ფურცლებით და ა.შ. ყველაზე დიდი ხელოვნება იქმნება, დიახაც, იკითხება და იქმნება სწორედ ამ ადგილზე... ეს ის სივრცეა, სადაც, დიახ, იქმნება დიდი პოეზია.**

## P.S.

მადლობა ღმერთს, რომ ყველას ვერ მოერივნენ, ყველას ვერ გასწვდნენ, მადლობა ღმერთს, რომ არსებობს ამ თაობის ჯანსაღი ნაწილი, რომელსაც აქვს ჯანსაღი პროტესტი, ჯანსაღი დამოკიდებულება და ჯანსაღი აზრი ყველაფერზე!!!

## კვირგვინოსნები

**ლევან მაჭავარიანი**
*პარლამენტარი*



**რადიკალური ოპოზიციის აქტივისტები,** ორიენტირებულნი არიან იმაზე, რომ **სისხლი დაიღვაროს.**

„ინფო-9“

**ლაშა ტალახაძე**
*პარლამენტარი*



საქართველო ევროპაა და **ევროკავშირში გასაწევრიანებლად ყველა პირობა შესრულდება.** არავის უთქვამს, რომ პროცესი ჩერდება, პირიქით, გრძელდება მუშაობა შეთანხმების თითოეულ პუნქტზე. **4 წელი ჩვენ არ შევეხვეწებით მოლაპარაკებების გახსნას. გაგვიხსნიან? იმწუთას მოვაწერთ ხელს დაუფიქრებლად.** შესაბამისად, ამ აქციის სახელი და მოთხოვნაა **„რას ჰქვია, არ შეეხვეწებით“.** აბა, სხვა გასაპროტესტებელი აღარაფერი დარჩა.

„ინფო-9“

**ცოტნე ანანიძე**
*აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი*



პრემიერ-მინისტრ **ირაკლი კობახიძის** განცხადებამ საქართველოს მიმართ ევროკავშირის ინტერესი კიდევ უფრო გააძლიერა. **ეს არაა უარი ევროკავშირზე, პირიქით — სუვერენული და პრაგმატული სვლაა** მოცემულ გეოპოლიტიკურ ვითარებაში!

„ინფო-9“

**პია კაუმა**
*ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი*



არჩევნები საქართველოში **არჩევანის ფართო საშუალებას იძლეოდა და თავისუფალი აგიტაციის პირობებში** ჩატარდა.

„ინფო-9“

*მას შემდეგ, რაც საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა, ბიძინა ივანიშვილმა „ქართულ ოცნებასთან“ ერთად ორი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო, რასაც საპროტესტო აქციები მოჰყვა. რა ხდება ცის კაბადონზე და რას შეიძლება ველოდოთ მომავალში? — პოლიტიკურ ანალიზსა და პროგნოზს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი აკეთებს:*



## მიხეილ ცაგარელი: „ყაველაშვილს ასტროლოგიური კუთხით ძლიერი პოზიცია აქვს. ლომი არის კარგი ლიდერი, ხელმძღვანელი, ორგანიზატორი, ასევე სიყვარულისა და კეთილშობილების სიმბოლო, ხოლო კირჩხიბი – სამშობლოს სიმბოლო!“



# მიხეილ ყაველაშვილი ყველაზე კარგი პრეზიდენტი იქნება!

— შეიძლება ითქვას, რომ ცის კაბადონზე ახლა შტურმის წინა პერიოდია. ამ ახალ წელს მსოფლიო მშვიდად ვერ შეხვდება. **დეკემბერი და იანვრის პირველი ნახევარი იმდენად დაძაბული იქნება, რომ გარკვეულწილად საახალწლო განწყობაზეც იმოქმედებს.** 7 დეკემბრის შემდგომ ვითარება კიდევ უფრო დაიძაბება. გარდა იმისა, რომ დედამიწა უარყოფით ენერგოველში შედის, ორი ბოროტი — **ომის პლანეტა მარსი და ნგრევის პლანეტა პლუტონი** ერთმანეთს დაუპირისპირდება, რაც იმას ნიშნავს, რომ გაძლიერდება საომარი სიტუაცია, რიტორიკა, კონფლიქტები და ა.შ. ასევე 7 დეკემბრის შემდეგ მზე დაუპირისპირდება **გამარჯვების მმართველ პლანეტა იუპიტერს** და ერთ-ერთ ყველაზე მძიმე, **დამსჯელ პლანეტა სატურნს.** იუპიტერსა და სატურნს შორისაც იქნება 90-გრადუსიანი ე.წ. კვადრატურა, ანუ ცუდი ურთიერთობა, რის გამოც დიდია ალბათობა იმისა, რომ დაიძაბოს ურთიერთობა სოციუმსა და მთავრობებს შორის.

პლანეტების დაპირისპირება, პლუს დედამიწის უარყოფით ენერგოველში გადასვლა აღრევს სიტუაციას არამხოლოდ საქართველოში, არამედ მთლიანად მსოფლიოში.

**მოიმატებს ინფექციური დაავადებები, ტრავმულ-ავარიული ტენდენციები, ეკოლოგიურ-ტექნოგენური კატასტროფები, დაიძაბება პოლიტიკური სიტუაციაც.**

**— პოლიტიკური სიტუაცია საქართველოში უკვე დაიძაბა, როდესაც პრემიერმა ირაკლი კობახიძემ 2028 წლამდე უარი თქვა ევროკავშირთან მოლაპარაკებებზე და დაფინანსებაზე...**

— არაფერი განსაკუთრებული არ ხდება. ხელისუფლების ეს გადაწყვეტილება მოულოდნელი არ ყოფილა. ამ ევროკავშირთან და ევროპარლამენტთან ურთიერთობა, რომლის უმრავლესობაც სახალხო პარტიას, ანუ ლიბერალების ჯგუფს წარმოადგენს, შეუძლებელია. მათ აქვთ მხოლოდ ულტიმატუმის ენა. ჩვენს ხელისუფლებას სხვა გზა არ ჰქონდა — ან ყურმოჭრილი მონასავით უნდა შეესრულებინა მათი ულტიმატუმი, ან დაეცვა სუვერენიტეტი. საქართველოს ხელისუფლებამ მეორე გზა აირჩია — იცავს ქვეყნის სუვერენიტეტს!

**— ფიქრობთ, რომ ამ პოლიტიკურ მოცემულობაში ეს სწორი და დროული გადაწყვეტილება იყო?**

— საქართველოს ხელისუფლება მოიქცა ისე, როგორც უნდა მოქცეულიყო. გასაგებად ითქვა — თუ ჩვენს ულტიმატუმებს არ შეასრულებთ, შევაჩერებთ მოლაპარაკებების პროცესო. **საქართველოს ხელისუფლებამ მათ დაასწრო!** შეიძლება, დღეს ხალხის ქუჩაში გამოსვლა სულაც არ შედის ხელისუფლების ინტერესებში, მაგრამ რა ექნათ? ეთქვათ, ოღონდ ევროკავშირში მიგვიღეთ და გამჭვირვალობის კანონსაც გავიტანთ, ლგბტ პროპაგანდასაც დავაკანონებთ, პრაიდსაც გავმართავთ და ოჯახის ინსტიტუტსაც გავანადგურებთო?!

**— ზუსტად ამას ამბობს ქუჩაში გამოსული ხალხიც — პრაიდის ძახილით რუსეთში მიგვაქანებენო...**

— ის ხალხი გამოდის ქუჩაში, ვინც აზრზე არ არის, რა ხდება გეოპოლიტიკაში. ვინ გეპატიჟება რუსეთში? რუსეთს მხოლოდ ის სურს, გვერდით მშვიდი, ნეიტრალური ქვეყანა ეგულებოდეს, რათა მის უსაფრთხოებას საფრთხე არ შეექმნას. ნებისმიერ ქვეყანას, მათ შორის, საქართველოს, რომელიც მის უსაფრთხოებას საფრთხეს შეუქმნის, დაუპირისპირდება. რა, რუსეთის ადგილზე სხვა ასე არ მოიქცეოდა?!

დღევანდელი დღის 21 წლის თებერვალთან შედარება არის ყველაზე დიდი სისულელე! ევროპისა და ამერიკის ემისრები ამ ფრაზებითა და სლოგანებით ხალხს ემოციურად აგიჟებენ, მასაზე ფსიქოლოგიურად ზემოქმედებენ. თუ გირჩევნიათ მონობა და კომფორტი, თქვენი საქმეა, მაგრამ გაგვატარეთ ისინი, ვინც ვფიქრობთ, რომ ჯერ ქვეყანამ სუვერენიტეტი უნდა გაიმყაროს და მერე დავტკბეთ კომფორტით!

მე რომ ახლა მთავრობაში ვიყო, 24 საათში დავასრულებდი ამ ყველაფერს. ყველა ანტიეროვნულ ელემენტს, რომელიც ქვეყანას რევს, ნეიტრალურ ადამიანებს აგიჟებს, დავიჭერდი!



## „დღეს სამყარო ისე ახლოა მესამე მსოფლიო ომთან, როგორც არასდროს!“

## მთავრობამ ნებისმიერი მეთოდი უნდა გამოიყენოს, რომელიც ქვეყანას წესრიგში მოიყვანს!

კიდევ ერთხელ ვამბობ, დღეს სულ სხვა პოლიტიკური რეალობაა და ამ რეალობას უნდა ავუწყოთ ფეხი!

**— აღნიშნეთ, მსოფლიო მასშტაბითაც დაიძაბება სიტუაციაო. რას შეიძლება ველოდოთ?**

— დღეს სამყარო ისე ახლოა მესამე მსოფლიო ომთან, როგორც არასდროს! **ჯო ბაიდენი,** რომელიც **ტრამპის** ინაუგურაციამდე ოფიციალურად ითვლება ამერიკის პრეზიდენტად, თავისი ასაკიდან და დაავადებებიდან გამომდინარე, ადეკვატური არ არის, ამიტომ, დიდია ალბათობა იმისა, რომ მისი გადაწყვეტილებებიც არაადეკვატური იყოს. ერთ-ერთმა კონგრესმენმა პირდაპირ თქვა, მას აქვს განზრახული, ატომური იარაღი უკრაინას გადასცე-

## კვირგვინოსნები

**ილჰამ ალიევი**
*აზერბაიჯანის პრეზიდენტი*



ევროპარლამენტი და ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა **პოლიტიკური კორუფციის სიმბოლოდ იქცა.** რას უნდა ველოდოთ მათგან, როცა **ბორელი ევროპას ბაღს უწოდებს, დანარჩენ მსოფლიოს კი — ჯუნგლებს.** თუ ჯუნგლები ვართ, ჩვენგან თავი შორს დაიჭირეთ და ნუ ჩაერევით ჩვენს საქმეებში.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**მარკეტა გრეგოროვა**
*ევროპარლამენტარი*



რეზოლუციაში სანქციებია მათთვის, ვინც **საარჩევნო მანიპულაციების უკანაა.** აქვთ ფუფუნება, **ივანიშვილის რეჟიმის ფარგლებში ევროპაში იახტით მოგზაურობდნენ,** ამის ფუფუნება არ უნდა მივანიჭოთ.

„პირველი არხი“

**ლევან ხაბეიშვილი**
*„ერთიანობა — ნაციონალური მოძრაობის“ წევრი*



ამ ქვეყანაში მთავარი **ამრევი, გადამტრიალებელი და მოძალადე** არის რუსული რეჟიმი.

„რეზონანსი“

**გია ხუხაშვილი**
*ექსპერტი*



**ივანიშვილს** თავისუფლად შეუძლია, **პინგვინი პრეზიდენტად დანიშნოს,** გარკვეულწილად დაგვცინის კიდეც — რა კომენტარი გავაკეთო მეტი, სერიოზულად **ყაველაშვილზე** როგორ ვისაუბრო?

„ინტერპრესნიუსი“

**პაატა მანჯგალაძე**
*„ერთიანობა — ნაციონალური მოძრაობის“ წევრი*



გადავრჩით, რომ **„ქოცებმა“ ბიძინას ზებრა არ დაასახელეს კანდიდატად,** თუმცა, სახუმაროდ ნამდვილად არ გვაქვს საქმე — **ამაზე შეგუება დაუშვებელია.**

„ინტერპრესნიუსი“

# „ბატონო ბიძინა, მაქსიმალურად გააძლიერეთ თქვენი უსაფრთხოება!“



სო. თუ ეს მოხდა, მგონი, ყველასთვის გასაგებია, რით დასრულდება ყველაფერი.

**ბაიდენი** და მის უკან მდგომი მოძალადეთა ჯგუფები ცდილობენ, ამ ორ თვეში, ვადის ამოწურვამდე, მაქსიმალურად დაძაბონ ვითარება უკრაინაში. **ტრამპს** ისეთი საომარი ვითარება დაუტოვონ, სადაც შერიგება გამორიცხული იქნება ან გააჩაღონ ატომური ომი და როდესაც ტრამპისთვის ხელისუფლების გადაცემის დრო მოვა, საომარი ვითარების საბაბით არ გადასცენ. **ტრამპმა** ოფიციალურად გამოაცხადა, რომ **ილონ მასკი** მისი აუდიტი იქნება და დაისჯება ყველა, ვინც დანაშაული ჩაიდინა. ცხადია, დემოკრატიული პარტიიდან არავის უნდა ციხეში წასვლა და ამიტომ ყველანაირად ეცდებიან, **ტრამპის** ხელისუფლებაში მოსვლას წინ აღუდგნენ.

გარდა პოლიტიკური ლოგიკისა, ამ ყველაფერს განაპირობებს ის პლანეტარული წყობა, რაც ცის კაბადონზე ხდება. მიუხედავად იმისა, რომ არჩევნებში **ტრამპმა** გაიმარჯვა, ბრძოლა დასრულებული არ არის, ყველაზე სახიფათო პერიოდი წინ არის. მართალია, **ტრამპის** პირადი ჰოროსკოპი კარგად გამოიყურება, რაც მას აუცილებლად დაეხმარება, მაგრამ მსგავი მცდელობები იქნება. **ბაიდენი და მისი ძალადობრივი ჯგუფი** კუდს მოიქნევს!

მიუხედავად იმისა, რომ ქართველმა ხალხმა არჩევანი გააკეთა — „ქართული ოცნება“ გაძლიერდა და ე.წ. ოპოზიცია კიდევ უფრო დასუსტდა, ბრძოლა არც აქ დასრულებულა. **წინ საკმაოდ რთული დეკემბერი და იანვრის პირველი ნახევარი გველის.** გვარამია ბრიუსელში სასეირნოდ არ წასულა, ახალ დავალებებს იღებს პატრონებისგან. ოპოზიცია ჯერ დამარცხებული არ არის, დამარცხების პროცესშია და ამიტომ კიდევ უფრო საშიში და სახიფათო შეიძლება იყოს. საზოგადოება და ხელისუფლება არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოეშვას. ნურავის ექნება იმის იმედი, რომ **სალომე ზურაბიშვილი** მშვიადად და წყნარად გადასცემს „ქართულ ოცნებას“ პრეზიდენტის პოსტს! ბოლო მომენტში შესაძლოა, ისეთი ნაბიჯი გადადგას, რასაც არავინ ელოდება და ჩაგვაშხამოს ახალი წელი. ოპოზიციის ბოლო იმედი ახლა **სალომე ზურაბიშვილია.**

ეს ერთი თვე, ვიდრე **ტრამპი** ოფიციალურად ჩაიბარებს ამერიკის პრეზიდენტის პოსტს, როგორმე უნდა გავუძლოთ შინაური თუ გარეშე მტრების თავდასხმებს. როგორც კი **ტრამპი** პრეზიდენტი გახდება, ე.წ. ოპოზიციონერების და ევროპარლამენტარების რიტორიკა მაშინვე შეიცვლება, სულ სხვანაირი გახდება საფრანგეთის პრეზიდენტიც, გერმანიის კანცლერიც და ინგლისის პრემიერ-მინისტრიც. მშვენივრად იციან, რომ ტრამპის მოსვლის შემდეგ მათი არხეინი ცხოვრება დასრულდება.

## „ხელისუფლებამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დათმოს ეს პოზიცია!“

**— ბიძინა ივანიშვილმა კიდევ ერთი სერიოზული გადაწყვეტილება მიიღო — საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე მიხეილ ყაველაშვილის კანდიდატურა დაასახელა!**

— ეს ცუდი გადაწყვეტილება არ არის, მეტიც, მიმაჩნია, რომ მიხეილ ყაველაშვილი ყველაზე კარგი პრეზიდენტი იქნება. მისი მჯერა, რადგან მას ვიცნობ, როგორც ამ ქვეყნის პატრიოტს, დაწყებული საფეხბურთო მოედნიდან, დამთავრებული თავისი ცხოვრების წესითა და პარლამენტში გამოსვლებით. **რაში აწყობთ პატრიოტი ადამიანი პრეზიდენტის თანამდებობაზე?! ამიტომაც ქილიკობენ მასზე.**

ძირითადად ისინი აკრიტიკებენ ყაველაშვილის კანდიდატურას, ვისთვისაც მისაღები იყო **ვერა ქობალია** — კანადაში პურის მცხობელი ეკონომიკის მინისტრი. ასევე არაფერს ამბობდნენ განათლების მინისტრ ლომაიაზე, რომელიც დაფაზე სიტყვა ბავშვს ვერ წერდა. ასე რომ, გაყიდული ადამიანები რა ზღაპრებს შეთხზავენ **ყაველაშვილზე,** ნაკლებად საინტერესოა.

**— როგორ გამოიყურება მომავალი პრეზიდენტის ჰოროსკოპი?**

— დაწვრილებით ჯერ არ შემისწავლია, თუმცა, ერთი შეხედვით საკმაოდ საინტერესო ჰოროსკოპი აქვს. იგი დაბადებულია კირჩხიბისა და ლომის გასაყარზე. ასეთი ადამიანები ყოველთვის განსაკუთრებული ნიშან-თვისებებით გამოირჩევიან. **მიხეილ სააკაშვილი, სტალინი, ზურაბ ჟვანია, ირაკლი ალასანია, ლევან ვასაძე** — ყველა მათგანი ზოდიაქოების გასაყარზე არიან დაბადებულნი. კარგია თუ ცუდი, ეს სხვა თემაა, მაგრამ ისინი გამორჩეული არიან თავიანთი ინდივიდუალობით, ქარიზმითა და ძალით. აქედან გამომდინარე, **ყაველაშვილს** ასტროლოგიური კუთხით ძლიერი პოზიცია აქვს. ლომი არის კარგი ლიდერი, ხელმძღვანელი, ორგანიზატორი, ასევე სიყვარულისა და კეთილშობილების სიმბოლო, ხოლო კირჩხიბი — სამშობლოს სიმბოლო. **კირჩხიბი** ადამიანს სამშობლოს არანორმალური სიყვარულის უნარს აძლევს. ყველაზე დიდი პატრიოტები **კირჩხიბის** ნიშნით იბადებიან! ამიტომაც არ მეპარება ეჭვი მის პატრიოტიზმში. მხოლოდ ერთი რჩევა მექნებოდა მომავალ პრეზიდენტთან — **მივესალმები მის შემტევ, ვაჟკაცურ ხასიათს, მაგრამ, რადგანაც ახლა პოლიტიკურ მოედანზეა და მითუფრო საქართველოს პრეზიდენტი უნდა იყოს, მოთმინება და მეტი დიპლომატია მართებს!**

აქვე გეტყვით, რომ მე ვერ მოვიხიბლე იმ ცვლილებებით, რაც მთავრობის მიმართულებით განხორციელდა. რა გაუკეთებიათ, რა დამსახურება აქვთ მათ? როცა ქვეყანას ჰყავს ბუმბერაზი **შალვა ამონაშვილი,** უნიკალური სწავლისა და აღზრდის გამოცდილებით, რატომ ვეძებთ სხვას, მითუმეტეს, ნაკლები გამოცდილების მქონე ახალგაზრდებს?! ჩვენ ყველა სფეროში, მათ შორის, განათლებაში, კულტურაში გიგანტები გვყავს, რომელთაც ჯერ კიდევ შეუძლიათ თავიანთი წვლილის შეტანა ქვეყნის საერთო საქმეში. ამ ძალებით აპირებს „ქართული ოცნება“ უსერიოზულესი ცვლილებების განხორციელებას? ღმერთმა ქნას, ვცდებოდე...

**თებერვლიდან „ქართული ოცნება“ სერიოზული გამოცდის წინაშე დადგება და თუ დანაპირები არ შესრულდა, ბიძინა ივანიშვილს თავის გასასამართლებელი არანაირი არგუმენტი აღარ ექნება,**

2028 წლის არჩევნები „ქართული ოცნებისთვის“ და მთლიანად საქართველოსთვის სავალალო შედეგებით დასრულდება და ამჯერად უკვე დამნაშავე ბიძინა ივანიშვილი იქნება!

**— რა იქნება თქვენი რჩევა?**

— საჭიროა სწორი მოქმედება, მათ შორის, ძალისმიერი. ხელისუფლებამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დათმოს ეს პოზიცია, ყველა თავის ადგილზე დასვას და ბოლომდე იბრძოლოს ქვეყნის სუვერენიტეტისთვის!

**ბატონო ბიძინა,** მაქსიმალურად გააძლიერეთ თქვენი უსაფრთხოება. არ არის გამორიცხული, ისეთი ხელიდან გავარდეს ტყვია, ვისგანაც ვერ წარმოიდგენთ.

**დიდია ალბათობა, რომ უცხოეთიდან მიღებული ახალი დავალებები სწორედ ტერორისტული ხასიათისა იყოს.**

რაც მთავარია, არ დაგავიწყდეთ, რომ ქართველი ხალხი **ნიურნბერგის პროცესს** ელის! სწრაფად უნდა შეასრულოთ დაპირებები, რომ საზოგადოებაში ნიჰილიზმი არ გაჩნდეს. ეს არის ამ ქვეყნის გადარჩენის ბოლო შანსი!

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***



## „მე რომ ახლა მთავრობაში ვიყო, 24 საათში დავასრულებდი ამ ყველაფერს. ყველა ანტიეროვნულ ელემენტს, რომელიც ქვეყანას რევს, ნეიტრალურ ადამიანებს აგიჟებს, დავიჭერდი!“

## კვირგვინოსნები

### ნიკა მელია
*„კოალიცია ცვლილებებისთვის“ ერთ-ერთი ლიდერი*



საპროტესტო მოძრაობაში **განსხვავებული ხალხი ვართ...** წარსულში **ვერ ვთანხმდებოდით** ბევრ საკითხზე და **ვერ შევთანხმდებით** ბევრ რამეზე მომავალშიც.

ყველაფერი, რაც მოემსახურება **ივანიშვილის რეჟიმის, საბჭოთა რეჟიმის ჩამოშლას,** არის გამართლებული.

„რეზონანსი“

### ნიკა გვარამია
*„კოალიცია ცვლილებებისთვის“ ერთ-ერთი ლიდერი*



მარტო პარლამენტის წინ დგომა, ცხელი სასმლის დარიგება, ლობიანების დაჭრა და ხალხისთვის გადაცემა არ არის საკმარისი! **აჯანყებას, არალეგიტიმური რეჟიმის შეცვლას პოლიტიკოსები არ ახდენენ,** მეგობრებო, პოლიტიკოსები მონაწილეობენ ამაში. **ამას აკეთებს, პირველ რიგში, ხალხი!**

„საქართველოს რესპუბლიკა“

### მიხეილ სააკაშვილი
*პატიმარი*



მინდა ვუთხრა იმ ხალხს, ვისაც ჩემი სახელის ხსენება ერიდება — **მე რომ დღეს ვყოფილიყავი თბილისის ქუჩებში თქვენთან ერთად, ბევრად გაძლიერებული იქნებოდა ბრძოლა,** ეს იცის დიქტატორმაც და იმიტომ მალპობს ციხეში.

„ინტერპრესნიუსი“

### თინა ბოკუჩავა
*„ერთიანობა — ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე*



**სალომე ზურაბიშვილის** მიერ **მიხეილ სააკაშვილის შეწყალება იქნება მნიშვნელოვანი დასტური,** რომ, ქართველ ხალხთან ერთად, ნამდვილად ყველა ღონით იბრძვის ჩვენი ქვეყნის ევროპული მომავლისთვის.

„პირველი არხი“

*ეროვნული ხელისუფლების განათლების მინისტრი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე, მწერალი და პუბლიცისტი, აკადემიკოსი* **ელიზბარ ჯაველიძე** *საქართველოში მიმდინარე ბოლოდროინდელ პროცესებს ეხმიანება და იმ უმძიმეს ვითარებას აფასებს, რომელიც განათლების სამინისტროში ავადსახსენებელი კახა ლომაიასა და კახა ბენდუქიძის მიერ ჩატარებული ბოროტი ექსპერიმენტების შემდეგ არ შეცვლილა:*



# ელიზბარ ჯაველიძე:

**„ამდენი უმაღლესი სასწავლებელი და უნივერსიტეტი საქართველოს არ სჭირდება!“**

# განათლების სამინისტროში ავადსახსენებელი კახა ლომაიასა და კახა ბენდუქიძის აჩრდილები დაძრწიან!

— დღეს საქართველოს უბედურებაა, რომ ქვეყანას ოპოზიცია არ ჰყავს. ცხონებულ **ზვიად გამსახურდიასაც** არ ჰყავდა ოპოზიცია, მაგრამ მტრები ჰყავდა მრავლად, რომლებმაც საქართველო დაღუპეს. ახლაც ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად საქართველოს მტრები იბრძვიან. ამ ხელისუფლებას ბევრი ნაკლი აქვს, მაგრამ მე, 87 წლის კაცი, მაინც მის მხარდამჭერად ვრჩები და ვაცხადებ სრული პასუხისმგებლობით — ახლა საერთაშორისო ასპარეზზე ისეთი სიტუაციაა, საპარლამენტო არჩევნებში „ქართულ ოცნებას“ რომ არ გაემარჯვა, საქართველო საბოლოოდ დაიღუპებოდა!

**— თქვენი აზრით, მაინც რამ განაპირობა ამ არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვება?**

— ვაცხადებ რომ, ვინც არჩევნების გაყალბებაზე საუბრობს, სუყველა ბოდავს! „ქართულმა ოცნებამ“ პატიოსნად გაიმარჯვა და გაიმარჯვა იმიტომ, რომ ხელისუფლებამ თავის მიერ გაკეთებულ ბევრ სიკეთესთან ერთად წინა პლანზე წამოსწია ილიასეული პრინციპი — **„მამული, ენა, სარწმუნოება!“** საქართველოს მოსახლეობამ სწორედ ამ იდეას დაუჭირა მხარი...

„ქართული ოცნების“ გამარჯვება დიდად განაპირობა იმანაც, რომ უცხოეთიდან მოდიოდა და დღემდე მოდის საშინელი წნეხი და უსამართლო ლანძღვა-გინების ნიაღვარი.

## ქართველმა ხალხმა კარგად უნდა გააცნობიეროს, რომ არც ევროპა და არც ამერიკა საქართველოს მეგობრები არ არიან და არც არასდროს ყოფილან.

მათ აინტერესებთ მხოლოდ ჩვენი ტერიტორია, რათა აქედან რუსეთს შეუტიონ და კრემლს კავკასიაში პრობლემები შეუქმნან. როდესაც ევროპელები ტყიდან გამოდიოდნენ, საქართველო ქრისტიანული ტაძრებით იყო მოფენილი. ჩვენ ევროპა იმიტომ გვინდოდა, რადგან ქრისტიანული ქვეყანა იყო, თორემ ტრანსგენდერების ევროპა ვის რა ჯანდაბად უნდა?! ასეთი ევროპისკენ ლტოლვა საქართველოს ღალატია!

**— არ დაგვავიწყდეს ისიც, რომ 3-მილიონიან ქვეყანაში, საერთო ჯამში, 700 ათასმა კაცმა ხმა სააკაშვილს, გვარამიას, ვაშაძეს, ზურაბ-გირჩი შარვალჩახდილს, გახარიას და, ზოგადად, გარყვნილების აპოლოგეტებს მისცა.**

— სწორედ ეგ მიკლავს გულს და სწორედ ეს არის უპირველესი ნიშანი იმისა, თუ რა საშინელი უფსკრულის პირას დგას საქართველო! **ნორმალური ადამიანი სააკაშვილს, გვარამიას და ვაშაძეს ხმას მისცემს?** ეს ავადმყოფი სააკაშვილი გამოდის და გაიძახის — **უკვე დროა, დედაჩემი გიული ალასანია ისტორიაში შევიდესო!** მართლაცდა, თავდაყირა დგას სამყარო...



**— საქართველოს განათლების მინისტრის გიორგი ამილახვრის თანამდებობიდან გათავისუფლებაში ჩვენმა საგაზეთო საუბრებმა, მგონი, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა... მოვიდა ახალი მინისტრი ალექსანდრე წულაძე და ატყდა სკანდალი, რადგან მინისტრის 2024 წლის 26 ნოემბრის ბრძანების საფუძველზე, 2025 წლის ეროვნული გამოცდების ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამიდან ამოღებულია საკვანძო ნაწარმოებები — „ყვარლის მთებს“, „ბახტრიონი“, „სულიკო“, „საღამო გამოსალმებისა“, „გოგჩა“ და ა.შ. უბედურება ის არის, რომ ამ ყველაფერს „აპროტესტებენ“ და ეროვნულ ფასეულობებს „გულშემატკივრობენ“ ცნობილი სოდომისტები და ლგბტ პროპაგანდისტები...**

— საქართველოს განათლების სამინისტროში ავადსახსენებელი **კახა ლომაიასა და კახა ბენდუქიძის** აჩრდილები დაძრწიან! სამინისტრო ვერა და ვერ გათავისუფლდა იმ ჭირისგან, რომელიც **ლომაიამ და ბენდუქიძემ** ქართულ განათლებას შეყარეს! დღევანდელი ახალგაზრდობაც სწორედ **კახა ლომაიასა და კახა ბენდუქიძის** მიერ არის გაფუჭებული — ერთმა ქართული განათლება დაანგრია, ხოლო მეორემ საქართველო გაყიდა! **ე.წ. „ილიაუნმა“ კახა ლომაიას წიგნი დაბეჭდა, სადაც ეს გარეწარი წერს — ჩვენ კარგად ვერ ამოვძირკვეთ ძველი პროფესორები, რადგან მათმა ნაწილმა უკან დაბრუნება შეძლოო!** ე.ი. თურმე, უნდა დავეხოცეთ... დავიწყოთ იმით, რომ დღეს საქართველოში ყოველ ორღობეში უნივერსიტეტია გახსნილი. როგორც ვიცი, ქვეყანაში 50-ზე მეტი უმაღლესი სასწავლებელი ფუნქციონირებს, რაც დაუშვებელია. ამდენი უმაღლესი სასწავლებელი და უნივერსიტეტი საქართველოს არ სჭირდება!



**„დღევანდელი ახალგაზრდობაც სწორედ კახა ლომაიასა და კახა ბენდუქიძის მიერ არის გაფუჭებული – ერთმა ქართული განათლება დაანგრია, ხოლო მეორემ საქართველო გაყიდა!“**

**— თუ არ სჭირდება, რატომ არსებობს?**

— ამდენი ე.წ. უნივერსიტეტი არსებობს იმიტომ, რომ ამ სფეროში უზარმაზარი ფული ტრიალებს. დღეს ქართველი ახალგაზრდების დიდი ნაწილი **უნივერსიტეტში** ფულს იხდის მხოლოდ იმიტომ, რომ დიპლომი იყიდოს, თორემ ცოდნის მიღებაზე ლაპარაკი ზედმეტია! სტუდენტი უცოდინარობისა და ცუდი აკადემიური მოსწრების გამო, ფაქტობრივად, ხელშეუხებელია და არავინ გარიცხავს, რადგან **უნივერსიტეტი** ამ შემთხვევაში შემოსავალს დაკარგავს. **ბუნებრივია, ასეთი მოუმზადებელი, უცოდინარი და გაუნათლებელი თაობა, რომელიც დეზორიენტირებული და სამშობლოს განცდას მოკლებულია, მხარს დაუჭერს ნიკა გვარამიასა და სოდომიის პროპაგანდისტებს.** სააკაშვილი განათლების მინისტრებად პროკურორებსა და ციხეების უფროსებს ნიშნავდა. სწორედ ამ მიზნით შეარჩიეს განათლების მინისტრებად **ნიკა გვარამია და დიმიტრი შაშკინი** — ერთი პროკურორი იყო, მეორე —

# „ვინც არჩევნების გაყალბებაზე საუბრობს, სუყველა ბოდავს!“

## კვირგვინოსნები

**ნინო წილოსანი**
*პარლამენტარი*



**სააკაშვილს** ვინმე თავისუფლებას თუ მიანიჭებს ან ძალაუფლება ექნება, **უფრო სასტიკი ფორმებით გააგრძელებს იმ დანაშაულებს,** რაც მისი მმართველობის დროს მთელი ქვეყნის მასშტაბით იყო. „პირველი არხი“

**შოთა ხაბარელი**
*პარლამენტარი*



ოპოზიცია **სპორტულ აფერისტობას ეწევა,** გვახსოვს 2020 წლის მოვლენები და ისიც გვახსოვს, **პარლამენტში რომ შემობრძანდნენ,** ახლაც ასე მოხდება. „პირველი არხი“

**გივი მიქანაძე**
*პარლამენტის განათლების კომიტეტის თავმჯდომარე*



**მიხეილ ყაველაშვილი** არის ღირსეული ქართველი, ვისთვისაც **ეროვნული ინტერესები ყველაფერზე მაღლა დგას,** ის ღირსეული პრეზიდენტი იქნება. „პირველი არხი“

**ლევან იოსელიანი**
*ომბუდსმენი*



საქართველოს **პარლამენტი სრულიად ლეგიტიმურად შეიკრიბა,** საკონსტიტუციო სარჩელი ვერ იქნება უფრო აღმატებული, ვიდრე კონსტიტუციის ჩანაწერი. „პირველი არხი“

**ხათუნა ლაგაზიძე**
*„აირჩიე ევროპის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი*



როცა იმას ვერ ახერხებენ, რომ **საკუთარი ამომრჩევლის ნება და ხმები დაიცვან** ამ ერთი თვის მანძილზე და ერთად ვერ დადგნენ, **რომელი კოალიციური მთავრობის ფორმირებაზე მელაპარაკებოდნენ ესენი.** „TV პირველი“

**ჯემალ გამახარია**
*აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე*



**არჩევანი აფხაზებმა უნდა გააკეთონ** — რა ურჩევნიათ, **გაქრობა თუ საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნება?** „ახალი თაობა“

## აკადემიკოსის სიტყვა



„საქართველოს განათლების მინისტრი ალექსანდრე წულაძე ყოფილი პროკურორია. არცერთი გაკვეთილი და ლექცია კაცს ცხოვრებაში არ ჩაუტარებია, საერთოდ შორს არის განათლების სისტემისგან და რა უნდა განათლების მინისტრად?!“

ციხეების უფროსი! საუბედუროდ, ეს მავნე და დამღუპველი ტენდენცია დღევანდელი ხელისუფლების პირობებშიც გაგრძელდა!

**— რას გულისხმობთ?**

— საქართველოს განათლების მინისტრი **ალექსანდრე წულაძე** ყოფილი პროკურორია. არცერთი გაკვეთილი და ლექცია კაცს ცხოვრებაში არ ჩაუტარებია, საერთოდ შორს არის განათლების სისტემისგან და რა უნდა განათლების მინისტრად?! საქართველოში განათლება და მეცნიერება უნდა გამოცხადდეს ნომერ პირველ სტრატეგიულ მიმართულებად, რადგან ქვეყანას, რომელსაც განათლება და მეცნიერება არა აქვს, განწირულია მონობისთვის! **გულს მიხარებს ჩვენი მოჭიდავეების, ფეხბურთელების, კალათბურთელების წარმატებები, ჩვენ უდიდესი სპორტსმენების ქვეყანა ვართ, მაგრამ**

**საქართველოს სახელი მსოფლიო ასპარეზზე უნდა გაიტანოს ქართულმა მეცნიერებამ, რომელიც ნაძირალა ლომაიამ და ბენდუქიძემ მოკლეს!**

არ მინდა, ისე გამომივიდეს, თითქოს ამ ხნის კაცი განათლების მინისტრებზე შეჩენილი ვარ, მაგრამ პროკურორებსა და ციხეების უფროსებს განათლების სამინისტროში არაფერი ესაქმებათ! რაც შეეხება ახალი მინისტრის მისამართით გაჟღერებულ ბრალდებებს, თითქოს მან საგამოცდო პროგრამიდან ქართველი მწერლებისა და პოეტების საქვეყნოდ აღიარებული ის ნაწარმოებები ამოიღო, რომლებიც ეროვნულ-პატრიოტული მუხტის მატარებელია, მინისტრმა უკვე განმარტა, რომ თქვენ მიერ ხსენებული ნაწარმოებები, რომლებიც საგამოცდო პროგრამაში არ შედის, სკოლაში ისწავლება, მაგრამ წარმოადგენს არასავალდებულო მასალას. თუმცა, აქვე აუცილებლად უნდა დავსვათ რიტორიკული შეკითხვა — **მაინც ვინ ადგენს, რომელი ნაწარმოები უნდა იყოს სავალდებულო და რომელი — არასავალდებულო?**

**— როგორც ვიცი, ამას ადგენენ ე.წ. „ექსპერტები“, მაგალითად, გია მურღულია, რომელიც სხვა ნაციონალ „ექსპერტებთან“ ერთად განათლების სამინისტროშია ჩაბუდებული და ეროვნულ მენტალიტეტს ანგრევს... გაგახსენებთ მის არაერთ გამოხდომას ქართული ჰაგიოგრაფიის წინააღმდეგ... სხვათაშორის, გია მურღულია ის კაცია, რომელიც ქართველ ბავშვებს წამლავს და საქართველოს ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხილ გრიგოლ ხანძთელზე გაიძახის — გრიგოლმა „ვინმე ცქირს“ მკვლელები მიუგზავნა და მოაკვლევინაო!**

— როცა **გია მურღულია** საკანდიდატო დისერტაციას იცავდა, მისი ხელმძღვანელი **რეზო სირაძე** იყო... ვიცი, რომ მურღულია არის მედროვე და ფუტურო... სიღრმე არა აქვს ამ კაცს, მამული არ უყვარს, იმიტომაც მიდის განათლების სამინისტროს საქმე კარგად! დოქტორანტი სადოქტორო დისერტაციას ვერ დაიცავს, თუ ინგლისურად რაღაც სისულელე არ გამოაქვეყნა. ქართულად მონოგრაფიაც რომ ჰქონდეს დაწერილი, არ ჩაუთვლიან, რადგან ქართული ენა აბუჩად არის აგდებული და დამცირებული. კარგია ამდენი „ამერიკული სკოლა“, „ბრიტანული სკოლა“, „გერმანული სკოლა“, „ფრანგული სკოლა“, მაგრამ სახელმწიფომ კეთილი ინებოს და ყველა ამ სკოლას ქართული ენის, საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის სწავლება დაავალდებულოს! პროგრამები და სახელმძღვანელოები მთლიანად შესაცვლელია, განათლების სამინისტრო ძირეულ რეფორმას საჭიროებს!

**— დასასრულ აუცილებლად უნდა გკითხოთ ე.წ. ოპოზიციის შესახებ, რომელიც პარლამენტში არ შედის...**

— თუ ეს მოღალატე ოპოზიცია პარლამენტში არ შევა, ძალიან გამიხარდება! ჩვენ ახლა დემოკრატობანას ვთამაშობთ... საქართველოს პარლამენტში არ არის იმ ნაძირალა სააკაშვილის ხელისბიჭების ადგილი, რომლებიც ქართველ ბიჭებს ციხეში 30 ლარად აქათმებდნენ.

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

## „ასეთი ევროპისკენ ლტოლვა საქართველოს ღალატია!“



## „თუ ეს მოღალატე ოპოზიცია პარლამენტში არ შევა, ძალიან გამიხარდება!“

## ვანდალები

# ამას მხოლოდ იმათი შვილები და შვილთაშვილები იზამდნენ, ილიას და ზვიადს რომ ესროლეს!








ამას თბილისელი და... მით უფრო, ქართველი არ იზამდა. არც თბილისში ცხოვრება ნიშნავს თბილისელობას და არც საქართველოში ცხოვრება ნიშნავს ქართველობას!

**ამას მხოლოდ იმათი ნაშიერები იზამდნენ, საუკუნეების განმავლობაში ამ ქვეყანას რომ ესეოდნენ და ჯიჯგნიდნენ!**

ამას მხოლოდ იმათი შთამომავლები იზამდნენ, საუკუნეების განმავლობაში ხან ისპაჰანში რომ გარბოდნენ ჩამბოზებლებად, ხან — მოსკოვში, ახლა კიდევ ბრიუსელსა და ვაშინგტონში გარბიან!

**ამას მხოლოდ იმათი შვილები და შვილთაშვილები იზამდნენ, ილიას და ზვიადს რომ ესროლეს!**

თუ არ დაისჯება ყველა, ხვალ უარესს უნდა ველოდოთ!

თუ არ დაისჯებიან ე.წ. ლიდერები, რომლებიც ამ ყველაფერს შორიდან უყურებდნენ ვირთხული გამომეტყველებით, ხვალ ქუჩებში გაგვისწორდებიან!

**თუ არ იქნება სამართალი, ნორმალური საზოგადოება თვითონ დაამყარებს წესრიგს და ეს არ მოხდება უსისხლოდ!**

1989 წლიდან მოყოლებული, ამ ქვეყანას სიმშვიდე არ ღირსებია. **2012 წლის შემდეგ ომი არ ყოფილაო. კი ბატონო, რუსეთთან და პაჭანიკებთან არ გვიომია, მაგრამ განა გაიხსენებთ ერთ დღეს მაინც, შინაურ მოღალატეებთან არ გვეომოს?**

ჩვენ ყოველდღე ომში ვართ — ვამარცხებთ, თითქოს ვანეიტრალებთ, თითქოს სიტუაციას ვამშვიდებთ, მაგრამ მაინც არ გვეპუებიან, ისევ თავიდან იწყებენ...

**დედამიწის ზურგზე ყველაფერს აქვს დასასრული, 12 წელიწადია, გვანჯღრევენ და ენერგიას გვაცლიან! 12 წელიწადია, მავნებლობენ და ისეთ რაღაცებს სჩადიან, რასაც ჩვენ არავინ გვაპატიებს და არც ევროპარლამენტარები თუ სენატორ-კონგრესმენები გამოგვესარჩლებიან, არც გირაოებს გადაგვიხდიან!**

ვფიქრობ, რაკი დაიწყო **მონობიდან თავდახსნის პროცესი,** ეს საქმე ბოლომდე უნდა მივიდეს — თუ ომია, ომი იყოს და სადაც წვრილია, იქ გაწყდეს, ამ ნაძირალების ხროვას ქვეყანას ნუ წავაბილწვინებთ!

***გელა ზედელაშვილი***

## კვირგვინოსნები

**ზურაბ ქადაგიძე**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



**სულით მახინჯი, ბოროტი, ღვარძლიანი, არაადამიანი, ყველა სიბინძურეზე წამსვლელი** — აი, ეს არის კრებსითი რადიკალი ოპოზიციონერის სახე. **სახელს და გვარს არა აქვს მნიშვნელობა, ყველა ერთ თარგზე მოჭრილი ნაძირალაა,** ყველა უსამშობლო მანქურთია. თითოეული მათგანი გამოჰკრავს ხელს სასხლეტს დაუფიქრებლად და **გაგვიხვრიტავს შუბლს,** ოდესმე ძალაუფლებასთან რომ მივუშვათ.

„იმედინიუსი“

**ნიკა ჩიტაძე**
*პოლიტოლოგი*



ვფიქრობ, **გიორგი გახარია არც ისე კარგ თამაშს თამაშობს.** ეს არის იმის ანალოგი, 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს **ოპოზიციამ რომ უარი თქვა პარლამენტში შესვლაზე,** მაგრამ ლეიბორისტულმა პარტიამ მანდატებზე უარი არ თქვა, **ხელფასებს იღებდნენ და ამ დროს სხდომებს არ ესწრებოდნენ.**

„რეზონანსი“

**ლევან კოჭლოშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



ჩვენი ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ჰყავდეს ისეთი **ერთგული და ქვეყნის მოყვარული პრეზიდენტი,** როგორიც **მიხეილ ყაველაშვილია.**

„იმედინიუსი“

# გაწმინდეთ საქართველოს განათლების სამინისტრო ნაცსექტანტებისგან და ჩვენ გვექნება საუკეთესო სახელმძღვანელოები და ერთიანი ეროვნული გამოცდების პროგრამები!

***წინა კვირას, ვიდრე რუსთაველის პროსპექტს ყიზილბაშები შეესეოდნენ და უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ქვეყნის გადატრიალებასა და გადაბუგვას მეხუთედ მაინც შეეცდებოდნენ, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მიერ ხელმოწერილი 2024 წლის 26 ნოემბრის №1449913 ბრძანების გამო დიდი ალიაქოთი ატყდა...***

დავიწყოთ იმით, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის საგამოცდო პროგრამიდან მთლიანად გამქრალია საქართველოში რომანტიზმის პირველი მერცხლის **ალექსანდრე ჭავჭავაძის** მთელი შემოქმედება, მათ შორის, ლექსი **„გოგჩა“** და **„სიყვარულო, ძალსა შენსა“...** ძალიან შეკვეცილია **სულხან-საბა ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის** შემოქმედება; ვერსად ნახავთ **ილიას „ყვარლის მთებს“, ვაჟას — „ბახტრიონს“, აკაკის — „სულიკოს“, გრიგოლ ორბელიანის — „საღამო გამოსალმებისა“...** კრიტიკას ვერც ის უძლებს, რომ პროგრამაში საერთოდ არ არის შეტანილი **დანიელ ჭონქაძე, პაოლო იაშვილი, მუხრან მაჭავარიანი, მურმან ლებანიძე, შოთა ნიშნიანიძე, ტარიელ ჭანტურია...** ხოლო ისტორიის პროგრამიდან რუსეთის მიერ საქართველოს სამეფოს გაუქმებისა და შეერთების შემდეგ, 1832 წლის შეთქმულებამდე, ამოღებულია **მთიულეთის, კახეთის, იმერეთის აჯანყებები...**

ატეხილი ალიაქოთის გამო საგანგებო კომენტარი გააკეთა **პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ,** რომელმაც განაცხადა, რომ ყველა ეს სადავო ნაწარმოები თუ ისტორიული მოვლენა სკოლაში ისწავლება, მაგრამ წარმოადგენს არასავალდებულო მასალას, ამიტომ მოსწავლეების თხოვნით, საგამოცდო პროგრამიდან ისინი ამოიღეს... თუმცა, **კობახიძემ** იქვე სამართლიანად შენიშნა — **ეს ყველაფერი რატომ არის არასავალდებულო, ნამდვილად გასარკვევიაო!** პრემიერმა იქვე ესეც დაამატა — **აშკარაა, რომ განათლების სისტემაში პროგრამები და სახელმძღვანელოები თავიდან ბოლომდე შესაცვლელიაო!**

ამ ყველაფერზე ალიაქოთი იმიტომ ატყდა, რომ სამშაბათს, 26 ნოემბერს, **მამუკა ხაზარაძის** გეი-ბორდელად გადაქცეულ **ტელეკანალიზაცია „პირველში“** ძირითადად სწორედ აქოთებული არსებები შეიკრიბნენ და მომხდარი გააპროტესტეს! მათ შორის გამოირჩეოდა ჩემთვის ერთ დროს საპატივცემულო **პროფესორი ბეჟან ჯავახია,** რომელმაც განაცხადა — კოდორის ხეობის დამცველი ჩვენი გმირები, მათ შორის, **ბატონი რომან შამათავა** ხელისუფლების უკანონო პატიმარიაო!

## განათლების სამინისტროს ხილული თუ უხილავი თანამშრომლები კაბინეტებიდან სულ ნიფხვებით უნდა გამოყარო!

**ბატონ ჯავახიას,** რომელსაც საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე აქვს ხელი მოწერილი, შევახსენებ, რომ **დათო ცინდელიანი,** რომელიც **რომან შამათავამ** დახვრიტა და მერე შავი ზღვის ბათუმის აკვატორიაში, წყალქვეშა სასაფლაოზე, ფეხზე ბეტონის ფილაგამობმული ჩაფლა, მისი სტუდენტი იყო! არ ვიცი, **ბატონ ჯავახიას სააკაშვილმა და რომან შამათავამ** ისეთი რა აჭამეს და დაალევინეს, რომ თავისი სტუდენტის მკვლელს გმირად რაცხს, მაგრამ იმ ქვეყანაში, სადაც წაგებული ომი ხალხს მოგებულ ომად შეასაღეს და რუსთაველის პროსპექტზე ამღერეს, **რომან შამათავას** გმირად გამოცხადება რა გასაკვირია?

თავიდანვე გარკვევით უნდა ითქვას, რომ 2025 წლის ეროვნული გამოცდების პროგრამა არათუ გასაპროტესტებელია, არამედ ისეთი ამბავია ასატეხი, **განათლების სამინისტროს ხილული თუ უხილავი თანამშრომლები** კაბინეტებიდან სულ ნიფხვებით უნდა გამოყარო! მაგრამ მთავარიც არ უნდა დაგვავიწყდეს: **მთელი ამ აყალმაყალის ტრაგიკომედია იმაში მდგომარეობს, რომ პატრიოტიზმისა და ეროვნული მწერლობის თუ ისტორიის სადარაჯოზე ვაი-პატრიოტები და ხშირ შემთხვევაში ლგბტ პროპაგანდისტები დადგნენ!** ფრთხილად, პატრიოტიზმის „წმინდა მცველად“ თავის შემოსაღებას **„ფუჩუ ლიბერასიონისა“** და **„საფარის“** ლგბტ პროპაგანდისტები, **წყეული კახა ლომაიასა და კახა ბენდუქიძის ძუძუთი გამოზრდილი** ის ტვინმოღრეცილი ღვთისმგმობელები ცდილობენ, რომლებსაც ხან **მამუკა ხაზარაძის** „უბორნიის პოეტების“ და ტუალეტის მჯღაბნელების მარაქაში ვხედავთ, ხან — მეჭეჭებიანი და „შიმაილი“ ბაბუცა პატარაიას „კონფერენციებზე“, ხან უკანალმორყეული **გიორგი თაბაგარის** გარყვნილ აქციებზე და ხანაც გადაგვარებული **თამარ ჯაყელის „თბილისი პრაიდის“ ე.წ. ივენთებზე...**

ეს ის სექტაა, რომელიც ჩვენ — „ასავალ-დასავალს“ გვებრძოდა, გვებრძვის და „ეფ-ეს-ბე“-ს ლიფტის კარში მოყოლილი **ლიაკა ხოშტარიასავით** გვეღრიჯება და დღემდე ენას გვიყოფს, როცა ავადსახსენებელ **კახა ლომაიას, დიმიტრი შაშკინსა და ნიკუტა გვარამიას** ვამხელდით და ვამხელთ. მოგეხსენებათ, სოროსის ბუნაგსა და ე.წ. „თავისუფლების ინსტიტუტში“ გამოწვრთნილმა ამ უწმინდურთა „სამებამ“ ქართული განათლების სისტემა პირწმინდად გაანადგურა და ქართული სკოლა და უმაღლესი სასწავლებელი, დიდი აკაკისა არ იყოს, **„ვირების ბაგად“** აქცია.

ეს ის ფარისევლები არიან, რომლებიც **ტუტრუცანა ლევან ბერძენიშვილის** ხაოიანი პირიდან ამორწყეულ სიბინძურესა და ყურით მოთრეულ ბოროტებას სმენაგაკრეფილი უსმენდნენ და უსმენენ — **თითქოს სტალინი ვაჟა-ფშაველას შვილია,** რომელიც მან გორის სემინარიაში სწავლის დროს







გია ბუღაძის სტუდენტების ფურთხების პერფორმანსი თბილისის სამხატვრო აკადემიაში. 2007

### 2025 წლის ეროვნული გამოცდების პროგრამიდან ილიას, ვაჟას, აკაკისა და სხვა ქართველი მწერლების მნიშვნელოვანი ნაწარმოებების ამოღებას აპროტესტებს ხალხი, რომელიც „ფურთხების პროფესორის“ გია ბუღაძის მიერ მოწყობილ ბინძურ პერფორმანსებს ტაშს უკრავდა!

## კვირგვინოსნები

**მანანა ნიკოლეიშვილი**
*განათლების ექსპერტი*



რატომ უნდა ამოვიღოთ **დავით გურამიშვილის „სწავლა მოსწავლეთა“?!** ან **ილია ჭავჭავაძეს** როგორ ეხებიან, **რომელი ლექსი ან რომელი პოემაა ამოსაღები?!** რაც დაიწყო წინა ხელისუფლებამ **განათლების და მეცნიერების სისტემაში,** ესენი აგრძელებენ.

„რეზონანსი“

**გიორგი გოგოლაშვილი**
*ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი*



კომუნისტების დროს, 1979-81 წლებში, **ქართული ენის სწავლება უმაღლესი სასწავლებლების ყველა სპეციალობებზე სავალდებულოდ გამოცხადდა,** რაც დიდი მიღწევა იყო. 2005 წელს **ლომაია-სააკაშვილის** მიერ განხორციელებული „რეფორმის“ შედეგად, ეს გადაწყვეტილება გაუქმდა, რაც დღემდე ვერ აღვადგინეთ. **დღეს რა უშლის ხელს მის აღდგენას?** — ის, რომ, ვინც ეს გადაწყვეტილება გააუქმეს, **დღემდე განათლების სისტემაში არიან და თავიანთ გაფუჭებულ საქმეს იცავენ.**

„საერთო გაზეთი“

**დეკანოზი შალვა კეკელია**
*თბილისის ვაკის მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის ტაძრის წინამძღვარი*



**ღვთისმშობელზე გაგვიბედეს, იარაღი დააჭერინეს ხელში და ტყვიას ასროლინებდნენ.** დღეს იმ პოლიტიკოსს, ვინც მართავდა იმ ტელევიზიას, რომელმაც **იარაღი დააჭერინა ღვთისმშობელს და თავში ტყვია ასროლინა,** ქართველი კაცი მხარს უჭერს და ხმას აძლევს.

„იმედინიუსი“

**მეუფე იაკობი**
*ბოდბელი მთავარეპისკოპოსი*



**ნურც რუსებს ავარევინებთ და ნურც ევროპელებს.** რა მათი საქმეა, რა კანონს მივიღებთ? — **რაც ქვეყანას სჭირდება, იმ კანონს მივიღებთ!**

„ინტერპრესნიუსი“



თემურ პაპასკირი

# ღვინოში ჩამშარდავთა პარტიის ჯამბაზი – პროფესორად წოდებული თემურ პაპასკირი, თურმე, ეროვნულ ისტორიას იცავს და პატრიოტია, ხოლო ხელისუფლება საქართველოს ინტერესებს ებრძვის!



ქრისტინა ტალახაძე

## ეს მასხარა ჯავახიშვილის უნივერსიტეტში თემურ პაპასკირია, ხოლო საარჩევნო პლაკატების ჩამოხევის დროს – ქრისტინა ტალახაძე!

ქუჩის მეძავ კეკე გელაძეს გაუჩინა! **თითქოს იგივე ვაჟა-ფშაველა პეტერბურგში სწავლის დროს ერთ ქალს შინ შეუვარდა და გაუპატიურება დაუპირა! თითქოს აკაკი წერეთელი ვის ოჯახშიც შევიდა, ქალი გაუბახებელი არ გაუშვა! თითქოს დავით აღმაშენებლის ყველა შთამომავალი დეგენერატი იყო! თითქოს ერეკლე მეფემ საქართველოს უღალატა და ქვეყანა რუსეთში შეჩურთა!**

აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ **ლაშა ბუღაძემ** ისევე, როგორც გათახსირებულმა **ანანია გაჩეჩილაძემ,** ქართველი ერის საფიცარი სახეები და სიწმინდენი, არაერთგზის შეურაცხყო და წაბილწა... უფრო მეტიც, **ბუღაძემ** სამთელქვეყნოდ, ისიც კი აღიარა, რომ **რომელიღაც წვეულებაზე ნაწყენმა, გაბრაზებულმა და ქურთუკიანმა კაცებმა ჯერ გამოიცეკვეს, მერე ჩაეკვრნენ, მერე ყელზე დაუწყეს კოცნა და ბოლოს იქვე, სადღაც მოყუჩებულში გაიყვანეს და რა უქნეს აღარ ახსოვს...**

მოკლედ, 2025 წლის ეროვნული გამოცდების პროგრამიდან **ილიას, ვაჟას, აკაკისა** და სხვა ქართველი მწერლების მნიშვნელოვანი ნაწარმოებების ამოღებას, ასევე **კახეთის, მთიულეთისა და იმერეთის აჯანყებების** შესახებ ისტორიის გაქრობას აპროტესტებს ხალხი, რომელიც **„თვითმკვლელი ღვთისმშობლის“** დამხატავ, ტუტრუცანა და უნარნაკლულ **ლია უკლებას** მხარს უბამდა და **თორნიკე ჭაფოძისა** და **„ფურთხების პროფესორის“ გია ბუღაძის** მიერ მოწყობილ ბინძურ პერფორმანსებს ტაშს უკრავდა. მოგეხსენებათ, წლების წინათ **სამხატვრო აკადემიის სტუდენტმა თორნიკე ჭაფოძემ** ბიბლია დახია, შეჭამა და მერე უნიტაზზე წამოსკუპდა, ხოლო **გია ბუღაძემ,** რომელსაც შეფურთხებაში ტუჩებზე გადმოფარებულმა ულვაშმა შეუშალა ხელი, სტუდენტებს დაავალა, ერთმანეთისთვის სახეში ეფურთხებინათ.

კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, **როცა ჩვენ ამ ყველაფრის შესახებ ვწერდით, როცა რაფალ ოლბინსკის პორნონახატების საჯარო ბიბლიოთეკაში გამოფენას ვაპროტესტებდით და სულმანათ ზურაბ შარაძეს გვერდით ვედექით,** მაშინ ეს გარეწრები ცხონებულ აკადემიკოსს აბუჩად იგდებდნენ, დასცინოდნენ, სისხლს უშრობდნენ, იჭერდნენ და კაგებეს აგენტს“ უწოდებდნენ! ხოლო ახლა, როცა ყოველმხრივ გაკოტრებული, გაშიფრული და მხილებული არიან, როგორც უცხო ქვეყნის აგენტურა, **ადგნენ და თავი რომ გადაირჩინონ, ისევ ეროვნულობისა და პატრიოტიზმის დროშას დაუწყეს შეპოტინება** — აქაოდა, ხელისუფლება ეროვნულ ფასეულობებს ანადგურებსო!

მიგვაჩნია, რომ 2025 წლის ეროვნული გამოცდების ისტორიისა და ქართულ ენისა და ლიტერატურის პროგრამა კრიტიკას მართლაც ვერ უძლებს, მაგრამ, როცა ამ ყველაფერს **ე.წ. პროფესორი თემურ პაპასკირი** აკრიტიკებს, მაშინ ვითარება არამარტო ტრაგიკომიკური, არამედ სამარცხვინოა. **ეს იგივეა, როენა ხუცურაულის „სათნოების სახლის“ გოგონებმა ქალწულობის ინსტიტუტის დაცვაზე ლექციების ჩატარება დაიწყონ!**

საქმე ის გახლავთ, რომ **პაპასკირი,** რომელიც სტუდენტობისას მერხზე კი არ იჯდა, არამედ მამამისმა, **პროფესორმა ზურაბ პაპასკირმა** „მეშოკივით“ დადო, **ქათმების ბრიგადირის ნიკუტა ზვარამიას** პარტიის წევრია, ანუ ღვინოში ჩამშარდავთა პარტიის ჯამბაზი — **„პროფესორი“ თემურ პაპასკირი,** თურმე, ეროვნულ ისტორიას იცავს და „პატრიოტია“, ხოლო ხელისუფლება საქართველოს ინტერესებს ებრძვის! სხვათაშორის, **პაპასკირი** 26 ოქტომბრის არჩევნების წინ, გვიან ღამით, ჩიტაძის ქუჩაზე „ქართული ოცნების“ პლაკატებს ხევდა, რაც კამერებმაც დააფიქსირა. გვაქვს სერიოზული ეჭვი, რომ **ცნობილი სულელი და ნაცსექტანტი ქრისტინა ტალახაძე,** რომელიც ქალაქში დაძრწოდა და „ქართული ოცნების“ პლაკატებს ყველგან ხევდა და გლეჯდა, სინამდვილეში სწორედ **თემურ პაპასკირია, რომელიც ქალის პარიკში გამოეწყო და რეიტუზებში გამოიკვართა.** მოკლედ, ეს მასხარა ჯავახიშვილის უნივერსიტეტში **თემურ პაპასკირია,** ხოლო საარჩევნო პლაკატების ჩამოხევის დროს — **ქრისტინა ტალახაძე!**

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ბუნებრივად დაისმის კითხვა — **მაინც ვინ შეადგინა 2025 წლის ეროვნული გამოცდების პროგრამა? იმ ხალხმა ხომ არა, რომლებიც ე.წ. ექსპერტებისა და მრჩევლების სტატუსით განათლების სამინისტროში ათეული წლებია, ჩაბუდებულია და სახელმწიფოს ძირს უთხრის?** იქნებ ქართული ენისა და ლიტერატურის საგამოცდო პროგრამა ავადსახსენებელმა **გია მურღულიამ** შეადგინა, რომელიც განათლების ყოფილი მინისტრის **გიორგი ამილახვრის** მრჩეველი იყო...

საქვეყნოდ ცნობილია, რომ **ასლან აბაშიძით** დაწყებული, საქართველოს უკლებლივ ყველა ხელისუფლის პოლიტიკურ სარეცელში ნაკოტრიალები **გია მურღულია,** რომელიც ცხონებული **ზურამ შარაძის** ქალიშვილმა **რუსუდან შარაძემ** საკუთარი მოწაფეების ჩაშვებასა და კაგებესთან კავშირში ამხილა, ქართულ ჰაგიოგრაფიას დიდად არ წყალობს. **გამორიცხავს ვინმე, რომ 2025 წლის ქართული ენისა და ლიტერატურის საგამოცდო პროგრამა ისეთი „მრჩევლის“ შედგენილია, როგორიც გია მურღულიაა?**

2019 წლის 20-21 ივნისის ღამეს **ნაძირალა ლიაკა ხოშტარიას** პარლამენტში გასაშლელი საპროტესტო ტრანსპარანტები ჯერ კიდევ მაშინ ჰქონდა გამზადებული, ვიდრე **სერგეი გავრილოვი** პარლამენტის თავმჯდომარის სკამში ჩაჯდებოდა, ანუ **აგენტმა ლიაკამ** წინასწარ იცოდა, რა უნდა მომხდარიყო...

იქნებ ნაცებთან წილნაყარი **გია მურღულიაც** წინასწარ იყო შეთანხმებული ნაცსექტანტებთან და განგებ შეადგინა ასეთი სამარცხვინო პროგრამა, რათა მერე ამ ლგბტ აქტივისტებს კლარნეტი შემოეტრიალებინათ და საქართველოს ისტორიისა და ქართული იდენტობის დამცველებად შემოესაღებინათ თავი?

მოკლედ, **ლიაკა ხოშტარიასა და გია მურღულიას** თუ ერთმანეთში ავზელთ, მივიღებთ 2025 წლის ეროვნული გამოცდების პროგრამას ქართულ ენასა და ლიტერატურაში!

**გაწმინდეთ საქართველოს განათლების სამინისტრო ნაცსექტანტებისგან და ჩვენ გვექნება საუკეთესო სახელმძღვანელოები და ერთიანი ეროვნული გამოცდების პროგრამები, რომელზეც ერთიანი და ქრისტიანული საქართველო აშენდება!**



გია მურღულია



ელენე ხოშტარია

### ლიაკა ხოშტარიასა და გია მურღულიას თუ ერთმანეთში ავზელთ, მივიღებთ 2025 წლის ეროვნული გამოცდების პროგრამას ქართულ ენასა და ლიტერატურაში!

***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები



**ნანა კაკაბაძე**
*„ერთიანი ნეიტრალური საქართველოს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი*

ხელისუფლების მოწინააღმდეგეები ვერ იჯერებენ, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ასეთი უპირატესობით დაამარცხა ოპოზიცია და გაკვირვებული კითხულობენ: **„როგორ შეიძლება იმის დაჯერება, რომ საქართველოში ყოველი მეორე (და უფრო მეტიც) ქოცია?!“.** ჩვენ სხვანაირად დავსვამდით კითხვას: **როგორ შეიძლებოდა, დღევანდელ საქართველოში, 9-წლიანი სისხლიანი მმართველობის ისტორიის მქონე ნაცებს ისევ 700 000-ზე მეტი ხმა აეღოთ?!**

„იმედინიუსი“



**დავით ქართველიშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*

**აუცილებლად უნდა გასამართლდნენ ეს რადიკალები, პოლიტიკური შაჰიდები,** რომელთა წინააღმდეგაც არსებობს უამრავი დოკუმენტური მასალა, **არამხოლოდ 2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებით,** არამედ სხვა დანაშაულებთან დაკავშირებითაც.

„იმედინიუსი“



**ამირან სალუქვაძე**
*ექსპერტი*

**თუ ოპოზიცია არ შევა პარლამენტში, ძალიან კარგი იქნება,** რადგან მე არ მინახავს არასაპარლამენტო პარტია, რომელიც არ გამქრალიყო პოლიტიკური ველიდან. **ეს ოპოზიცია არის გასაქრობი,** რათა გამოჩნდეს ქვეყანაში ჯანსაღი ძალები.

„TV იმედი“



**სანდრო თვალჭრელიძე**
*ექსპერტი*

არჩევნების **ტოტალური გაყალბების არ მჯერა.** შესაძლოა, საეჭვო იყოს 3-4 პროცენტი, ანუ **სათუოა გადალახა თუ არა რეალურად 50 პროცენტი „ქართულმა ოცნებამ“,** სხვა მხრივ, ამ არჩევნებმა აჩვენა, რომ ქვეყანაში ყველაზე ძლიერი პარტია, მოგვწონს თუ არა, არის „ქართული ოცნება“.

„კვირის პალიტრა“

# „ევროჩინოსნების მხრიდან უსინდისო დამოკიდებულება და დამპყრობლური ჰონორი ქართველ ხალხს ყელში ამოუვიდა!“

## ჯონდი ბაღათურია:

# მორჩა კინო – ქართული სახელმწიფო კორუმპირებულ ევროპელ ჩინოვნიკებს ენის მოჩლექით აღარ დაელაპარაკება!

*საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებამ, 2028 წლის ბოლომდე დღის წესრიგში აღარ დააყენოს ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებების გახსნა და მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში უარი თქვას ევროკავშირის საბიუჯეტო გრანტებზე, პოლიტიკური ვნებათაღელვა და რადიკალური საპროტესტო აქციების მორიგი ტალღა გამოიწვია. მართალია თუ არა 26 ოქტომბრის*



*საპარლამენტო არჩევნებში დამარცხებული ნაცოპოზიცია, რომელიც აცხადებს, რომ ხელისუფლების გადაწყვეტილება საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსის ოფიციალურად შეცვლასა და ევროინტეგრაციაზე უარის თქმას ნიშნავს? ამ საკითხზე პარტია „ქართული დასის“ ლიდერს ჯონდი ბაღათურიას ვესაუბრებით:*

— საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილება საგარეო კურსის შეცვლა კი არა, იმ სამშვიდობო პოლიტიკის ლოგიკური გაგრძელებაა, რომელსაც „ქართული ოცნება“ ბოლო სამი წლის განმავლობაში ატარებს. თანაც, ეს გახლავთ ჩვენი მთავრობის გონივრული პასუხი ევრობიუროკრატიის ყოვლად თავხედურ მცდელობაზე, ჩაერიოს საქართველოს შიდა საქმეებში.

ევროპელი ჩინოვნიკების ცინიზმი და საქართველოსადმი დამპყრობლური დამოკიდებულება იქამდე მივიდა, რომ მართლმსაჯულების სისტემის მიტაცებაც კი მოინდომეს — სასამართლო ჩვენ მიერ შერჩეული კადრებით უნდა დაგიკომპლექტოთო! იმაზე აღარაფერს ვამბობ, რომ ევროპარლამენტის ყოველ რეზოლუციაში სააკაშვილის გათავისუფლებას ითხოვენ და ულტიმატუმს გვიყენებენ — **უცხოური გავლენის გამჭვირვალობისა და ოჯახური ღირებულებების დაცვის კანონები გააუქმეთო!**

მოკლედ, **საბჭოთა კავშირის დროს მოსკოვი უფრო ნაკლებად ერეოდა საქართველოს შიდა საქმეებში, ვიდრე დღეს ბრიუსელი ერევა და როდემდე შეიძლებოდა, ეს გაგრძელებულიყო?!**

ევროჩინოსნების მხრიდან უსინდისო დამოკიდებულება და დამპყრობლური ჰონორი ქართველ ხალხს ყელში ამოუვიდა!

**— ასეა თუ ისე, ხელისუფლების გადაწყვეტილებამ „მეორე სუნთქვა“ გაუხსნა ოპოზიციის პროტესტს, რომელიც 26 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, ფაქტობრივად, ჩამკვდარი იყო. როგორ ფიქრობთ, რამდენად სწორ დროს გაკეთდა პრემიერ კობახიძის განცხადება?**

— ხელისუფლების გადაწყვეტილება სავსებით დროული იყო და აბსოლუტურად კორექტული ფორმით იქნა გახმიანებული. **მორჩა კინო — ქართული სახელმწიფო კორუმპირებულ ევროპელ ჩინოვნიკებს ენის მოჩლექით აღარ დაელაპარაკება და ეს ყველამ კარგად უნდა გაიგოს!**

**— 4 წლის განმავლობაში ევროკავშირთან ურთიერთობის ფაქტობრივი გაწყვეტა და მის საბიუჯეტო გრანტებზე უარის თქმა საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობაზე უარყოფითად არ აისახება?**

— ევროკავშირის საბიუჯეტო გრანტები ნამდვილად არ იყო იმ მოცულობის, რომ მათზე უარის თქმით საქართველოს ეკონომიკას რაიმე ზიანი მიადგეს. მითუმეტეს, დღეს ქართული ეკონომიკა აღმავლობის გზაზეა და ქართულ სახელმწიფოს ყველანაირი რესურსი გააჩნია, ევროკავშირის დაფინანსებაზე აღარ იყოს ჩამოკიდებული.

რაც მთავარია, ჩვენ გვერდით უკვე გაჩნდა კოლექტიური დასავლეთის ალტერნატიული სამყარო, თავისი ალტერნატიული ფინანსური რესურსებით და გაცილებით უფრო იაფი საკრედიტო სისტემით. ვგულისხმობ **ბრიქსის** გაერთიანებას, რომელმაც მსოფლიო სავალუტო ფონდის ანალოგიური ბანკი შექმნა და, პრაქტიკულად, მიღებული აქვს გადაწყვეტილება **სვიფტის** მსგავსი საერთაშორისო ბანკთაშორისი სისტემის შექმნის შესახებ. გარდა ამისა, საქართველოს სთავაზობენ 3+3 ფორმატს, რომელშიც რუსეთი, თურქეთი, ირანი, აზერბაიჯანი და სომხეთი, ანუ ჩვენი ყველა მეზობელი შედის.

ძალიან მნიშვნელოვანია ისიც, რომ საქართველოში სერიოზულ ინვესტიციებს დებს ჩინეთი, რომელსაც ჩვენი ტერიტორია სჭირდება როგორც ლოჯისტიკური და გეოპოლიტიკური ჰაბი, ყოველივე ეს კი საქართველოს სახელმწიფო, სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური უსაფრთხოების გარანტიებს იძლევა.

**— ესე იგი, საქართველოს საერთაშორისო იზოლაცია არ ემუქრება?**

— რომელ იზოლაციაზეა ლაპარაკი, როცა ევროკავშირი თავის ეკონომიკურ და ენერგეტიკულ უსაფრთხოებას საქართველოს გვერდის ავლით ვერ უზრუნველყოფს?! **აბა, რუკას დახედეთ: ევროკავშირის ქვეყნებმა აზერბაიჯანიდან, ყაზახეთიდან და თურქმენეთიდან იაფი ნავთობის, გაზისა და ურანის იმპორტი საქართველოს ტერიტორიის გვერდის ავლით როგორ უნდა მოახდინონ?** თუ ევროჩინოვნიკები ქართულ სახელმწიფოსთან სანქციების ენით საუბარს არ შეეშვებიან და დამამცირებელი ულტიმატუმების წამოყენებას გააგრძელებენ, ჩვენ ამ იაფ ენერგომატარებლებს ევროპისკენ ვერ და არ გავატარებთ!

ასე რომ, ევროკავშირის ბიუროკრატია საქართველოსთან თანაბარუფლებიან და პატივისცემაზე დაფუძნებულ ურთიერთობას უნდა მიეჩვიოს! ჩვენ სუვერენული სახელმწიფო ვართ და არა — „ნინიას ბაღი“, რომ ევროკავშირი თან დამპყრობლური ტონით გველაპარაკოს და თან საქართველოს ტერიტორიის გამოყენებით ეკონომიკური ხეირი ნახოს!

**— და მაინც, როგორ ფიქრობთ, ოპოზიცია, რომელსაც ე.წ. თბილისური მაიდნის მოსაწყობად კიდევ ერთი საბაბი მიეცა, ამჯერად მაინც შეძლებს მიზნის მიღწევას?**

**– ოპოზიციად წოდებული ბრბო ვერანაირ „მაიდანს“ ვერ მოაწყობს, რადგან რევოლუციისათვის აუცილებელი უმთავრესი რამ – ხალხის მხარდაჭერა არ გააჩნია!**

კოლექტიური დასავლეთის ლიდერებმა ვერაფრით შეიგნეს, რომ ოპოზიციად წოდებული ბრბო, რომელსაც ისინი საქართველოში ეყრდნობიან, აბსოლუტურად გაკოტრებულია! 2019 წელს საფრანგეთის პრეზიდენტმა **მაკრონმა** განაცხადა — ნატოს ტვინი მკვდარიაო... დღეს კარგად ჩანს, რომ ევროკავშირის პოლიტიკურ ლიდერთა ერთი ნაწილის ტვინი და სინდისი მართლა მკვდარია!

*ესაუბრა*
*ჯაბა ხუბუა*



ევროსაბჭოს პრეზიდენტი შარლ მიშელი და ევროკომისიის პრეზიდენტი ურსულა ფონ დერ ლაიენი



საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი და გერმანიის კანცლერი ოლაფ შოლცი



**„კოლექტიური დასავლეთის ლიდერებმა ვერაფრით შეიგნეს, რომ ოპოზიციად წოდებული ბრბო, რომელსაც ისინი საქართველოში ეყრდნობიან, აბსოლუტურად გაკოტრებულია!“**

№57 (293) ★ 2024 წლის 2 დეკემბერი ★ გამოდის 2003 წლიდან

# საჭიროა, გვახსოვდეს და არასოდეს ვივიწყებდეთ:




**გვახსოვდეს ეს და ვაწარმოოთ ბრძოლა იმ ამხანაგებთან,** რომლებიც ვერ აფასებენ მავნებლების ძალებსა და მნიშვნელობას.

**ვუხსნიდეთ ჩვენს პარტიულ ამხანაგებს,** რომ არავითარ სამეურნეო წარმატებებს, რარიგ დიდი უნდა იყვნენ ისინი, არ შეუძლიათ, გააბათილონ კაპიტალისტური გარემოცვის ფაქტი და ამ ფაქტიდან გამომდინარე შედეგები.

**მივიღოთ საჭირო ზომები იმისათვის,** რომ ჩვენს ამხანაგებს შესაძლებლობა ჰქონდეთ, გაეცნონ **უცხოურ მზვერავ ორგანოთა** მავნებლურ-დივერსიული და ჯაშუშური მუშაობის მიზნებსა და ამოცანებს, პრაქტიკასა და ტექნიკას.

**განვუმარტოთ, რომ თანამედროვე ტროცკიზმთან ბრძოლაში ახლა საჭიროა არა ძველი მეთოდები, არა დისკუსიის მეთოდები, არამედ ახალი მეთოდები — ძირფესვიანად ამოგდებისა და განადგურების მეთოდები.**

ტროცკისტ მავნებლებს ჰყავთ თავიანთი რეზერვები. ისინი, უწინარეს ყოვლისა, შედგებიან დამარცხებულ ექსპლუატატორთა კლასების ნაშთებისაგან, მტრულად განწყობილი მთელი რიგი ჯგუფებისა და ორგანიზაციებისაგან სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ.

ვაჟბატონები გერმანიიდან, ყოველგვარი **რუტ ფიშერები, მასლოვები, ურბანსები,** რომლებმაც სული და სხეული ფაშისტებს მიჰყიდეს, ანდა, მაგალითად, ამერიკელ მწერალთა ურდო ცნობილი ყულიკის **ისტმენის** მეთაურობით — კალმის ყველა ეს ყაჩაღი, რომელიც სწორედ იმით ცხოვრობს, რომ ცილს სწამებს მუშათა კლასს, რით არ არიან რეზერვი ტროცკისტთა ჯაშუშურ-მავნებლური მუშაობისათვის?

**უნდა უკუვაგდოთ დამპალი თეორია იმის შესახებ,** რომ თითქოს ტროცკისტები უკანასკნელ კადრებს აგროვებენ, რომ ვინაიდან ჩვენ, ბოლშევიკები, ბევრნი ვართ, ხოლო მავნებლები ცოტანი არიან, ვინაიდან ჩვენ, ბოლშევიკებს, მხარს გვიჭერენ ათეულმილიონობით ადამიანები, ხოლო ტროცკისტ მავნებლებს კი — მხოლოდ ერთეულები და ათეულები, ჩვენ შეგვეძლო, არც კი მიგვექცია ყურადღება რაღაც ერთი მუჭა მავნებლებისათვის.

ეს არ არის სწორი. **ეს უცნაურზე უცნაური თეორია გამოგონილია იმისათვის, რომ ანუგეშოს ზოგიერთი ჩვენი ხელმძღვანელი ამხანაგი,** რომელმაც მარცხი განიცადა მუშაობაში მავნებლობასთან ბრძოლის უნარის უქონლობის გამო და მიაძინოს მისი სიფხიზლე.

„დნეპრომშენის" ასაშენებლად საჭიროა ათეულათასობით მუშის გამოყენება, ხოლო მის ასაფეთქებლად შეიძლება საჭირო იყოს რამდენიმე ათეული კაცი. **ომის დროს რომ ბრძოლა მოიგო, ამისათვის შეიძლება საჭირო იყოს** წითელარმიელთა რამდენიმე კორპუსი, **ხოლო ეს მოგება რომ ჩაშალო ფრონტზე, ამისათვის საკმარისია** რამდენიმე ჯაშუში სადმე არმიის ან თუნდაც დივიზიის შტაბში, რომელთაც შეუძლიათ, მოიპარონ ოპერატიული გეგმა და გადასცენ იგი მოწინააღმდეგეს.

მაშასადამე, **არ შეიძლება, თავი ვინუგეშოთ იმით, რომ ჩვენ ბევრნი ვართ, ხოლო ისინი — ტროცკისტები და მავნებლები — ცოტანი.** უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ისინი — ტროცკისტი მავნებლები — სრულიად არ იყვნენ ჩვენს რიგებში!

ამხანაგებო, **უნარიანი ადამიანები, ნიჭიერი ადამიანები ჩვენ ათეულათასობით გვყავანან. ოღონდ საჭიროა, იცნობდე მათ და დროულად აწინაურებდე, რათა მათ ძველ ადგილზე ხავსი არ მოეკიდოთ და ლპობა არ იწყონ!**

რა გვაკლია ჩვენ? გვაკლია მხოლოდ ერთი რამ — მზადყოფნა, **მოვსპოთ ჩვენი საკუთარი უზრუნველობა, ჩვენი საკუთარი უდარდელობა და საკუთარი პოლიტიკური სიბეცე.** და როდესაც ჩვენ ბოლოს მოვუღებთ ამ იდიოტურ ავადმყოფობას, შევძლებთ, სრული რწმენით ვთქვათ, **რომ ჩვენთვის საშიში არ არიან არავითარი მტრები — არც შინაურნი, არც გარეშენი!**

## სანამ არსებობს კაპიტალისტური გარემოცვა, იარსებებენ მავნებლებიც, დივერსანტებიც, ჯაშუშებიც, მკვლელებიც და ტერორისტებიც, რომლებსაც ჩვენს ზურგში აგზავნიან უცხო სახელმწიფოთა მზვერავი ორგანოები!

*დასაწყისი იხ. „გენერალისიმუსი“, 2024 წლის №43–56*

## ეშმაკის სამოთხე...

... გერმანელი ხალხის მნიშვნელოვანი ნაწილი ფაუსტის მსგავსად ოცდაათხი წელიწადი იყო ეშმაკთან წილნაყარი. ბედისწერისა თუ დროის უცნაური თამაშით „ხელშეკრულების“ ვადა აქაც ოცდაათხი წლით განისაზღვრა: ნაცისტური პარტიის დაარსებიდან, ე.ი. შეთქმულების დასაწყისიდან „განკითხვის დღემდე“ ხომ სწორედ ოცდაათხი წელი გავიდა! ცხადია, ამას ისტორიული მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ, როგორც ლიტერატურული ალეგორია, მაინც საინტერესოა...

ამის თაობაზე ნიურნბერგის პროცესზეც იყო ლაპარაკი. როცა ინგლისელი ბრალმდებელი დევიდ მაქსუელ-ფაიფი „ნაცისტური შეთქმულების“ დაწყების თარიღს არკვევდა! სამხედრო ტრიბუნალის წევრმა ბიდლმა მიმართა მას:

— სერ დევიდ, ამასთან დაკავშირებით მე მინდა მოგცეთ რამდენიმე კითხვა. უწინარეს ყოვლისა, თქვენ უნდა დაადგინოთ შეთქმულების დაწყების თარიღი ან განაცხადოთ, რომ ამჟამად ეს არ შეგიძლიათ. თუ ეს ასეა, ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ბრალდების მხარემ არ იცის, როდის დაიწყო შეთქმულება? ანდა, თუ ეს თქვენთვის ცნობილია, ხომ არ გვეტყოდით ამ თარიღს.

**მაქსუელ-ფაიფი:** შეთქმულება დაიწყო ნაცისტური პარტიის დაარსებასთან ერთად.

**ბიდლი:** როდის იყო ეს?

**მაქსუელ-ფაიფი:** 1921 წელს.

**ბიდლი:** 1921 წელს?

**მაქსუელ-ფაიფი:** დიახ!..

**ბიდლი:** მაშინვე დაიწყო შეთქმულება აგრესიული ომების საწარმოებლად?

**მაქსუელ-ფაიფი:** დიახ, მაშინვე, დაიწყო იმით, რომ ჰიტლერმა განაცხადა: მე გარკვეული მიზნები მაქვს, ერთი მათგანია, დავარღვიო ვერსალის ხელშეკრულება და კიდევაც მივაღწევ ამას, თუნდაც საჭირო გახდეს ძალის გამოყენებაო. ასეთი იყო ყოველთვის ნაცისტური პარტიის მიზანი. მაშასადამე, თუ პიროვნებათა ჯგუფი შეთანხმდება, ჩაიდინოს უკანონო მოქმედება ან კანონიერი მოქმედება უკანონო საშუალებებით, — ეს არის დანაშაულებრივი შეთქმულება. შეთქმულება წარმოიშობა შეთანხმებით და არა იმ მოქმედების შედეგად, რაც ჩადენილი იქნება ამ შეთანხმების მიხედვით. ამრიგად, შეთქმულება დაიწყო 1921 წელს...

მას შემდეგ ოცდაათხი წელი გავიდა და მოხდა ფაუსტური ლეგენდისა და გერმანული სინამდვილის საოცარი გადაჯვარედინება, რაც შემდეგ თომას მანის „დოქტორ ფაუსტუსში“ მესამე იმპერიის დასასრულის ალეგორიულ გამოხატულებად იქცა...

ალბათ, ამიტომ იყო, რომ ნიურნბერგის პროცესზე ხშირად გაისმოდა ფაუსტისა და მისი მეორის — მეფისტოფელის სახელები. ამგვარ ლიტერატურულ ალეგორიას ბრალდებულებიც მიმართავდნენ, ბრალმდებლებიცა და დამცველებიც. შემდეგში ზოგიერთი ისტორიკოსიც მიჰყვა ამ მრუდე გზას და ვითომ თავისებური მაგისტრალიც გაავლო ფაუსტიდან ნიცშეს ზე-კაცის გავლით ჰიტლერამდე. ეს მკრეხელური თვალსაზრისი უფრო აღმაშფოთებელი იქნებოდა, ლოგიკურობას რომ იყოს მოკლებული. შეიძლება ესეც სატანის ლოგიკა იყოს, მაგრამ ის მაინც არის და მოითხოვს ანგარიშის გაწევას.

ამბობდნენ, ფაუსტი ადამიანურობის ფარგლებში ვერ ეტეოდა და მაგიური საშუალებებით ცდილობდა მსოფლიოს მთლიანობის შემეცნებას, ჰიტლერი კი — მსოფლიო ბატონობის მოპოვებასო. ამისთვის ორივე ჯოჯოხეთის ძალებს დაუკავშირდა და ბოროტებით მოინდომა უმაღლესი სიკეთის მიღწევა.

„ნუთუ ევროპის ცივილიზაცია არ აგებს ამაზე პასუხს?“ — იქნებ ყველაზე შემაძრწუნებელი კითხვა იყო იმ პროცესზე. ცივილიზაციის პასუხისმგებლობა საკონცენტრაციო ბანაკებზე, გაზკამერებსა და კრემატორიუმებზე, მილიონობით დახოცილ უდანაშაულო ადამიანებზე, იმ სადისტურ მეთოდებზე, რასაც ასეთი ტევტონური გახელებით მიმართავდნენ „ეშმაკის სამოთხეში“ — ჰიტლერის მესამე იმპერიაში. მართალია, Homo sapiens-იც საკონცენტრაციო ბანაკში იჯდა, მაგრამ მცველებადაც ხომ „გონიერი ადამიანი“ ჰყავდა მიჩენილი. ერთიც ცივილიზაციის მსახურია და მეორეც. ნაციონალ-სოციალიზმმა გახრწნა ფაუსტური სული და მეფისტოფელის სათარეშოდ აქცია მთელი ევროპა. მეცნიერება, ხელოვნება მან თავისი პოლიტიკის მონად გახადა და სრულ დეგრადაციამდე მიიყვანა.

●

ოცდაერთ აპრილს ჰიტლერმა შეკრიბა თავისი თანამებრძოლები და პირველად გაუმჟღავნა მათ, რომ ყველაფერი დამთავრებულია და გადაწყვეტილი აქვს, თავი მოიკლას. ცხადია, ეშმაკის ურთიერთობაზე მას არაფერი უთქვამს. ადრე კი, როცა კარგ ხასიათზე იყო, უყვარდა ხუმრობა, მე იმთავითვე ეშმაკის კვალზე შედგარს მეძახდნენო.

1942 წლის 8/9 იანვრის ღამით იგი ჰყვებოდა:

— ადრე ინტერესით ვკითხულობდი ბიბლიას, მაგრამ მერე მივატოვე. ერთხელ სკოლაში მასწავლებელმა მკითხა, ლოცვებს თუ ამბობ დილით, შუადღისას და საღამოთიო. ამაზე მე ვუპასუხე: არა, ბატონო, მე არ მესმის, ღმერთი როგორ დაინტერესდება მეორე კლასის მოწაფის ლოცვით-მეთქი. მასწავლებელი გაბრაზდა და დამიყვირა: დაეგდე, შე ღვთისაგან შეჩვენებულო. ეს რომ დედაჩემმა გაიგო, მითხრა, ეშმაკის კვალზე ხარ, შვილო, შემდგარიო...

ეს აღსარება „ჰიტლერის ანდერძის“ სახელითაა ცნობილი...

●

როცა ჰიტლერი ამ აღსარებას წარმოთქვამდა, მიუხედავად შინაგანი რწმენისა, საჯაროდ მაინც არ აცხადებდა, ომი წაგებულიაო, პირიქით, ყოველნაირად ცდილობდა, განემტკიცებინა წინააღმდეგობა და „შთაენერგა იმედი“. მართალია, ჯერ კიდევ თებერვალში ამბობდა, საათის ისრები თორმეტს უახლოვდებაო, მაგრამ გული მაინც არ იტეხდა, თუ, რა ვიცი, იქნებ სხვებს არ უტეხდა, და აცხადებდა: ვიდრე უკანასკნელი სასტვენის ხმა არ გაისმის, არცერთი თამაში არ არის წაგებულიო. „სასტვენის ხმას“ კი თითქმის არაფერი უკლდა. თითონ ჰიტლერი ხატავდა გაბრწყინის არმიის მძიმე მდგომარეობას:

— ორმოცდათოთხმეტი თვის მანძილზე მძიმე ბრძოლის შემდეგ ჩვენ დავრჩით მარტოდმარტო ისეთი კოალიციის პირისპირ, რომელსაც განზრახული აქვს, არამცთუ



შპეერი და ჰიტლერი

მარტოოდ მას შეუძლია ბედნიერების მოტანა გერმანელი ხალხისათვის.

ხალხი ჰიტლერისათვის წარმოადგენდა მასალას, საშუალებას, უპიროვნო და უსახო ბრბოს, რომლის ექსტაზში შეყვანა, ამხედრება და საკუთარი მიზნებისათვის დამორჩილება იყო საჭირო.

ჰიტლერი აბუჩად იგდებდა არამარტო ცალკეულ ადამიანებს, არამედ მთელ „პროფესიულ ჯგუფებს“. მას განსაკუთრებით სძულდა მამაკაცი მასწავლებლები: რა უშვერი სიტყვებით არ ლანძღავდა მათ, როგორ არ ამცირებდა! მერე იმუქრებოდა კიდეც, როდისმე ყველას საკონცენტრაციო ბანაკებში ჩავყრი, სკოლებში კი ფელდფებელებს გავაგზავნიო...

კიდევ უფრო მეტად ეჯავრებოდა იურისტები. ამბობდა, ყველანი ბოროტმოქმედნი და დეფექტურები არიანო. ერთადერთ გამონაკლისად თავისი კანცელარიის უფროსს ლამერსს თვლიდა: მიუხედავად იმისა, რომ იურიდიული განათლება აქვს მიღებული, საღი გონება მაინც შეინარჩუნაო, ამბობდა იგი. სამაგიეროდ, ფინანსისტებს ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე „გაიძვერებსა“ და „ვიგინდარებს“ უძახდა. სასულიერო პირთა დანახვაზე ხომ სულ ცოფდებოდა, იმუქრებოდა, ერთხელაც იქნება და მაგათაც გავუსწორდებიო. სიტყვა „პროფესორი“ ნერვებს უშლიდა. ქვეყანა რომ პროფესორებს ჩაუგდო ხელთ, რამდენიმე ათასი წლის შემდეგ მხოლოდ კრეტინები ივლიან ამქვეყნადო, ამბობდა იგი. საერთოდ, ვერ იტანდა ინტელიგენციას, „ერის ნაყარნუყარს“ უწოდებდა და გაურბოდა მასთან შეხვედრას, რადგან ამჩნევდა, მისი დაუსრულებელი „ისტორიული ექსკურსების“ დროს რომ ის „განათლებული მაწანწალები“ ღიმილს ვერ იკავებდნენ. სამაგიეროდ, გონებაშეზღუდულ თანამებრძოლებსა და მათს მეუღლეებთან, კინოვარსკვლავებთან თუ მზარეულებთან უფრო თავისუფლად გრძნობდა თავს, ასევე — უპიროვნო ბრბოს წინაშე. აქ, რაც უნდოდა, იმას ლაპარაკობდა, როგორც უნდოდა, ისე გადმოსცემდა ყურმოკრულ ისტორიულ ფაქტებს. იგი ხელების ქნევით, თვალების ბრიალითა და პაროქსიტული ჟესტებით აბრუებდა მსმენელთ, ჰიპნოზიორის ძალით ბოჭავდა მათს ნებისყოფას და იმორჩილებდა, მერე კი ვაზნებივით აწყობდა სავაზნეში და „იწყებდა სროლას“...

## ღმერთების დასასრული

...21 აპრილს უკანასკნელი დიდი სამხედრო თათბირი გაიმართა თავშესაფარში. ჰიტლერმა პირველად ამ თათბირზე განაცხადა, ომი წაგებულია და გადაწყვეტილი მაქვს, თავი მოვიკლაო. ხმა არავის იმსახურებს რამე სხვას, გარდა სამარცხვინო სიკვდილისა...

ეს არ იყო მხოლოდ უფსკრულის პირას მდგარი ადამიანის ისტერია, ჰიტლერი ადრეც გამოთქვამდა ამგვარ კაცთმოძულე იდეებს.

— თუ აღმოჩნდება, რომ გერმანელი ხალხი არ არის საკმაოდ ძლიერი და მომზადებული იმისათვის, რომ მსხვერპლი გაიღოს, სისხლი დაღვაროს საკუთარი არსებობისათვის, დაე, დაიღუპოს იგი, მოსპოს უფრო ძლიერმა ძალამ...

1934 წელს მან რაუშნინგს უთხრა:

— თუ მე წავაგებ ჩემს მიერ ჩაფიქრებულ ომს, მთელ მსოფლიოს ჩავითრევ ამ კატასტროფაში.

ეს რომ თქვა, თურმე სიმღერაც წამოიწყო...

იგი „მღეროდა“ არიას ვაგნერის ოპერიდან ღმერთების დასასრული“...

●

... იმ დღეს გებელსმაც უკანასკნელი თათბირი გამართა პროპაგანდის სამინისტროში. თანამშრომლები კინოდარბაზში შეგროვდნენ. კინოოპერატორებიც მოწვეული იყვნენ, რათა ეს „ისტორიული მომენტი“ გადაეღოთ, მაგრამ დენი შეწყდა და სანთლები აანთეს. ქალაქი იწვოდა. გებელსი ბრწყინვალე შავ ფრაკში გამოწყობილი მოვიდა და ისევ გერმანელი ხალხის ლანძღვა-გინებას მოჰყვა. იგი გაცოფებული იყო, რომ ხალხმა არ აიტაცა ფიურერის მოწოდება „თვითმსხვერპლშეწირვის“ შესახებ, არ გამოიჩინა მზადყოფნა, დიდიან-პატარიანად დაედოთ თავი ნაციონალ-სოციალისტური იდეების სამსხვერპლოზე.

გებელსმა გაიცინა. ეს იყო რაღაც საოცარი, შემზარავი ჯოჯოხეთური სიცილი... ისეთი, როგორიც შეშლილობის მიჯნამდე მისულ ლევერკიუნს აღმოხდებოდა ხოლმე. გაოგნებული და შეძრწუნებული თანამშრომლები ზიზღით მისჩერებოდნენ ამ გაშმაგებულ კაცუნას. ის კი ცალ ფეხზე შეტრიალდა და კარებისაკენ გაემართა. სახელურს რომ ხელი მოჰკიდა, ისევ დარბაზისაკენ შემობრუნდა და დაიყვირა:

— ჩვენ წავალთ! მაგრამ ისე, რომ დედამიწამ ზანზარი დაიწყოს!..

●

ჰიტლერი შეუდგა თავისი საიდუმლო სეიფების დასუფთავებას; რაღაცები გადაალაგ-გადმოალაგა, დანარჩენი ადიუტანტს გადასცა, დაწვითო...

მერე კაიტელი და ბორმანი იხმო.

— მე არასოდეს დავტოვებ ბერლინს, არასოდეს! — ისევ იყვირა მან, თითქოს ეს პირველად ეთქვას. მერე პრესის წარმომადგენელს დაუძახა და ჰკითხა, ჩემი მიმართვები თუ არისო ქალაქში გაკრურერ? — სცადა კაიტელმა, გადაეთქმევინებინა ჰიტლერისათვის თავისი გადაწყვეტილება ბერლინში დარჩენის შესახებ.

— ჩემი პოზიცია მტკიცეა და არ შემიძლია მისი შეცვლა, — მიუგო ჰიტლერმა, — მე ვიბრძოლებ მანამ, ვიდრე უკანასკნელი ჯარისკაცი დარჩება ჩემთან... როცა ისიც მიმატოვებს, თავს მოვიკლავ...

ნიურნბერგში დაკითხვის დროს კაიტელმა განაცხადა:

— იმ დღეს ფიურერმა ძალიან მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. ადრე ეჭვი არასოდეს შემპარვია მის ფსიქიკურ სრულფასოვნებაში. 1944 წლის 20 ივნისის თავდასხმის მიუხედავად, იგი ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზე იდგა. 22 აპრილს კი მე დავინახე, რომ მას მორალური სიმტკიცე უკვე აღარ ჰქონდა. ფიურერის წინააღმდეგობის ძალა გატეხილი იყო.

●

... ჰიტლერი გალიაში მომწყვდეული აფთარივით იღრინებოდა, გებელსი კი, როგორც ბერლინის დაცვის უმაღლესი კომისარი, ისტერიულ ბრძანებებს იძლეოდა:

— ყველამ, ქალმა თუ კაცმა, უნდა დაიცვას თავისი სახლი, თავისი ბინა, თავისი ოთახი!..

— არ დაუშვათ მტერი ბერლინის ცენტრში!..

გენერალური შტაბი უკანასკნელ რეზერვებს ეძებდა. ციხეებიდან გამოუშვეს სისხლის სამართლის დამნაშავენი და სამხედრო ჯგუფები ჩამოაყალიბეს. შეიქმნა „ქალთა ლეგიონებიც“, მერე — გოგონათა ბატალიონი „ადოლფ ჰიტლერი“ შეაკოწიწეს, ხოლო მცირეწლოვანთათვის რაღაც „ვეერფოლფები“ მოიგონეს, პარტიზანული ომის გასაჩაღებლად. ბერლინის ქუჩებში ატირებული დადიოდნენ თოფაკიდებული ბავშვები...

„გარესამყაროდან“ უკვე მხოლოდ რადიოტელეფონით უკავშირდებოდნენ ჰიტლერის კაბინეტს. თუ ვინმე გაბოროტებულ გულზე ჰკითხავდა, რა ვუყოთ ტყვეებს, ტუსაღებს ან დამნაშავეთო, ჰიტლერს მხოლოდ ერთი პასუხი ჰქონდა:

— დახვრიტეთ ყველა, დაუყოვნებლივ დახვრიტეთ!..

ასე ჰკითხეს მას გერდელერის, კანარისის, ფრომისა და სხვათა შესახებ, რომელნიც ჯერ კიდევ ციხეში იყვნენ.

— დახვრიტეთ! — გაისმა ჰიტლერის მოკლე პასუხი...

მეორე დღეს გერდელერი, კანარისი, ფრომი და სხვები გაიყვანეს ციხის ეზოში და, „სხვა ხელსაწყო“ რომ ხელთ არ ჰქონდათ, როიალის მავთულებზე ჩამოახრჩვეს...

... 23 აპრილს ჰიტლერს დამბლა დაეცა და ცოტათი მაინც დაცხრა. იმ დღეს აღარ ისმოდა



მიხეილ კვესელავა

# ას ერგასის

დაგვამარცხოს, არამედ მოგვსპოს. მდგომარეობა სერიოზულია, ძალიან სერიოზული, შეიძლება უნუგეშოც, მაგრამ მოწინააღმდეგეებსაც აქვთ თავიანთი სუსტი მხარეები. ჩვენ პირისპირ დგას არა ერთსულოვანი კოალიცია, არამედ უბრალო კონგლომერატი. იგი შეკავშირებულია შურითა და სიძულვილით, შედუღაბებულია იმ შიშით, რასაც ნაციონალ-სოციალიზმის დოქტრინა იწვევს მათში. ვიდრე ჩვენ ვიბრძვით, კიდევ არის რაღაც იმედი და ესეც საკმარისია იმისათვის, რომ შევწყვიტოთ წუწუნი იმაზე, რაც უკვე დაკარგულია.

●

იოდლი ამბობდა ნიურნბერგის პროცესზე:

— ჰიტლერს ჰქონდა თავისი, როგორც გერმანელი ხალხის ფიურერისა და უმაღლესი მთავარსარდლის, აბსოლუტური შეუცდომლობის მისტიკური რწმენა. იგი შეპყრობილი იყო იდეით, რომ ისაა განგების მიერ რჩეული და მხოლოდ ამოუღია, გებელსი ყვიროდა მხოლოდ:

— გერმანელი ხალხი არასრულფასოვანი აღმოჩნდა, ნაციონალ-სოციალისტური იდეები აღემატება ასეთი ხალხის ნიჭსა და უნარს!..

მერე ჰიტლერიც აჰყვა:

— გერმანელები იმდენად უსუსურნი არიან, რომ არ შეუძლიათ, შეიგნონ და განახორციელონ ჩემი იდეები, — განაცხადა მან. მერე ჩვეულებრივმა ისტერიამ მოუარა:

— თუ მე დავიღუპები, დაე, დაიღუპოს გერმანელი ხალხიც! — წამოიძახა ჰიტლერმა, — ვინც ამ კატასტროფული მარცხის შემდეგ ცოცხალი დარჩება, ის არ იქნება სრულფასოვანი გერმანელი!..

იგი ამ დროს მართლაც შეშლილსა ჰგავდა. სახეზე ხვითქი გადასდიოდა, ბაგეზე დორბლი ჰქონდა მორეული, ხელები უცახცახებდა, ენაც ებმოდა, მაგრამ მაინც ყვიროდა:

— რაკი გერმანელი ხალხი მხდალი და სუსტი აღმოჩნდა, იგი არ ლი. კაიტელს კი დაავალა:

— ახლავე გაფრინდი ბერჰტესგადენში...

— უთქვენოდ არსად წავალ! — შეაწყვეტინა მას კაიტელმა.

ჰიტლერმა იოდლი იხმო.

— თქვენ წადით სამხრეთში!..

წინადადება დამთავრებული არ ჰქონდა, რომ რატომღაც ბორმანს შეუღრინა, გადი გარეთო.

ბორმანი გაიძურწა. კაბინეტში სამნი დარჩნენ: ჰიტლერი, კაიტელი და იოდლი. ჰიტლერმა უკვე მეათედ გაიმეორა, ბერლინში ვრჩებიო და დაუმატა, უკანასკნელ მომენტში თავს მოვიკლავო.

— მეტი ბრძოლა აღარ შემიძლია, — თქვა მან, — მე უკვე ფიზიკურად მოტეხილი ვარ... არ მინდა, ცოცხალი ან მკვდარი ჩავუვარდე მტერს...

კაიტელმა და იოდლმა პირობა მისცეს, დიდძალ ჯარებს გამოვგზავნით სამხრეთიდან ბერლინისკენო:

— ამ ჯარებს ხომ აქედან ვერ უხელმძღვანელებთ, ჩემო ფიუ-

# დღე



იბეჭდება შემოკლებით. ტ. II „ევროპის მოტაცება“

მისი ისტერიული კივილი. ამბობენ, ფიზიკურადაც იგრძნო დასასრულის მოახლოება და ბედს შეურიგდაო. ახლა მასზე საცოდავი კაცი მართლაც არავინ იყო ქვეყნად. ყველაფერი გათავდა: დაუოკებელი ოცნებები, მსოფლიო ბატონობის იდეები, გაუგონარი გამარჯვებები, დაუსრულებელი ზეიმები, უსაზღვრო აღფრთოვანება და გაღმერთება... დარჩა ხელისგულისოდენა „იმპერია“ და ისიც რამდენიმე დღით. სხვა ყველაფერი შეიმუსრა და განადგურდა. თვითონაც ნანგრევებად იქცა და იგრძნო, „ჯოჯოხეთის ანგელოზი“ რომ წამოადგა თავს. იმ დროს ერთი მასთან მყოფთაგანი წერს:

— იგი უცდიდა სიკვდილს, როგორც გათავისუფლებას ამ მძიმე ცხოვრებიდან...

სხვაც ბევრი იზიარებდა ამგვარ ხვედრს.

— ჩვენი სიცოცხლეც აქ უნდა დასრულდეს! — წამოიძახა ბორმანმა, ნამდვილად კი ჰიტლერის დაცემას დაელოდა და მერე შეეცადა, გაქცეულიყო...

... უკვე გაქცეული შპეერი კი, რომელიც ნიურნბერგში ირწმუნებოდა, ჰიტლერის მოწამვლა მინდოდაო, „სინდისის ქენჯნამ“ შეაწუხა, „გადაბუგული მიწის“ კანონისადმი საბოტაჟით ფიურერის უნებური საქმე რომ გააკეთა, და ბერლინში მოინდომა ჩასვლა „ცოდვის მოსანანიებლად“. სახელმწიფოებრივი მოვალეობა და ფიურერისადმი პირადი ერთგულება იბრძოდა ჩემშიო, ამბობდა იგი შემდეგ. იცოდა, ჰიტლერი რომ იაფად არ დაუსვამდა ამ თვითნებობას, და ეშინოდა, ბერლინში რომ ჩავიდე, სულსაც გამაფრთხობინებსო. მაგრამ ბოლოს მაინც „პირადმა ერთგულებამ“ გაიმარჯვა და გადაწყვიტა, ამ საბედისწერო ჟამს თვალი გაესწორებინა თავისი ფიურერისათვის და მისი „მაღალი სამსჯავროს“ წინაშე წარმდგარიყო. ეს კი უკვე არცთუ ისე ადვილი საქმე იყო. ქალაქს ალყა ჰქონდა შემორტყმული. საბჭოთა არმიის ნაწილები დედაქალაქის გარეუბნებში იბრძოდნენ. შპეერმა მაინც მიიღო გაბედული გადაწყვეტილება: რეჰლინამდე ავტოთი იმგზავრა, მერე თვითმფრინავით დაეშვა გატოვში. აქ „ფიზელერ შტორჰში“ იშოვა და პირდაპირ ბრანდენბურგის ალაყაფის კარებთან დაჯდა. როცა იგი ჰიტლერთან შევიდა, იქ იყვნენ ბორმანი, გებელსი, კრებსი და ევა ბრაუნი.

შპეერმა აღსარება წარმოთქვა: ყველაფერს მოჰყვა, რაც ჰიტლერის განკარგულებათა საწინააღმდეგოდ გააკეთა, და თავის პირად ერთგულებაშიც სცადა მისი დარწმუნება.

— ახლა კი აქა ვარ, თქვენს წინაშე, — დაამთავრა მან.

ჰიტლერს არაფერი უთქვამს. არც დაუპატიმრებია და არც დაუხვრეტია. რატომ? სხვას ხომ ამას არ აპატიებდა? არც არავისთვის უპატიებია ასეთი რამ. იქნებ უკვე ამის თავი აღარ ჰქონდა, ასე იყო დამბლისაგან მოტეხილი. დიდი ხანია, რაც იგი ისე მოთვინიერებული და ადამიანური არ მენახაო, წერს თვითონ შპეერი. ჰიტლერს ისე უყვარდა იგი, რომ თავის დღეში ავი სიტყვით არ მოიხსენიებდა, პირიქით, „ყველა დროის უდიდეს გენიად“ თვლიდა მას როგორც არქიტექტორს. ამიტომაც სწყინდა, იმანაც მიმატოვაო, მაგრამ ასეთ მძიმე პირობებში რომ ეახლა, ისევ მოიბრუნა მისკენ გული...

... შპეერი რვა საათი დარჩა თავშესაფარში. მთელი ამ ხნის განმავლობაში ინგლისელები და ამერიკელები ბომბავდნენ ბერლინს. ცეცხლი ეკიდა რაიხსკანცელარიას, იწვოდა გებელსის პროპაგანდის სამინისტროც. ჰიტლერი უკვე პანიკურად გაიძახოდა:

— მე აქ მოვკვდები, თავშესაფარში. არ მინდა ზევით ასვლა და ბარიკადებზე ბრძოლა, ვაითუ დავიჭრა და მტერმა მიგდოს ხელთ. არც ჩემი გვამი მინდა მივცე მათ შეურაცხყოფის მისაყენებლად.

პირველად იმ დღეს გასცა მან განკარგულება, რომ სიკვდილის შემდეგ მისი გვამი დაეწვათ.

## უკანასკნელი ანდერძი...

ყველა საქმე რომ მოათავა, ჰიტლერმა უკანასკნელად თავისი „პოლიტიკური ანდერძი“ უკარნახა მდივან ქალს:

ვიდრე მოვკვდებოდე, ყოფილ რაიხსმარშალ გერინგს ვრიცხავ პარტიიდან, ვართმევ ყველა ორდენს და ვაუქმებ 1941 წლის 29 ივნისის კანონს ჩემს მემკვიდრედ მისი დანიშვნის შესახებ... გერინგის მაგიერ მე ვნიშნავ ადმირალ დენიცს იმპერიის პრეზიდენტად და შეიარაღებული ძალების უმაღლეს მთავარსარდლად.

— ვიდრე მოვკვდებოდე, ესესის ყოფილ რაიხსფიურერსა და შინაგან საქმეთა მინისტრს ჰიმლერს ვრიცხავ პარტიიდან და ვართმევ ყველა ხარისხსა და ორდენს. მის ადგილზე ვნიშნავ გაულაიტერ ჰანკეს.

ვამტკიცებ ახალი მთავრობის შემადგენლობას:

რაიხსკანცლერი — გებელსი.

ნაციონალ-სოციალისტური პარტიის მინისტრი — ბორმანი.

საგარეო საქმეთა მინისტრი — ზეის-ინკვარტი.

სამხედრო მინისტრი — დენიცი.

პროპაგანდის მინისტრი — ნაუმანი.

ფინანსთა მინისტრი — შვერინკროზიკი.

სახმელეთო ჯარების სარდალი — შერნერი.

ავიაციისა — გრაიმი.

... თავშესაფარში უკანასკნელი სამხედრო თათბირი გაიმართა. ჰიტლერთან იყვნენ ბორმანი, გებელსი, კრებსი, ბურგდორფი, ჰაველი, ფოსი, ბელოვი, ლორინგჰოფენი და ბოლდტი. ეს იყო მესამე იმპერიის უკანასკნელი შტაბი. სხვები დაიფანტნენ. კრებსმა მოხსენებაში განაცხადა, რომ სამი კაცი გაგზავნა გენერალ ვენკთან და შეუთვალა, იჩქაროს, თორემ რუსები საცაა რაიხსკანცელარიამდე მოაღწევენო.

ეს უკვე „გედის სიმღერა“ იყო, მაგრამ ყალბ ნოტზე წარმოთქმული. ვენკი ამ დროს უკვე ხელებაწეული მიჰყავდათ საბჭოთა ჯარისკაცებს...

ევროპის ორი დიქტატორი ერთად მიუახლოვდა აღსასრულის ჟამს. იმ დღეებში დუჩესაც ისეთივე გასაჭირი ადგა, როგორიც ფიურერს. იმანაც გადაიწყვიტა ყოველგვარი იმედი.

— ახლა უკვე არაფრის გაკეთება აღარ შეიძლება, არაფრის! — უთხრა მან თავის მინისტრს. — მე და ჰიტლერი მთვარეულებივით ავყევით ილუზიებს. არაფერი ისე არ გამოდიოდა, როგორც ჩვენ გვქონდა განზრახული. გვეგონა, რუსეთს გავთიშავდით მოკავშირეებისაგან, მაგრამ დავმარცხდით. მერე ახალი იარაღის იმედი გვქონდა... ახლა ისღა დაგვრჩენია, ვიცრუოთ, რათა ვაიძულოთ ხალხი, ბოლომდე გამოგვყვეს.

ინგლისელმა ისტორიკოსმა ტრეფორმა მესამე იმპერიას „სიცრუის იმპერია“ (The empire of lies) უწოდა. არც ამდენი სიცრუით გამოვიდა რამე, თუმცა, „დიდი ტყუილების“ ოსტატ ჰიტლერის მსგავსად მუსოლინიმაც გადმოისროლა თავისებური ლოზუნგი:

— ჩვენი დევიზია: ვიცრუოთ, რათა გავიმარჯვოთ!..

სიცრუეს კი, მოგეხსენებათ, არც ისე გრძელი ფეხები აქვს. ამით ვერც ჰიტლერი გავიდა ფონს და ვერც მუსოლინი. ორივეს ერთდროულად დაუდგა დასასრული. მთელი ცხოვრების მანძილზე ნერონის პოზაში მდგარი დუჩე ისევე ლაჩრულად მოკვდა, როგორც მისი „დიდი წინაპარი“..

მე ყველაზე უბედური იმპერატორი ვარ, რადგან სიცოცხლეშივე ვკარგავ ძალაუფლებასო, თქვა ნერონმა, როცა შეამჩნია, რომ მისი ტახტი შეირყა. იგი მართლაც განწირული იყო. რომის იმპერია დაიშალა. თანამებრძოლებმა შეთქმულება მოუწყვეს, ხალხი ბობოქრობდა, მოქალაქეები ამსხვრევდნენ მის ძეგლებს... სიკვდილის შიშით შეძრწუნებულ იმპერატორს მოსვენება დაეკარგა. ღამით კოშმარები აწუხებდა: მის მიერ დახოცილნი მოუხმობდნენ სამარისაკენ, მათ შორის მამა, დედა, ცოლები! უნდოდა, ისევ სისხლში ჩაეხრჩო მოწინააღმდეგენი, ამოეწყვიტა პროვინციათა მეთაურები, მოეწამლა სენატორები, გაეჟლიტა საკუთარი მხედრიონი და ხელახლა დაეწვა რომი, მაგრამ უკვე ძალა აღარ შესწევდა. ისიც მოინდომა, როგორმე თავი შეებრალებინა მოწინააღმდეგეთათვის, პატიება ეთხოვა პართენონისათვის, ცრემლით მოელბო „დაუძინებელი მტრის“ გალბას გული, ძაძებით შემოსილიყო და ისე წარმდგარიყო აღშფოთებული ხალხის წინაშე, რათა დაეცხრო მათი მრისხანება. მაგრამ ყოველივე ამაო იყო. ყველამ მიატოვა, მისმა ერთგულმა პალადინებმაც უღალატეს, მცველები გაექცნენ...

იმედგადაწყვეტილმა ნერონმა ძაძები ჩაიცვა, თავი ზეწრით შეიხვია და ოთხი ერთგული პრეტორიანელის თანხლებით ღამით ქურდულად გაიპარა რომიდან. ერთხანს ქალაქგარეთ იმალებოდა ეკალ-ბარდებში, მერე ზომა ააღებინა და საფლავი ამოათხრევინა თავისთვის. მოიტანეს შეშა, წყალიც — „გვამის გასაპატიოსნებლად“. სადღაც მარმარილოს კენჭებიც აშოვნინა „საფლავის შესამკობლად“. დაჯდა და მოჰყვა მოთქმას. ოჰ, რა დიდებული მსახიობი კვდებაო, წამოიძახებდა ხანდახან, მაგრამ აყოვნებდა, ვერ ბედავდა უკანასკნელი ნაბიჯის გადადგმას. მერე თავის სულმოკლეობასა და გაუბედაობას უჩიოდა.

— გამაგრდი, ნერონ, ეს არ შეჰფერის შენს ღირსებას! — ამხნევებდა იგი თავის თავს და, როცა მოწინააღმდეგეთა მხედრები მოუახლოვდნენ, პრეტორიანელ ეპაფროდიტის დახმარებით ხანჯალი გაირჭო კისერში...

მუსოლინიმ ესეც ვერ გაბედა, თუმცა, საჯაროდ განაცხადა, „იარაღით ხელში მოვკვდები ბრძოლის ველზეო“ და ადგილიც აირჩია „უკანასკნელი ბრძოლისათვის“ ვალტელინეს დაბლობში. მუსოლინი ჰიტლერივით საკუთარ ილუზიებს იყო აყოლილი. იგი ხან ინგლისელებს უგზავნიდა შუამავლებს, ხანაც — ამერიკელებს. ბერნში თავისი ვაჟი ვიტორიოც გაგზავნა, მაგრამ შვეიცარიის მთავრობამ უარი თქვა მის მიღებაზე. მერე თვითონაც მოინდომა, ლოზანაში ჩასულიყო, აქაოდა, ჰიტლერის წერილი მაქვს, საიდანაც ჩანს, თუ როგორ გადავარჩინე შვეიცარია ოკუპაციასო, მაგრამ მელას ვინ დაუჯერებდა, თუნდაც მოწმედ თავისი კუდი მოეყვანა.

სასოწარკვეთილმა დუჩემ ამის შემდეგ სცადა, ბადოლიოს დაკავშირებოდა, მაგრამ ეს იმედიც გაუცრუვდა.

ჰიტლერსა და მუსოლინისთან არავის სურდა მოლაპარაკება...

... 17 აპრილს მუსოლინი მილანში ჩავიდა და ისევე გაკადნიერდა, როგორც თავის დროზე ნერონი: მოინდომა, კავშირი შეეკრა „წინააღმდეგობის კომიტეტთან“. 25 აპრილს იგი შეხვდა კიდეც პარტიზანული რაზმების მეთაურს, გენერალ კარდონას. გენერალმა, ცხადია, უსიტყვო კაპიტულაცია მოითხოვა. მუსოლინიმ და გრაციანიმ ბევრი იძახეს, ეს ჩვენგან ღალატი იქნება მოკავშირე გერმანიისადმიო, მაგრამ ესეც, წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო, იმასა ჰგავდა. საბოლოო კატასტროფის წინაშე მდგარი გერმანია მაშინ თვითონ აწარმოებდა მოლაპარაკებას დასავლეთის სახელმწიფოებთან...

მუსოლინიმ იგრძნო, საშველი რომ აღარ იყო, და ითხოვა, მოლაპარაკება ერთი საათით შეეწყვიტათ. მერე ფარულად დატოვა იქაურობა და კომოში გაიქცა, სადაც მას ვითომ სამი ათასი ერთგული „შავხალათიანი“ ელოდა. აქედან შვეიცარიაც ახლოს იყო, რათა საჭირო შემთხვევაში საზღვარზე გადასულიყო. მაგრამ მთელი ის არემარე უკვე პარტიზანებს ჰქონდათ დაპყრობილი. მათ შეიტყვეს, რომ სოფელ მუსოსაკენ ავტომანქანების დიდი კოლონა მიემართებოდა, აქ იყვნენ გერმანელებიცა და იტალიელებიც...

... 27 აპრილი ნისლიანი დღე იყო. ცივი ქარი უბერავდა. ავტომანქანების კოლონას ჯავშნიანი მანქანა, ტყვიამფრქვევით შეიარაღებული მოტოციკლისტები და ოცდათვრამეტ სატვირთო ავტომობილზე მსხდომი შეიარაღებული გერმანელები იცავდნენ.

სოფელ მუსოში მათ წინ გადაუდგა პარტიზანული რაზმის მეთაური, მეტსახელად პედრო, და შეაჩერა. ეს გაბედული ნაბიჯი იყო. პედროს იმ მიდამოებში სულ თვრამეტი პარტიზანი ჰყავდა. ამიტომ იცრუა: დაგვნებდით, თორემ ჩვენმა რაზმელებმა უკვე მიზანში ამოგიღეს და რამდენიმე წუთში გაგანადგურებთო.

ამას ისე დაბეჯითებით ამბობდა, თითქოს მართლა ჰყავდა ასეთი რაზმები.

გერმანელმა კაპიტანმა პროტესტი განაცხადა, ჩვენი ჯარების შეუფერხებლად გატარების შესახებ შეთანხმებაა დადებულიო, მაგრამ პედრომ ეს მხედველობაში არ მიიღო და ისევ თავისი „ძლიერი რაზმები“ შეახსენა. თან დროის იგებდა, რომ მაშველ რაზმებს მოესწროთ. ამიტომაც უთხრა კაპიტანს, მე ასეთ საკითხს ვერ გადავწყვეტ და შტაბში გამომყევით მოსალაპარაკებლადო.

ორი საათი ისე გავიდა, რომ კაპიტანი არ დაბრუნებულა „მოლაპარაკებიდან“. იტალიელები ღელავდნენ. ზოგი ფიქრობდა, მიებაძა მარშალ გრაციანისათვის, რომელიც უკან გაბრუნდა, რათა ინგლისელებს ტყვედ დანებებოდა. არც სამი ათასი „შავხალათიანისაგან“ გამოვიდა რამე. პავოლინიმ მხოლოდ თორმეტი კაცი მოაგროვა. მუსოლინი და მისი მთავრობის წევრები ღელავდნენ. მათი მანქანები ძვირფასეულობითა და პირადი დოკუმენტებით იყო დატვირთული.

რამდენიმე ხნის შემდეგ კაპიტანი დაბრუნდა და აცნობა, რომ გერმანელებს გაატარებდნენ დოკუმენტების შემოწმების შემდეგ, იტალიელები კი უნდა დანებებოდნენ პარტიზანებს. მათ ჯერ აზრადაც არ მოსდიოდათ, რომ იტალიელთა შორის მუსოლინი და მისი მთავრობის წევრები იყვნენ.

კაპიტანმა ხერხი იხმარა: მუსოლინის გერმანული შინელი ჩააცვა, შავი სათვალე გაუკეთა და იტალიური ჯავშნოსნიდან გერმანულ სატვირთო მანქანაზე გადასვა.

რამდენიმე კილომეტრის გავლის შემდეგ მაინც ყველანი დააკავეს. ჯავშნოსანმა მანქანამ სცადა, გაქცეულიყო, მაგრამ პარტიზანებმა ხელყუმბარები ესროლეს და დააზიანეს. პავოლინი და ორიოდე სხვა ჯავშნოსნიდან გადმოხტნენ, მაგრამ გაქცევა ვერ მოასწრეს...

... პარტიზანი ჯუზეპე ნეგრი დოკუმენტების შესამოწმებლად აძვრა სატვირთო მანქანაზე, სადაც მუსოლინი იყო დამალული. ჯუზეპემ გერმანელ ჯარისკაცებს საბუთები გაუსინჯა. ერთი „ჯარისკაცი“ ძარაში იწვა და თავზე რკინის მუზარადი ჰქონდა ჩამოფხატული. მთვრალია, ხელი არ ახლოთო, ურჩიეს ჯუზეპეს გერმანელებმა. ჯუზეპემ საყელო ჩამოუწია „მთვრალ ჯარისკაცს“ და მაშინვე იცნო, მაგრამ არაფერი უთქვამს, ისე გაიქცა ბრიგადის კომისართან და უჩურჩულა:

— ბილ, იქ პუზანია!

იტალიელი პარტიზანები მუსოლინის „პუზანს“ ეძახდნენ. კომისარი მოულოდნელობისაგან გაშეშდა. მერე სატვირთო მანქანასთან მივიდა და „მთვრალ ჯარისკაცს“ დააკვირდა. მუსოლინი ისევ მოკუნტული იწვა ძარაში და შიშისაგან გაოგნებული ცახცახებდა.

— იტალიელი ხალხის სახელით გიცხადებთ, რომ თქვენ დაპატიმრებული ხართ! — მიმართა მას კომისარმა.

ყოფილი დუჩე მანქანიდან ჩამოათრიეს და წაიყვანეს. ხელთ კი ადვილად იგდეს, მაგრამ ტყვედ შენარჩუნებას დიდი სიმამაცე და საზრიანობა უნდოდა: მთელი ის მხარე მოხეტიალე ფაშისტებით იყო გავსებული, მუსოლინის „ლაიბ-გვარდიას“ კი ახლა ერთი მუჭა პარტიზანები შეადგენდნენ. ამერიკელებიც, რომლებთანაც მუსოლინის ვაჟს ვიტორიოს კავშირი დაემყარებინა, გაფაციცებით დაეძებდნენ დუჩეს...

პარტიზანებმა ისევ ხერხს მიმართეს, მუსოლინის თავი ბინტით შეუხვიეს, ვითომ ესეც დაჭრილი პარტიზანიაო, და ისე გააპარეს სადღაც. მასთან ერთად — მისი ხასა კლარა პეტაჩიც, ესპანეთისდროშიანი მსუბუქი მანქანით რომ მიჰყვებოდა კოლონას ძმასთან ერთად, რომელიც თავს ესპანეთის ელჩად აცხადებდა!

ეს იყო ორი ფაშისტი დიქტატორის ბედის საოცარი დამთხვევა: აქეთ — დუჩე და კლარა პეტაჩი, იქით — ფიურერი და ევა ბრაუნი, განსხვავება? პირველი წყვილი უკვე დაპატიმრებული იყო, მეორე კი საწამლავითა და რევოლვერით ხელში იჯდა ჯურღმულში და სიკვდილს ელოდა...

... 28 აპრილს მუსოლინი, მისი თექვსმეტი მინისტრი და კლარა პეტაჩი სიკვდილით დასაჯეს.

მუსოლინისა და პეტაჩის გვამები სატვირთო მანქანით წაიღეს მილანში და ბოძზე თავქვე დაჰკიდეს. ხალხი ქვებს ესროდა და აფურთხებდა მათ. შურისმაძიებელმა მილანელებმა ესეც არ აკმარეს: გვამები ბოძიდან ჩამოხსნეს და კანალიზაციის ჭუჭყში ჩააგდეს, მეორე დღეს კი მილანის დიდ სასაფლაოზე გადაიტანეს და მათხოვრებისათვის გამოყოფილ კუთხეში ჩამარხეს...

●

ამ ამბავმა მაშინვე მიაღწია ბერლინამდე და ჰიტლერის ბუნაგშიც ჩაძვრა. მალე იქ მიიტანეს გაზეთებიც, სადაც გამოქვეყნებული იყო თავდაღმა დაკიდებული მუსოლინისა და პეტაჩის ფოტოები. ჰიტლერმა რომ ამ სურათებს დახედა, ისტერიულად იყვირა:

— არა, მე ეს არასოდეს მომივა, არასოდეს!..



მუსოლინი და ჰიტლერი – ევროპის ორი დიქტატორი

## რეპორტაჟი ნიურნბერგის პროცესიდან ★

გაგრძელება შემდეგ ნომერში

★ **მიტროპოლიტის სიტყვა**



# ეპისკოპოსი ლუკა:

# დაე, ცოდვას ვებრძოლოთ და არა – უფალს!

***უკრაინაში მართლმადიდებელ სარწმუნოებასთან ბრძოლამ მძაფრი ხასიათი მიიღო. გვესაუბრება უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ეპისკოპოსი, ზაპოროჟიესა და მელიტოპოლის მიტროპოლიტი ლუკა (ერში — ანდრეი ვიაჩესლავის ძე კოვალენკო):***

— **უკრაინის ნამდვილ მართლმადიდებელ ეკლესიას** (УПЦ) რთული დრო დაუდგა. უშუალოდ სახელმწიფო მანქანისგან მთელ მართლმადიდებელ სამყაროში სწორედ ის იდევნება. ყველა უბედურების საფუძველი საეკლესიო განხეთქილებაა. რამდენიმე ათეული წელია, ვიტანჯებით. თავიდან ჩვენს ეკლესიებს იპყრობდა ე.წ. ლიევის საპატრიარქო **ფილარეტ დენისენკოს** ხელმძღვანელობით, რომელსაც კარგი კავშირი ჰქონდა ქვეყნის უმაღლეს ხელმძღვანელობასთან. ახლა ამას უკვე 2018 წელს ექსპრეზიდენტ **პეტრო პოროშენკოსა** და კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს უშუალო მონაწილეობით რამდენიმე წლის წინ შექმნილი **სქიზმატური დაჯგუფება** სჩადის, რომელმაც „Православная церковь Украины“ (ПЦУ) დაირქვა და ცდილობს, ყველა იქ შეგვრეკოს. ამავდროულად, არ გვიტოვებენ თუნდაც იატაკქვეშეთში გადასვლის საშუალებას. და ეს მხოლოდ მცირე ნაწილია ჩვენი ეკლესიის მორწმუნეთა უფლებების დარღვევისა, რაზეც პასუხისმგებლობა ეკისრება არა იმდენად უკრაინის ახლახან შეკოწიწებულ სქიზმატურ საკრებულოს, რამდენიც **კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს!**

**— ამ მდგომარეობაში რამდენად ერთიანია უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია? მრევლმა ზურგი ხომ არ აქცია? სასულიერო პირებს შორის აზრთა სხვადასხვაობა ხომ არ გაჩნდა?**

— 2018 წელს ე.წ. „გამაერთიანებელ საბჭოზე“ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მხოლოდ ორი ეპისკოპოსი მივიდა, რის შედეგადაც „ПЦУ“ **(უკრაინის სქიზმატური საკრებულო)** შეიქმნა. დიახ, ასზე მეტი იერარქიდან მხოლოდ ორი! თორმეტი ათასზე მეტი მღვდლიდან ახალ სტრუქტურაში ასზე ცოტა მეტი გადავიდა. ვფიქრობ, ეს ციფრები ყველაფერზე მეტყველებს. თუმცა, არის შემთხვევები, როდესაც ჩვენი მღვდლები საკუთარი მომავლის შიშით ან არსებული შეღავათების შენარჩუნების სურვილით გადადიან „ПЦУ“-ში **(სქიზმატურ დაჯგუფებაში).** ჩვენ ვკარგავთ ეკლესიებს ძალადობრივი ჩამორთმევის ან საწესდებო დოკუმენტების გაყალბების შედეგადაც, რეიდერული მიტაცების გზით.

## რაც მთავარია, ეკლესიებიდან განდევნილი მღვდლები და მორწმუნეები განაგრძობენ საეკლესიო კანონთა ერთგულებას, ხოლო მოძალადეთა

## ღვთისმსახურებისას ტაძრები უბრალოდ ცარიელია!

**— რა ხდება კიევ-პეჩორის ლავრაში?**

— რამდენიმე ასეული ბერიდან მხოლოდ ერთი დათანხმდა, გადასულიყო „ПЦУ“-ში და უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიისთვის წართმეულ ობიექტებზე ე.წ. ეპისკოპოსის რანგში მეთვალყურედ დარჩენილიყო. ამგვარად, მის მსახურებაზე ლავრაში 20 ადამიანიც არ იკრიბება! ამ დროს კომპლექსიდან ჩვენს ხელთ დარჩენილი ტაძრები მუდმივად მრევლით არის სავსე. აი, ზუსტი პასუხი იმაზე, შეაქცია თუ არა უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიას ზურგი მისმა მრევლმა.

**— უკრაინის მართლმადიდებელმა ეკლესიამ შეინარჩუნა ევქარისტიული კავშირი რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან, მაგრამ არსებულ ვითარებაში არის თუ არა კომუნიკაცია ორივე მხარის იერარქებს შორის?**



**„საქართველო ჩემთვის ძალიან ახლობელია. უზომო პატივს ვცემ კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორეს, რომელსაც პირადად ვიცნობ. ის ჩემთვის დიდი სულიერი ავტორიტეტია!“**



წმინდა ნიკოლოზ სერბი

## „წმინდა ნიკოლოზ სერბი ამბობს — „ადამიანის წინააღმდეგ მეორე ადამიანის ომი შედეგია ღმერთთან ადამიანის ომისა...“

— ჩვენი მხრიდან კომუნიკაცია შეუძლებელია, რადგან ამაზე სისხლისსამართლებრივი დევნა არის დაწესებული. ამასთან, უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მრავალ იერარქს რეპრესია შეეხო, მათ სხვადასხვა სახის აღკვეთის ღონისძიება აქვთ შეფარდებული, ღამის შინაპატიმრობით დაწყებული, ციხის საკნით დამთავრებული. ამგვარად, ეპისკოპატზე პირდაპირი ზეწოლა ხორციელდება. ყველაზე მძიმეა სვიატოგორსკის ლავრის წინამძღვრის, სვიატოგორსკის **მიტროპოლიტ არსენის** მდგომარეობა. იგი განაჩენის გარეშე თითქმის 7 თვეა, რაც ციხეში ზის. უფრო მეტიც — სასამართლოს ყოველ სხდომაზე მოყვანისას დაახლოებით 16 საათის განმავლობაში არაადამიანურ პირობებში — წყლისა და საკვების გარეშე ამყოფებდნენ. ზაფხულში ეს ხდებოდა ჯოჯოხეთურ სიცხეში, ვიწრო დახურულ სალონში, ხელბორკილებში. თანაც, ატარებდნენ იმ ტერიტორიის გავლით, სადაც აქტიური საომარი მოქმედებები მიმდინარეობდა. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ სატრანსპორტო საკნის ზომას — 50X70X150 სმ!

**— უკრაინაში ეგრეთ წოდებული №371 კანონის მიღება ნიშნავს თუ არა, რომ თქვენთან არამხოლოდ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია, არამედ მთლიანად მართლმადიდებლობაც, როგორც აღმსარებლობა, აიკრძალა?**

— თქვენს აქცენტს კიდევ უფრო გავამძაფრებ — აიკრძალა კი არა, განადგურების საფრთხის ქვეშ დადგა! სქემა მარტივია: აპირებენ ბოლომდე დაშალონ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია, მისი ნარჩენები სქიზმატურ საკრებულოს შეურწყან და ამის შემდეგ — უკრაინის ბერძნულ-კათოლიკურ ეკლესიას, მართლმადიდებლებისა და კათოლიკეების გაერთიანების მიზნით.

## ეს ამოცანა თუ შესრულდა, კონსტანტინოპოლის საპატრიარქო და ვატიკანი მთელ მსოფლიოში გამოიყენებენ „უკრაინულ პრეცედენტს“ იმის დასასაბუთებლად, რომ მართლმადიდებლებისა და კათოლიკეების გაერთიანება მათი სწავლების პრინციპების შეცვლის გარეშეც არის შესაძლებელი და რეალური!

**— ჩვენთან ინტერვიუ პირადად თქვენ რაიმე საფრთხეს ხომ არ შეგიქმნით?**

— ყველაფერი ღვთის ხელშია. ისედაც ნებისმიერ დროს შეუძლიათ, დანაშაული დამაბრალონ, ცილიც დამწამონ, რათა ვამტკიცო, რომ აქლემი არ ვარ!

**— სხვა მართლმადიდებელი ქვეყნების მოსახლეობის, მათ შორის, ქართველი მართლმადიდებლების მხარდაჭერას თუ გრძნობთ? რას ეტყვით ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან საქართველოსა და მთელი მსოფლიოს მართლმადიდებელ მორწმუნეებს?**

— საბედნიეროდ, ბევრი დამა გვყავს სხვა ადგილობრივ ეკლესიებში, ვინც გულწრფელად განიცდის და ლოცულობს ჩვენთვის. საქართველო ჩემთვის ძალიან ახლობელია. უზომო პატივს ვცემ კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორეს, რომელსაც პირადად ვიცნობ. ის ჩემთვის დიდი სულიერი ავტორიტეტია!

ოდესღაც, გლინსკის უდაბნოს მღვდელმთავარი ვიყავი, სადაც საქართველოში დიდად პატივცემული ასკეტები შეუდგნენ სულიერ გზას. ჩემი მეუფების დროს **უკრაინის მართლმადიდებელმა ეკლესიამ** წმინდანად განადიდა თეთრიწყაროელი მიტროპოლიტი **ზინობი,** სქიმ-არქიმანდრიტი **სერაფიმე (რომანცოვი).** ჩვენს მონასტერს სტუმრობდნენ მათი სულიერი შვილები, სქიმ-არქიმანდრიტები **ფილარეტი და ბენიამინი.** ჩემთვის ძვირფასია საქართველოს ეკლესიის რიგ იერარქებთან კომუნიკაცია, ვისგანაც არაერთხელ მიმიღია ძალა და ენერგია მსახურებისთვის.

ამიტომ მინდა, ვუსურვო საქართველოსა და სხვა მართლმადიდებელ ქვეყნებში მცხოვრებ ყოველ ქრისტიანს — ღმერთთან მშვიდობა შეინარჩუნონ, არ ჩამოშორდნენ და გულმოდგინედ დაეწაფონ მის წყალობას, იყვნენ დედაეკლესიის ერთგული შვილები. ამით ჩვენ უზრუნველვყოფთ მშვიდობასა და კეთილდღეობას ჩვენი ხალხებისათვის. როგორც **წმინდა ნიკოლოზ სერბი** ამბობს — „ადამიანის წინააღმდეგ მეორე ადამიანის ომი შედეგია ღმერთთან ადამიანის ომისა...“ მაშ, **დაე, ცოდვას ვებრძოლოთ და არა — უფალს!**

*ესაუბრა*

**ზაზა დავითაია**


2024 წლის 2 დეკემბერი. №57 (293)

**სარედაქციო კოლეგია**

**„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი.** ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com** ელ-ფოსტა: **mail@asavali.com** ფეისბუქი: **www. facebook.com/Asavali.com** გამოდის **2003 წლის 7 აპრილიდან.**

# მო გელა ნდებით!



## მოგზაურობა ქართულ პოლიტიკაში გელა ზედელაშვილთან ერთად

# პრეზიდენტოფობია

ერთი **ზვიად გამსახურდიასი** არ მეშინოდა, მაგრამ **მხოლოდ 7 თვე** გააჩერეს. **შევარდნაძემ** რო დაინიშნა საკუთარი თავი პრეზიდენტად, მაშინაც **შემეშინდა.** ალბათ, ხვდებით, რატომაც — განხილვაში არ შევდივარ. შევარდნაძემ რო თქვა — **წავედი სახლშიო** — სახტად დავრჩი და როცა **მიხა** შევარდა პარლამენტის შენობაში ჩაის დასალევად, დავიბენი. მერე რაც მოხდა, ამან **შემაშინა.**

მეგონა, 2012-ში ჩემ შიშიანობას წერტილი დაესმებოდა. თურმე, სადა ვბანაობდი? მოვიდა ერთი **ბეყე** და ეგრევე შევარდა ძაან ხარჯიან სასახლეში. არადა, ფიცი ჰქონდა დადებული, მანდ ჩემი ფეხი არ იქნებაო. **ოთხი წელიწადი იდო... ჰოდა, ადო და ადო ვეტოები ყველა გადაწყვეტილებას.** იწყალა და იწყალა თავისი სიძის ძმაკაცები, გამოყარა და გამოყარა ციხეებიდან ნარკუშები. მეტი არაფერი გაუკეთებია, მაგრამ **სულ მეშინოდა,** ემანდ, ქვეყნისთვის სერიოზული არაფერი დაეშავებინა. იმ ეტაპზე, ასე თუ ისე, გადავრჩით.

შემდეგ კი... რა, შემდეგ? ყველაფერი ხომ ჩემზე უკეთესად დაინახეთ და შეამჩნიეთ?

ერთი ეგ არი, ამ **ყვავის ალზევებაში მეც მიმიძღვის წვლილი.** როცა ლამის პირველი ტური წააგო, ჩემ მშობლიურ სიღნაღის რაიონში გავვარდი და სოფელ-სოფელ ვირბინე, რომ მოეგო.



ახლა, მე რომ საქმეში ჩავერიე, როგორ ფიქრობთ, არ მოიგებდა?

**ყვავმა ყველას „აჯობა“!**

**მარტო ბიძინა ივანიშვილს და „ქართულ ოცნებას“ კი არა, მთელ ქვეყანას მტრად მოეკიდა და ჯერაც არ გაჩერებულა, ხუთი პარასკევიღა დარჩა და, სულ მცირე, ხუთ კრეტინობას კიდე ჩაიდენს.** გამოგიტყდებით, ამ „მართმადიანმა“ დედაკაცმა ყველაზე მეტად შემაშინა!

**მივმართავ მიხეილ ყაველაშვილს:**

მე პრეზიდენტების პიროვნულად კი არ მეშინია, მხოლოდ იმაზე ვღელავ, ქვეყანას არაფერი დაუშავდეს. ამას არ ვამბობ სადღეგრძელოდ, **დღეს ერთი დაუფიქრებელი ნაბიჯიც საკმარისია, ეს პატარა, მაგრამ ბრილიანტი ქვეყანა მიწასთან გასწორდეს.**

ვიმედოვნებ, ჩემ და არა მხოლოდ ჩემ შიშს წერტილს დაუსვამ. მინდა, ის დაძაბულობა, რასაც წლების განმავლობაში განვიცდით, გააქარწყლო და გააბათილო. **ზვიად გამსახურდიას შემდეგ ამ თანამდებობაზე კაცი, როგორც ასეთი, აღარ ყოფილა.** ახლა ვნახოთ, როგორი კაცი გამოდგები და როგორ დაიცავ ქვეყანას!

უკვე დაიწყო შემოტევები, უფრო მეტი იქნება. ე.წ. ბულინგსაც მოუმატებენ, უამრავ გიჟობას გამოავლენენ, **ბევრ სიბინძურეს მოიგონებენ, ბევრ „დანოსს“ გააგზავნიან ევროკავშირსა თუ აშშ-ში, აგენტობასაც შემოგთავაზებენ, მაგრამ უნდა გაუძლო. სხვანაირად შიშს ვერ გაგვიფანტავ.**

წარმატებები, მეგობარო, გახსოვდეს, შენს უკან საქართველოა!

## მადამ პლეზიდანი რა პოზაშიც ვნახე, იმის მოყოლას ნუ მომთხოვთ!



გუშლამ **ხატია დეკანოიძე** დამესიზმრა. სადღაც საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდა, არც ისე სუფთა ადგილას. საშინლად გაწეწილი ყო. ვილაცები მიდი-მოდიოდნენ, ეს კიდე მეჩხუბებოდა —



**„რუსთავი-2“-ს ვერ ვიტან, მძაგს, გული მერევაო.** მე ვუმტკიცებდი — **უფრო საძაგელი და გულის ამრევი „ჭუტავიზიაა“-მეთქი.** არაო, „რუსთავი-2“ დასახურიაო.

ისე, ნორმალურ ადამიანს **დეკანოიძე** რატომ უნდა დაესიზმროს, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ არჩევნებმა ჩემს სულიერ წარმოსახვაზეც იქონია გავლენა.

ეს კიდე არაფერი, არჩევნების დღემდე ყოველღამ **ხაზარაძეს** ვხედავდი სიზმარში, ვურტყამდი და უმოწყალოდ ვცემდი. სახლში დავიჩივლე — ეგეთი რაღაცა მჭირს-მეთქი და, იცით, რა მითხრეს? მაიცა, რააა, **მაგხელა ვირგლას შენ რანაირად მოერეოდიო?** დავიწყე თავის მართლება — ეგ სინამდვილე კი არა, სიზმარი იყო, სიზმარში ვცემე-მეთქი.

მანამდე სხვებიც მესიზმრებოდნენ. ერთხანობას ყველაზე მეტად **გიგი უგულავა** მყავდა შემოჩვეული. გავიგდებდი ხოლმე წიხლქვეშ, დავუნგრევდი თავ-ყბას, შევათრევდი ციხეში, გამოვარდებოდა **მადამ პლეზიდანი** და იწყალებდა. იცით, რამდენჯერ შეიწყალა? დაახლოებით თუთხმეტჯერ. შავღონდი, რააა... აი, შავღონდი!

ერთი-ორჯერ **ნიკუშაც** დამესიზმრა. სუ თავში ვურტყამდი და ვიწროყელიან ბოთლში ვაშარდვინებდი. მართალია, ხშირად უცდებოდა და მუხლიკვრებზე იწუწებდა, მაგრამ უკმაყოფილო არ იყო. მეხვეწებოდა, თავში ნუ მირტყამ, ისა მჭირსო... რაღაც დაავადებას მეუბნებოდა, ვერ დავიმახსოვრე.

მოკლედ, სიზმარში აეგეთი დაუნდობელი ვყოფილვარ, მაგრამ **მადამ პლეზიდანი რა პოზაშიც ვნახე, იმის მოყოლას ნუ მომთხოვთ!**

საჯარო მოხელეებო, ზუსტად ვიცი, ხვდებით, რომ გუშინ ფორმიანების უკან რუსული ძალა იდგა – უმძიმესი იქნება რუსულ საქართველოში აღებული ხელფასი. ნათია მეზვრიშვილი



## სანამ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე იყო, ფორმიანების უკან რუსული ძალა არ იდგა!

ჩვენი წინაპრები მაგისნაირებს რომ დაინახავდნენ, პირჯვარს გადაიწერდნენ და ჩაილაპარაკებდნენ — **ნამუსიც კაი საქონელიაო.**

**კი არის ნამუსი კარგი საქონელი,** მაგრამ **მას და მისნაირებს** ეგ არ აწუხებთ, რადგან საერთოდ არ გააჩნიათ.

**„ქართულმა ოცნებამ“ გამოიყვანა, მინისტრის მოადგილედ დანიშნა, მერე პარლამენტში შეიყვანა, პოლიტიკოსობა დააბრალა, ქათქათა სავარძელში ჩაასკუპა...** შემდეგ კი, როცა მისი ბოსი ბოზობის გზას დაადგა, იმავე „ოცნებას“ წააყარა.

☺

**სანამ საბიუჯეტო უნაგირზე იჯდა, მაშინ ის ფული არც რუსული იყო და, თქვენ წარმოიდგინეთ, არც საქართველო იყო რუსული.**

ისე, კი იცის, ალბათ, რაც ხდება, მაგრამ **პროვოკატორობს, ფორმიანებს ამუნათებს, რუსულ საქართველოში ხელფასებს რანაირად იღებთო? ვითომ თვითონ არ იღებდა კაი მსუყე ხელფასს!**

გამოგიტყდებით, ჩემთვის **„ქართული ოცნების“ მიერ აღზევებული პრაშმანდოვკები** უფრო ამაზრზენები არიან, ვიდრე ძირგამომპალი **ნაცები და მათთან გათანაბრებული პირაძეები.**





# მარჯვნივ, მგონი, მთლა ის სამასოიანი სიტყვა წერია!

ნაცებმა **მიხეილ ყაველაშვილის** ხელმოწერა ამოქექეს და თან დასცინეს — როგორი კალიგრაფიაც გაქვს, იგივე ხარ შინაგანადო!

გაიგონეთ?

**მიხეილ სააკაშვილის ხელმოწერითა და კალიგრაფიით აღფრთოვანებულები დასცინიან მიხეილ ყაველაშვილს.**

რავი, როგორც ვუყურებ, ამ ადამიანს ჩვეულებრივი კალიგრაფია აქვს, რასაც ნამდვილად ვერ ვიტყვი **ნამალღარზე** — ეგეთი ბატიფეხური იშვიათად მინახავს, შეიძლება საერთოდაც არ მინახავს!

☺

რაც შეეხება **ყაველაშვილის** განათლებას, რაზეც ერთი ამბავია ატეხილი, „ვიკიპედიაში“ მითითებულია, რომ **1989 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე. ესეც რომ არ იყოს, წარმატებულ ფეხბურთელს ნამდვილად არ გაუჭირდებოდა ზოგიერთი ნაცი დეპუტატივით ევროპათმცოდნის დიპლომის ყიდვა.**

მა რააააააა!

შეადარეთ, ხალხო, **მარცხნივ ყაველაშვილის ხელმოწერაა, მარჯვნივ — სააკაშვილისა,** სადაც, მგონი, მთლა ის **სამასოიანი სიტყვა** წერია!

*„ასავალ-დასავალის“ 2024 წლის 43-44-ე ნომრებში გამოქვეყნდა ინტერვიუ საქართველოს ეროვნული ბანკის ყოფილ პრეზიდენტთან ნოდარ ჯავახიშვილთან. ობიექტური მიზეზების გამო ინტერვიუს ჩაწერები შეფერხდა. ამან მკითხველთა შორის კითხვები გააჩინა. ვასრულებთ საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის მოთხოვნას და ვაგრძელებთ აღნიშნულ საუბრებს.*



## ნოდარ ჯავახიშვილი:

# იმთავითვე ვიცოდი, რომ ბიძინა ივანიშვილი ახალ რევოლუციას არ დაუშვებდა!

**— ნოდარ, დამთავრდა 2024 წლის საპარლამენტო არჩევნები საქართველოში, მოლდოვაში, ამერიკაში, მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში. ყველგან მოჩვენებითი სიმშვიდეა, ჩვენთან კი ძველი სცენარი მეორდება. გაერთიანებული ნაცმოძრაობა და მისი „ჯიბის პარტიები“ ყველა აკრძალული ხერხით ცდილობენ, დამარცხება გამარჯვებად გამოაცხადონ... რას იტყვი?**

— უპირველეს ყოვლისა, ხაზი იმას უნდა გაესვას, რომ ქართველ ხალხს რეალური არჩევანი არა აქვს. სამწუხაროდ, ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ „ქართული ოცნების“ ალტერნატივა მხოლოდ ნაციონალური მოძრაობაა მისი განაყოფებით.

ახლა, იგივე ძალები, ვინც ე.წ. „ვარდების რევოლუცია“ მოაწყო, ცდილობენ, ახალ პირობებში გაიმეორონ ძველი ფანდები, რათა უარესისკენ გვიბიძგონ.

**— ნოდარ, როცა 2006 წელს ედუარდ შევარდნაძესთან ინტერვიუები ჩავწერე და „ასავალ-დასავალში“ გამოვაქვეყნე, მან აღიარა, რომ „ვარდების რევოლუცია“ სპექტაკლი იყო. უფრო მეტიც, თურმე, 8 სცენარი არსებობდა. თქვა — ბიჭებს ლანგრით მივართვი ხელისუფლება, ვაჩუქეო...**

— შევარდნაძე აიძულეს, თორემ სიკვდილამდე ის პოსტის დამტოვებელი არ იყო, არც თავის ჩაის დაალევინებდა სააკაშვილს. მაშინ ის ძალებიც დავინახეთ, ვინც ისინი მოიყვანა ხელისუფლებაში. რამე შეიცვალა? იგივე ძალებია.

**— ბიძინა ივანიშვილზე უფრო მეტი ზეწოლა იყო. იმასაც მოვესწარით, ევროკავშირის რეზოლუციაშიც კი ჩაწერეს, „დებიძინიზაცია“ უნდა მოხდესო... ივანიშვილმა გაუძლო, არ მოიქცა შევარდნაძესავით, მაგრამ ბოლომდე ეყოფა ძალა, არ გაიმეოროს ამბროსოვიჩის სვლა?**

— იმთავითვე ვიცოდი, რომ ბიძინა ივანიშვილი ახალ რევოლუციას არ დაუშვებდა!

**— რატომ, შევარდნაძე სხვაგვარად გატეხეს?**

— შევარდნაძე თავისი ნების საწინააღმდეგოდ დათანხმდა. აქვე იმასაც ვიტყვი, რომ სრულყოფილ სახელმწიფოდ დღემდე ვერ შევდექით. თუმცა, იმისათვის, რომ ღირსება არ შეილახოს, **ბიძინა ივანიშვილი** ყველაზე საუკეთესოა!

**— ნოდარ, დღეს ათასი ჯურის გადამთიელი გვემუქრება სანქციებით, ეკონომიკის ჩამოშლით, ე.წ. დახმარებების შეწყვეტით. იქნებ თქვა, როგორ გადავრჩით, როცა თუნდაც პირველი ეროვნული ვალუტა — კუპონები ქუჩაში გროვებად ეყარა, როცა უმაღლესი თანამდებობის პირები ღალატობდნენ ქვეყანას, ძარცვავდნენ ხალხს... რა იყო შენ მოსვლამდე მთავარი პრობლემა და რით დაიწყე?**

— უპირველესი საფიქრალი თვით ნამდვილი ეროვნული ბანკის არარსებობა გახლდათ, ანუ არ იყო მთავარი ფულად-საკრედიტო რეგულირების ორგანო. სწორედ ბანკის, ფაქტობრივად, არარსებობამ განაპირობა ის საშინელი, მსოფლიოში ყველაზე საშინელი ჰიპერინფლაცია. ამიტომ მთავარი ამოცანა იყო, შექმნილიყო ნამდვილი ეროვნული ბანკი და არ ყოფილიყო მხოლოდ აბრა. რაც შეეხება დაწყებას, დავიწყე საკადრო სისტემის სრულყოფით. ვეძებდი ნიჭიერ ახალგაზრდებს. მნიშვნელოვანი იყო ინგლისურის ცოდნაც.

სავალუტო ფონდს დავუკავშირდი. მათ გაგვიწიეს დახმარება და დამაკავშირეს კოლეგებთან დასავლეთ ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. ახალგაზრდები მივავლინეთ ევროპის წამყვანი ქვეყნების და ამერიკის ცენტრალურ ბანკებში. დღესაც მადლიერი ვარ მათი. ხარჯებს, მათ შორის, ტრანსპორტირების, სასტუმროს, კვების — მიმღები ბანკები იღებდნენ თავის თავზე. როგორ უნდა ვიყო უმადური, როცა ამ ახალგაზრდებს დამატებით, ყოველკვირეულად „ჯიბის ფულსაც“ უხდიდნენ.

იცი, მაყვალა, ეს „ჯიბის ფული“ მრავალჯერ აღემატებოდა ჩვენი შრომის მრავალწლიან ანაზღაურებას საქართველოში...

2-3 წელში მივიღეთ თანამედროვე საბანკო პრაქტიკის მცოდნე ახალგაზრდა სპეციალისტების დიდი გუნდი.

**— შეგიძლია რამდენიმე მაინც დამისახელო?**

— როგორ არა, **ლევან ქისტაური, დავით გალიგაშვილი, ნათია მერაბიშვილი** და სხვები. მათი აქტიური მონაწილეობით გატარდა ყველა მტკივნეული, თუმცა, აუცილებელი საბანკო რეფორმა.

**— ნოდარ, ჩვენ ყველამ ვნახეთ, როგორ შეიჭრა პოლიტიკა (თან არასწორად) საქართველოს ეროვნულ ბანკში. სულ ახლახან ლამის თავზე წამოგვექცა ეროვნული ბანკი. „გაიქცნენ“ მოადგილეები, ძლივს დაინიშნნენ საბჭოს წევრები, საქართველოს პრეზიდენტი მავნებლურ თამაშს თამაშობდა. და კიდევ: დღეს ბევრი იბრალებს ქართული ვალუტის — ლარის შექმნას და მის შემობრძანებას ფინანსურ ასპარეზზე. მინდა, სიმართლე იცოდეს ხალხმა.**

— დაიბრალონ (უცნაურად ეღიმება), უკვე ვთქვი, ვიტყვი სიმართლეს და არაფერს სიმართლის გარდა. პროცესი ჯერ კიდევ ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის დროს დაიწყო, შეიქმნა კომისია, რომელმაც დაადგინა ეროვნული ვალუტის სახელი, ნომინალები და დიზაინი. ერთ-ერთ სხდომაზე სხვებთან ერთად მეც მიმიწვიეს. იმ დროს სახელმწიფო ბანკის თავმჯდომარის მოადგილე ვიყავი. კომისიის სხდომა ქართული ეკონომიკისა და ფინანსების „გამგებელს“ **ტარიელ გელანტიას** მიჰყავდა. შესვლისთანავე მომმართა — **„ბატონო ნოდარ, თქვენ ამ სფეროში გათვითცნობიერებული ბრძანდებით. კარგად იცნობთ საერთაშორისო პრაქტიკასაც, ხომ არ იცით რომელიმე ქვეყანა, სადაც ქვეყნის მოქმედი პრეზიდენტია გამოსახული ეროვნულ ფულად ერთეულზე?“**

გავეცი ის პასუხი, რაც მათ თითქოს გამოაფხიზლებდა, მაგრამ, როცა გარეთ გამოვდიოდი, ერთმა მომაძახა — **ბატონო ნოდარ, იქნებ სადმე აღმოაჩინოთ პრეცედენტი, რომ ფულის ნიშნებზე პრეზიდენტი თავის მეუღლესთან ერთად იყოს გამოსახულიო.** ამ რეპლიკით გამოწვეულ ხარხარში დავტოვე დარბაზი — ღმერთო, ეს რა ხდება! — ვფიქრობდი. ესენი დაღუპავენ პრეზიდენტს და ხალხს-მეთქი...

კომისიის საქმიანობასთან მეტი შეხება არ მქონია.

**— მეც ვფიქრობ... ცუდ გარემოცვაში აღმოჩნდა ზვიად გამსახურდია... ალბათ, ასეთი მოქმედების შედეგი იყო, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების აქტზე ხელს აწერდა ზვიად გამსახურდიას მეუღლეც, არაუფლებამოსილი პირი. მაშინ ზვიად გამსახურდია პრეზიდენტიც არ იყო, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე გახლდათ.**

— დეტალებში არ შევალ... მაშინ კომისია არ წავიდა **გელანტიას** მიერ შემოთავაზებული პროვინციული გზით.

**— რა მოასწრო კომისიამ?**

— მშვენიერი სახელი შეურჩიეს ქართულ ვალუტას — **ლარი!** სხვათაშორის, პირველად სიტყვა **ლარის** და შინაარსობრივად მისი მრავალპლანიანი დატვირთვის შესახებ სტუდენტობის დროს გავიგე აკადემიკოს **ვასილ ჩანტლაძისგან,** რომელიც სწავლობდა ფინანსურ საკითხებს გენიალურ „ვეფხისტყაოსანში“. დიზაინიც კომისიამ დაამტკიცა, თუმცა, კარგი იქნებოდა, რომ იქ ფინანსისტ-ეკონომისტიც ყოფილიყო.

**— რა მოხდა შემდეგ? როგორ ჩაანაცვლა ლარმა კუპონი და როდის? მსმენია არაერთი კურიოზი, ვთქვათ, კუპონთან დაკავშირებული კრიმინალური გარემოება, 400 ტონა „ხურდა ფულის“ შეკვეთა, „ფრანგულ-ინგლისური კუპონები“ და სხვა ამბები. ეს ყველაფერი ჭორი იყო თუ რეალობა?**

— გეცინება 400 ტონა „ხურდა ფულის“ შეკვეთაზე, მაგრამ არ გამტყუნებ. ეროვნული ბანკის პრეზიდენტად ჩემ დანიშვნამდე შეუკვეთავთ საფრანგეთის ხაზინისთვის („მონე დე პარი“) ხურდა ფულის დამზადება. ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა გავიგე, რომ შეკვეთის მოცულობა იყო 400 ტონა!

**ხურდა ფულის ეს მოცულობა, მისი მოხმარების ხანგრძლივობიდან გამომდინარე, 40 საუკუნე ეყოფოდა საქართველოს...** არადა, ეჭვი ბევრ რამეზე შეიძლება გამოითქვას, მითუმეტეს, რომ შეკვეთილი ხურდა ფულის უმეტესი ნაწილი ან განადგურდა, ან უპერსპექტივოდ აწყვია ეროვნული ბანკის საცავებში.

**— მიდასტურებთ თუ არა კუპონთანაც დაკავშირებულ კრიმინალურ გარემოებებს?**

— გიდასტურებთ, რომ კუპონთან დაკავშირებული იყო აშკარად კრიმინალური გარემოება. წინა ინტერვიუების დროს აღვნიშნე, რომ კუპონების პირველი პარტია შეუკვეთეს მსოფლიოში აღიარებულ ფულის საბეჭდ ინგლისურ კომპანია **„თომას დე ლა რუ“**-ს. ვერც დიზაინი, ვერც ხარისხი კრიტიკას ვერ უძლებდა. ეს არ იყო იმ კომპანიის ბრალი — კუპონები მდარე ხარისხის ქაღალდზე იყო დაბეჭდილი, მაგრამ **ასეთი იყო შეკვეთა(?!).**

მოგვიანებით კონტრაქტი შეწყდა. ახალი ხელშეკრულება ფრანგულ კომპანიასთან „ფრანსუა შარლ ობერტურთან“ გაფორმდა. მართლაც მაღალი ხარისხით დაიბეჭდა კუპონები ისევე უმაღლესი ხარისხის ქაღალდზე.

**— როდის ჩამოვიდა „ფრანგული კუპონების“ პირველი პარტია საქართველოში?**

— ტვირთი 1993 წლის ნოემბრის პირველ რიცხვებში ჩამოვიდა. აეროპორტში მის მისაღებად გაემგზავრა ჩემი მოადგილე **დავით კომახიძე.** აქ მოხდა კურიოზი. აეროპორტში დაფრინდა მეორე თვითმფრინავი უკვე ინგლისიდან.

**— რატომ იყო კურიოზი?**

— იმიტომ, რომ ინგლისურ კომპანიასთან ხელშეკრულება გაწყვეტილი იყო. რა მექნა, ფულის ნიშნები იყო და მას აეროპორტში ვერ დავტოვებდით. ბატონ დავითს მივეცი დავალება, მიეღო ტვირთი და ეროვნულ ბანკში მოეხდინა ტრანსპორტირება. მე კი დავიწყე კონტრაქტის ძიება, რომელიც არ აღმოჩნდა ეროვნულ ბანკში, არც ფინანსთა სამინისტროში და არც სახელმწიფო კანცელარიაში. მივმართე თავად ინგლისურ კომპანია „თომას დე ლა რუ“-ს. კონტრაქტი ვერც მათ მომაწოდეს, მაგრამ საფასურის გადახდას



„ა-დ“. 2024 წლის №44

**„იგივე ძალები, ვინც ე.წ. „ვარდების რევოლუცია“ მოაწყო, ცდილობენ, ახალ პირობებში გაიმეორონ ძველი ფანდები, რათა უარესისკენ გვიბიძგონ!“**

## კვირგვინოსნები

**მამუკა არეშიძე**
*ანალიტიკოსი უსაფრთხოების საკითხებში*



ოპოზიცია თითქოს ერთიანია, მაგრამ **ფარულად ყველა ცალ-ცალკე ცდილობს „ოცნებასთან“ გარიგებას. გახარიამ** პირდაპირ დასვა კითხვა — **რატომ არ ეკითხებით ზოგიერთი ოპოზიციური პარტიის ლიდერს, წინასაარჩევნოდ ამდენი ფული სად იშოვაო?**

„კვირის პალიტრა“

**მირიან მირიანაშვილი**
*პოლიტიკის ანალიტიკოსი*



ნაცმოძრაობა და მისგან გამოყოფილი ფრაგმენტები პარლამენტში შესვლის სანაცვლოდ ორ რამეს ითხოვდნენ: **მიშა სააკაშვილის გათავისუფლებას და ირაკლი კობახიძის პრემიერის პოსტიდან წასვლას. ბიძინა ივანიშვილს** იმედი არ ჰქონდა, რომ ოპოზიციის პარლამენტში შესვლა დასავლეთისთვის საკმარისი იქნებოდა არჩევნების ლეგიტიმურობისთვის და **ამიტომ არ წავიდა გარიგებაზე.**

„კვირის პალიტრა“

**ზურა ნიკარაძე**
*მსახიობი*



გარკვეულ ორგანიზაციებს თუ პარტიებს უნდათ, **პოლიტიკაში ჩამითრიონ და გამსვარონ.** ასეთი მძიმე ბრალდებებისა და ბულინგის ფონზე რამე რომ დამემართოს, ნეტავ თუ არ შერცხვებათ.

„თბილისელები“

**შოთა კაკაბაძე**
*კინოსტუდიის ყოფილი თანამშრომელი*



**ვინც საზღვარგარეთ იპოვა სარჩო, ვინც გადალახა ქვეყნის საზღვარი, — არ დაგიმალავთ, ვერ გამიგია, ჩვენს სამშობლოზე უკეთ სად არის?!**

# „სრულყოფილ სახელმწიფოდ დღემდე ვერ შევდექით, თუმცა, იმისათვის, რომ ღირსება არ შეილახოს, ბიძინა ივანიშვილი ყველაზე საუკეთესოა!“



ითხოვდნენ.

**— შენს ჩანაწერებში წავიკითხე, რომ დიდი იყო ზეწოლა და მოგიწია, ფაქტობრივად, უკანონო შეკვეთის ლეგიტიმაცია — სხვა გამოსავალი არ მქონდაო. მოდი, დავაზუსტოთ, ეროვნულ ბანკს თუ არ შეუკვეთავს ფულის ერთეულის დაბეჭდვა, ვინ გაბედა, ყველას გადახტომოდა თავზე. ხომ თქვი, კონტრაქტი არ იყოო? თანხა გადაუხადეთ ინგლისურ კომპანიას?**

— მოდი, თანამიმდევრობით მივყვეთ პროცესებს. რაღაც შეთქმულებას ჰგავდა. კონტრაქტი არ იყო, ტვირთი ჩამოვიდა ინგლისიდან, ითხოვდნენ თანხის სასწრაფოდ გადახდას, მე უარს ვამბობდი თანხის გადარიცხვაზე.

ვითარება კი მათ სასარგებლოდ იყო. ჰიპერინფლაცია მძვინვარებდა, ფასების კატასტროფული ზრდა ითხოვდა სულ უფრო მეტ ფულად ნიშნებს. ამოიწურა „ფრანგული კუპონების“ მარაგები, ახლის დაბეჭდვა კი ვერ ესწრებოდა.

**— იქნებ ესეც გათვლილი ჰქონდათ?**

— შესაძლოა, მაგრამ ყველაფერი თავდაყირა დგებოდა. იძულებული გავხდი, მიმოქცევაში გამეშვა „ინგლისური კუპონები“. ეს კი უკანონო შეკვეთის ლეგიტიმაცია გამოდიოდა. ეს ტვირთი ხომ პასუხსაგებ შენახვაზე გვქონდა აღებული.

**— ინგლისი არაფერს გაჩუქებდათ. ე.ი. იძულებით უნდა გადაეხადა ეროვნულ ბანკს ტვირთის ფასი? ლეგიტიმაციას ხომ მოჰყვებოდა მათი მოთხოვნებიც?**

— ბუნებრივია, ასეც მოხდა. „თომას დე ლა რუ“ კატეგორიულად ითხოვდა ტვირთის ღირებულების ანაზღაურებას. მე უარს ვამბობდი, კონტრაქტს ვითხოვდი, რომელიც ბუნებაში არ არსებობდა. ჩაერია საერთაშორისო სავალუტო ფონდიც. ჩემგან მოითხოვდა, დამესრულებინა ანგარიშსწორება გამოყენებულ ტვირთზე, თუმცა, ამას შედეგი არ მოჰყოლია. ჯიუტად არ ვიხდიდი თანხას, ვითხოვდი კონტრაქტს.

**— გაპატიეს? მოგითმინეს?**

— იმ დროს — კი, მერე — არა. ეროვნული ბანკის სამართლიანი, ჯიუტი პრეზიდენტი არავის აწყობს. ვიცე-პრემიერმა **ამირან ქადაგიშვილმა** პოსტი დატოვა. ამ ადგილზე **თემურ ბასილია** დაინიშნა. ბუნებრივია, შემხვდა. ყველაფერი გავიაზრეთ, მაინც რა უნდა მომხდარიყო?

რამდენიმე დღეში **თემურ ბასილიამ** გაიგო ისეთი რამ, წარმოდგენაც რომ არავის შეეძლო. ქადაგიშვილის მდივანთან აღმოჩნდა „თომას დე ლა რუ“-ში გაგზავნილი ფაქსის ნაგლეჯი, რომლითაც **ის მდივანი** ითხოვდა აღნიშნული შეკვეთის შესრულებას.

**— ქადაგიშვილის მდივანი? ვინ იყო, ყველას და ყველაფერს რომ გადაახტა? ვერავინ დამაჯერებს, რომ ეს არ დაავალა თუნდაც ვიცე-პრემიერმა ამირან ქადაგიშვილმა...**

— რა ვთქვა? ქადაგიშვილს და მის მდივანს კი არა, საქართველოს კანონმდებლობით არავის, გარდა ქვეყნის ცენტრალური ბანკისა, არა აქვს ფულის გამოშვების უფლება.

**— გასაგებია, მაგრამ თავდასხმის ობიექტი ხომ შენ იყავი?**

— ვიყავი და თანაც როგორ... „თომას დე ლა რუ“-ს წარმომადგენლები აგრძელებდნენ ჩემზე ზეწოლას. ჩამოდიოდნენ თბილისში, არ მასვენებდნენ საზღვარგარეთ მივლინების დროს. ბოლოს ასეთი შეხვედრა შედგა ლონდონში 1996 წელს, „ნოუ ჰაუ“ ფონდის კონფერენციაზე.

**— ამ დროს საქართველოში უკვე ლარი იყო ეროვნული ვალუტა...**

— დიახ, ლარი უკვე იყო ეროვნული ვალუტა **1995 წლის ოქტომბრიდან...** იმ დროს კი, მათი ინიციატივით, შეხვედრა შედგა ქალაქის ერთ-ერთ პრესტიჟულ რესტორანში. ჩემდა საბედნიეროდ, იმ დროს ლონდონში იმყოფებოდა ჩემი ყოფილი თანამშრომელი, საქართველოში ერთ-ერთი უძლიერესი თარჯიმანი, **ქალბატონი ხატია,** რომელსაც დახმარება ვთხოვე ინგლისელებთან ურთიერთობაში.

**— მე ვიცი, რომ იცი ინგლისური...**

— ვიცი, მაგრამ ჩემი და ხატიას დონე სხვაა.

**— ნოდარ, გამომდინარე რეალობიდან, რომ ამ ეტაპზეც საზღვარგარეთიდან ამა თუ იმ საკითხზე მუდმივად ხორციელდება ზეწოლა, მინდა, მკითხველმა იცოდეს, როგორ დასრულდა ეს, არცთუ უბრალო ინციდენტი. იქნებ გაკვეთილად მაინც გამოგვადგეს?**

— ინგლისურ ჯგუფს ვუხსნიდი, რომ ვიცოდი ჩემი ვალდებულება, გამენაღდებინა გამოყენებული ტვირთის ღირებულება, მაგრამ არ ვაპირებდი მის შესრულებას. მიმართეთ სასამართლოს, შანსი გაქვთ, მოიგოთ პროცესი, იქნებ გაცილებით მეტ თანხასაც მიიღებთ, ვიდრე ის უკონტრაქტო მოწოდება ღირდა-მეთქი. მაგრამ მეც ვიტყვი, რომ თქვენ მოქმედებდით დანაშაულებრივად **ქადაგიშვილთან** ერთად, რითიც ხელი შეუწყვეთ ჩემს სამშობლოში მსოფლიო ისტორიაში რეკორდული ჰიპერინფლაციის შექმნას, ანუ ქართული ეკონომიკის ნგრევას!

**— ომი გამოგიცხადებია...**

— შეიძლება, ასეც ითქვას. ამ დროს მოხდა უცნაური რამ. მითხრეს, თქვენ ინგლისური იცით, იქნებ თარჯიმანმა ცოტა ხნით დაგვტოვოს კონფიდენციალური საუბრისთვისო. ხატია გავიდა...

ერთ-ერთმა მათგანმა მითხრა: თქვენ გაქვთ ჩვენი ერთი მილიონ 300 ათასი აშშ დოლარის აღიარებული ვალი. **გთავაზობთ გადაგვიხადოთ მხოლოდ 800 ათასი, თქვენ სამშობლოში დაბრუნდებით, როგორც გმირი, რომელმაც 500 ათასი დოლარი** (ეს კი დიდი ფულია ახლა საქართველოსთვის) **დაუზოგა გაჭირვებულ ქვეყანას. სამაგიეროდ, გადახდილი 800 ათასიდან თქვენ მიიღებთ 50%-ს, 400 ათას ამერიკულ დოლარს, სადაც და რა ფორმითაც მოითხოვთო.**

ვუთხარი, ყველაფერი კარგად გავიგე. ჯობს, ხატია დავაბრუნოთ-მეთქი. შეფიქრიანდნენ, მაგრამ დააბრუნეს თარჯიმანი.

ჩემი სათქმელი ვთქვი და ბოლოს დავამატე ჩემი უტაქტო პასუხი — **„თქვენ მაგ ფულს ვერ იხილავთ ისევე, როგორც საკუთარ ყურებს“.**

ასე დავშორდით ინგლისურ კომპანიას. აღნიშნული მოთხოვნა აღარ დაუყენებიათ, არც ჩემი და აღარც რომელიმე სახელმწიფო სტრუქტურის წინაშე საქართველოში, თუმცა, „ყურებთან“ დაკავშირებით მწარედ შევცდი!

**— რაში ადანაშაულებ თავს? მე მახსოვს, რომ შენ არ გადაგირიცხავს არაფერი. 1999 წლის საპარლამენტო არჩევნებისას შენ დეპუტატი გახდი ოპოზიციიდან.**

— არა, თავს კი არ ვიდანაშაულებ, ფაქტებს მივყვები. 2001 წელს მასმედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გადაიხადა, თუ არ ვცდები, „თომას დე ლა რუ“-ს ძველი დავალიანება სრულად. ადრე მხოლოდ 800 ათას დოლარს თხოულობდნენ (?!)

**— ვინ იყო ამ დროს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი?**

— ირაკლი მანაგაძე.

**— ქრთამი არაფერ შუაში იყო?**

— რა გითხრა... შენ როგორ ფიქრობ?

**— ალბათ, იყო, როცა ჩამოწერილ ვალს სრულად იხდი... რამდენადაც მახსოვს, მაშინ ჟურნალისტები გეძებდნენ ამ ფაქტის შესაფასებლად.**

— მართლა ასე იყო. ინფორმაციის გავრცელებისთანავე ჩემთან ჟურნალისტები მოვიდნენ. მათ მივაწოდე ჩემთვის ცნობილი სრული ინფორმაცია, მაგრამ თითქოს დირიჟორმა ხელი აიქნიაო, მედიაორკესტრი დადუმდა. ჩემი არცერთი სიტყვა არ გაჟღერებულა მედია-სივრცეში. აი, ასეთი მართვადი მედია გვყავდა 21-ე საუკუნის პირველივე წელს; ამ სფეროში შექმნილ დღევანდელ მდგომარეობაზე ხომ საუბარიც არ ღირს.

**— დავუბრუნდეთ ლარის შემობრძანებას ქართულ საფინანსო სივრცეში.**

— როგორც უკვე აღვნიშნე, კომისიამ დიზაინი დაამტკიცა. შემსრულებელი როგორ შეირჩა, მართლა არ ვიცი. ფრანგულ კომპანიასთან გაფორმდა ხელშეკრულება. უკვე ჩემი დანიშვნის დროს კონტრაქტორმა ძირითადი სამუშაოები დაამთავრა. სასიგნალო ეგზემპლარებიც დაბეჭდა. **შოთა გედევანიშვილის** მეშვეობით გამომიგზავნეს თბილისში. მაშინ ყველაზე პირველმა ვნახე ლარის ნიმუშები...

**— გატყობ, რაღაც არ მოგეწონა...**

— მხოლოდ რამდენიმეს გავიხსენებ: ყველა ნომინალის კუპიურა ერთი ზომის იყო, თავისუფლად შეიძლებოდა, ათლარიანების შეკვრაში შეგეპარებინა ერთლარიანები და შეკვრის დაუშლელად ვერ მიხვდებოდი აფერას. დაბალი ნომინალების კუპიურებზე იყო მხოლოდ ერთი ნომერი, რაც მნიშვნელოვნად ამცირებდა გახეული ფულის ვარგისად ცნობის შესაძლებლობას.

თავისუფალი ველი სხვადასხვა ნომინალს სხვადასხვა მხარეს ჰქონდა, ხოლო ერთლარიანს იგი საერთოდ არ გააჩნდა. მოკლედ, ქართულ ლარს იმაზე ნაკლები დაცვის ნიშანი ჰქონდა, ვიდრე საფრანგეთში დაბეჭდილ კუპონს.

*ესაუბრა*
***მაყვალა ბერიანიძე***

***გაგრძელება იქნება***



# „ქართველ ხალხს რეალური არჩევანი არა აქვს. სამწუხაროდ, ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ „ქართული ოცნების“ ალტერნატივა მხოლოდ ნაციონალური მოძრაობაა მისი განაყოფებით!“

## კვირგვინოსნები



**იმედა კახიანი**
*საქართველოს სახალხო არტისტი*

შენ რაღაც არ მოგწონს, ამის გამო **გზები გადაკეტო და ქალაქის პარალიზება გამოიწვიო, ეს როგორი სამართალია?** ამას წინათ ვუსმენდი, **შუა ევროპაში, ერთი ცნობილი ქალაქის მერი გათხოვდაო,** ქრისტიანულ ეკლესიაში ძაღლებს ჯვარიც კი დასწერეს, **ამაზე მეტი წარღვნა და მკრეხელობა რაღა უნდა მოხდეს?!** კიდევ კარგი, ჩვენთვის ეს ყველაფერი უცხო და მიუღებელია. დიდი იმპერიები ვერ გაიგებენ, **რას ნიშნავს** ქართული სული, **რას ნიშნავს** „არ გავცვლი სალსა კლდეებსა, უკვდავებისა ხეზედა“, ან **რას ნიშნავს** მიწის ყივილი.

„კვირის პალიტრა“



**ლაშა ტუღუში**
*„ლიბერალური აკადემიის“ თავმჯდომარე*

**კამერა რომ გამოჩნდება,** პოლიტიკოსები მარტო მაშინ იღვიძებენ, **კამერა მიდის** და იძინებენ.

„პალიტრანიუსი“



**ზვიად ძიძიგური**
*„გახარია საქართველოსთვის“ წევრი*

**ოპოზიციას მანდატი როცა გაქვს,** ეს შენი ბერკეტია და მისი დათმობაც არის პოლიტიკური მექანიზმი, რომელიც **შეიძლება, გაცილებით ჭკვიანურად გამოიყენო,** ვიდრე ცხელ გულზე მოისროლო.

„პალიტრანიუსი“



**თეონა აქუბარდია**
*პარტია „საქართველოსთვის“ წევრი*

ე.წ. **პარლამენტის ლეგიტიმაციის არცნობასთან დაკავშირებით** ყველა პარტიას აქვს თავისი ტაქტიკა, გადაწყვეტილებას მივიღებთ მაშინ, როცა ჩვენ ჩავთვლით საჭიროდ.

„პირველი არხი“



# ლაზარე ჯორბენაძე:

# ასლან აბაშიძის სამოთახიან ბინაში 1 800 000 დოლარი საგანგებო სეიფში ინახებოდა, რომელიც ე.წ. „ბალგარკით“ გაჭრეს!

*დასაწყისი იხ. „ა-დ“. 2024 წლის №30-49*

***უფლებადამცველი ლაზარე ჯორბენაძე ნაცმოძრაობის დაფინანსების ფარულ თუ ღია წყაროებს ასახელებს და აცხადებს, რომ სააკაშვილს ერთი თვისება ჰქონდა — სადმე იპოვიდა მდიდარ კაცს, დაჰპირდებოდა ყველაფერს, ჩამოიტყუებდა საქართველოში და მერე მოწველიდა:***

— რეალურად თუ განვსჯით, სინამდვილეში ნაცმოძრაობა შევარდნაძის დროინდელი იმ **ხუნტოვშჩიკებისა და ბუნტოვშჩიკების** პოლიტიკური მემკვიდრეობაა, რომელმაც ცხონებული ზვიად გამსახურდია დაამხო და მოკლა! ესენი გახლავან ჩვეულებრივი ფაშისტები, რომლებიც ფიქრობდნენ და ახლაც ფიქრობენ, რომ სახელმწიფო თავად არიან. მაგალითად, **ზურაბ ადეიშვილმა** ერთხელ მითხრა — არასახელმწიფოებრივად აზროვნებო! — თქვენ რა იცით, სახელმწიფო რა არის-მეთქი? — ვკითხე. — სახელმწიფო ჩვენ ვართო! — მიპასუხა. სხვათაშორის, ეს მე ამერიკელ კონგრესმენს **დე სიმონეს** ვუთხარი „მეტეხი პალასში“ გამართულ სემინარზე — წინ გიზით საქართველოს მთავარი პროკურორი, რომელიც ფიქრობს, რომ სახელმწიფო თავად არის-მეთქი! კაცი კინაღამ გაგიჟდა, ეს რომ მოისმინა, ხოლო დარბაზში დიდი რია-რია ატყდა.

ესენი ისე იყვნენ გარეკილები, სააკაშვილის ჯალათმა, ერთ-ერთმა მაღალი რანგის მოსამართლემ ერთ-ერთ სუფრაზე თქვა — **კანონი ის კი არ არის, ქაღალდზე რაც წერია, კანონი ის არის, რასაც მე განაჩენში დავწერ და განვმარტავო!** სააკაშვილმა მოსამართლეებს, პროკურორებს, ძალოვნებს მიანიჭა ყველანაირი უფლება, რათა ეძარცვათ ხალხი... თავდაპირველად ნაძარცვი ფულები — მაგალითად, **მერაბ ჟორდანიასთვის** წართმეული 7 მილიონი, **აკაკი ჩხაიძისთვის** წართმეული 18 მილიონი — გაურკვეველი წარმოშობის ფონდებში შეჰქონდათ, მაგრამ შემდეგ ფონდებიც აღარ სჭირდებოდათ.

**— ჩვენ ამ საკითხზე გაკვრით ერთხელ ვისაუბრეთ, მაგრამ ეს ფუნდამენტურად განსახილველი პრობლემაა. მერაბ ჟორდანიასა და აკაკი ჩხაიძის გარდა სააკაშვილმა კიდევ ვინ გაძარცვა?**

— საქართველოში არ დარჩენილა ბიზნესმენი, რომ ფული არ შეეწერათ! აი, მაგალითად, სოფელ საქობოში ერთი კარგი კაცი ცხოვრობდა — **ივანე კევლიშვილი,** რომელსაც ბევრი ფუტკარი ჰყავდა და ზაფხულში კიტრი მოჰყავდა. მეფუტკრე და კიტრის გამყიდველი **ივანე კევლიშვილი** გადასახადის გადაუხდელობის გამო დაიჭირეს და 10 ათასი ლარი წაგლიჯეს, რომელიც მაშინ დიდი ფული იყო. გლეხკაცს შემოსავლად, იცით, რა ჩაუთვალეს? თაფლსა და კიტრს რომ ჰყიდდა ის!

**— რა ქონება წაართვა სააკაშვილმა ასლან აბაშიძეს?**

— დავიწყოთ იმით, რომ ასლანმა სახელმწიფოებრივად იაზროვნა, ქართველებს ერთმანეთი არ დაახოცვინა, დაჯდა თვითმფრინავში და წავიდა. რაღაც სისულელეებს რომ ბოდავენ — ასლანმა ეს წაიღო და ის წაიღოო! — სულ ტყუილია ყველაფერი. **ასლანს თავისი ტანსაცმლის გარდა ბათუმიდან არაფერი წაუღია და ქეშად ფული და ქონება არ გაუტანია.** ფული მას, ცხადია, ჰქონდა, ოღონდ ანგარიშებზე... რაც შეეხება ასლანის გაძარცვას, დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, რომ ასლან **აბაშიძის სამოთახიანი** ბინიდან, რომელიც მას ზღვასთან ახლოს ჰქონდა, სააკაშვილის ბანდამ 1 800 000 დოლარი წაიღო და პირადად **სააკაშვილს** მიუტანა. სხვათაშორის, ეს სამოთახიანი ბინა ერთმა ჩემმა კურსელმა პროკურორმა **აბაშიძეს** ჩამოართვა, როგორც **დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონება.** ისე, ბუნებაში არ არსებობს იმის ფაქტობრივი მტკიცებულება, რომ ასლანმა რამე დანაშაული ჩაიდინა, ხოლო ფულის ქონა თუ დანაშაულია, მაშინ ნაცმოძრაობის ყველა მაღალჩინოსანი სისხლის სამართლის დამნაშავეა, რადგან მათ ძალიან დიდი ფული მოიპარეს როგორც ბიუჯეტიდან, ისე ხალხისგან! აღარაფერს ვამბობ უცხოელ დონორებსა და პატრონებზე, რომლებიც ამ მოღალატეებსა და ფაშისტებს დღემდე ეხმარებიან და ფულებს ატენიან! **ასლან აბაშიძის** იმ სამოთახიანი ბინიდან ასევე წამოიღეს ძალიან ძვირადღირებული ნახატები, ირანული და თურქული ხალიჩები, როკოკოს ავეჯი... დიახ, იმდენად მათხოვრები არიან, ავეჯიც კი არ დატოვეს.

**— ფული ვინ წამოიღო და სად ინახებოდა?**

— **ასლან აბაშიძის** სამოთახიან ბინაში 1 800 000 დოლარი საგანგებო სეიფში ინახებოდა, რომელიც ე.წ. „ბალგარკით“ გაჭრეს. ფული წამოიღო ერთმა ჩემმა მეგობარმა, რომელიც მაშინ სპეცდანიშნულების რაზმის ერთ-ერთი მეთაურის მოადგილე გახლდათ და პირადად სააკაშვილს მიუტანა! სამწუხაროდ, ეს პიროვნება ცნობილი ჯალათი იყო... მერე ნაცმოძრაობა ამ პიროვნებას ამუშავებდა „სამასი არაგველის“ მეტროსთან, სამხედრო დასახლებაში მოწყობილ საწამებელში... ნაცებს ჰქონდათ ერთი ოთახი, სადაც ხალხს ტანჯავდნენ. იქ მიჰყავდათ ბიზნესმენები, აწამებდნენ და მერე ფულს ახევდნენ... სწორედ ამ საწამებელში მომუშავე ჯალათმა წამოიღო ეს 1 800 000 დოლარი სახელმწიფო დაცვის სპეცსამსახურის მანქანით. ფული ჩაყარეს ე.წ. „ზმეიკიან“ ჩანთებში... მერე ეს ჯალათი იცინოდა — სულელი ვარ, მძღოლი გამეშვა და ფული წამეღო, ვინ იყო პატრონი, ხაზვივით შემრჩებოდა ყველაფერი... ბათუმიდან 1 800 000 დოლარი ჩამოვუტანე და წილიც არ მომცეს ამ ოხრებმაო! სხვათაშორის, ის ჯალათი ამასაც ამბობდა — სეიფი უფრო ძვირი იყო, ვიდრე იმ სეიფში შენახული ფულიო! როგორც ჩანს, ბატონ ასლანს ძალიან ძვირადღირებულ სეიფში ჰქონდა ფული შენახული.

**— ამ ფულის არსებობა ასლან აბაშიძეს წასვლის დროს დაავიწყდა, თუ საქართველოდან წასვლას საერთოდ არ გეგმავდა?**

— ასლან აბაშიძეს რამდენი ფული ჰქონდა და სად რას ინახავდა, ამის თქმა შეუძლებელია.





აკაკი ჩხაიძე



მერაბ ჟორდანია

**„თავდაპირველად ნაძარცვი ფულები — მაგალითად, მერაბ ჟორდანიასთვის წართმეული 7 მილიონი, აკაკი ჩხაიძისთვის წართმეული 18 მილიონი — გაურკვეველი წარმოშობის ფონდებში შეჰქონდათ, მაგრამ შემდეგ ფონდებიც აღარ სჭირდებოდათ!“**

## კვირგვინოსნები



**თამარ ჩარკვიანი**
*ყოფილი პარლამენტარი*

არ ვაპირებ, **მელიას ან ხაზარაძეს** დითირამბები ვუმღერო! მე შეიძლება ვიღაც ავიტანო იმ პროცესში, რასაც ჰქვია საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა, მაგრამ **დითირამბები ვუმღერო ელისაშვილივით და მაპატიეთ და გადაფურთხებული უკან წავიღო, გამორიცხულია!** ერთ წრეზე ტრიალი და ეს გაცვეთილი, **მევახშური სახეების ყურება ამოუვიდა ხალხს ყელში!** კარგით რა, იმის არ შერცხვა **მევახშე ხაზარაძეს,** 32 პროცენტი ჰქონოდა სესხზე და იმის შერცხვება, ქვეყანა გააპროცენტოს?!

„ახალი თაობა“



**რატი ამაღლობელი**
*პოეტი*

მაქვს მოლოდინი, რომ **შეიქმნას სრულიად ახალი საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოძრაობა.** ის უნდა შექმნას იმ ხალხმა, ვისაც ეს დღეებია, ვხედავთ ქუჩებში, მაგალითად, **პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტებს, ხელოვანებსა და მეცნიერებს,** სხვადასხვა აქტივისტურ ჯგუფებს.

„ახალი თაობა“



**თამარ კიკნაძე**
*საერთაშორისო ურთიერთობათა მკვლევარი, პოლიტოლოგი*

საქართველოში **არჩევნებმა გაცილებით უკეთ ჩაიარა,** ვიდრე ბევრ იმ ქვეყანაში, სადაც დასავლეთმა ლეგიტიმურობა აღიარა. მე რომ მკითხოთ, **„ქართულ ოცნებას“ უფრო მაღალი პროცენტი უნდა მიეღო.**

„საერთო გაზეთი“



**ბაჩო დოლიძე**
*პოლიტიკოსი*

დარწმუნებული ვარ, „ქართულ ოცნებას“ **ფასადურ ოპოზიციას** არავინ არ შეუქმნის.

„ახალი თაობა“

# „სინამდვილეში, სააკაშვილი და ნინო ბურჯანაძე ერთმანეთს ხორბლის ბიზნესის გამო დაუპირისპირდნენ!“



**„პურს გული არ უცხვებოდა და ეწებებოდა, რადგან ხორბალი საფურაჟე იყო! კანადაში ეს ბიზნესარხი რომ გაჭრეს, იმის შემდეგ სააკაშვილი ხალხს სულ საფურაჟე ხორბალს აჭმევდა და მხოლოდ ამ გზით მილიარდებს აკეთებდა!“**

გვარსა და სახელს არ დავასახელებ, საქართველოში ერთი კაცი ცხოვრობს, რომელსაც ერთ-ერთ საწყობში, მიწის ქვეშ, ძალიან ღრმად, ნახევარი მილიარდი, ანუ 500 მილიონი დოლარი აქვს დამალული!

**— ცნობილი კაცია?**

— ვერ დავასახელებ, მაგრამ კარგი კაცია, ბევრ გაჭირვებულს ეხმარება და ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროს ის თანხა! სხვათაშორის **ასლან აბაშიძეს** ჰყავდა ბრწყინვალე მეუღლე, რომელიც აჭარის მოსახლეობას ფულით, წამლით და საჭმლით ეხმარებოდა. ეტყობა, ეს ფული ამისთვის იყო გადანახული. იმ დღეებში **ასლანის** ყველა ოფისი გაიძარცვა და უიშვიათესი ჭურჭელი და ავეჯი გაიტანეს ბათუმიდან! ეს ჰალსტუხიანი ყაჩაღები და უნახავი მათხოვრები ამ ყველაფერს რომ უყურებდნენ, პირი ჰქონდათ დაღებული.

**— თემურ ჭყონია სააკაშვილს არ დაუყაჩაღებია?**

— **თემურ ჭყონიას** სააკაშვილთან წილი ნებაყოფლობით მიჰქონდა... მაგალითად, „ჯეოსელმა“, როცა სააკაშვილი იუსტიციის მინისტრი გახდა, **ირაკლი ოქრუაშვილის** ხელით 300 ათასი დოლარი გაუგზავნა!

**— მამუკა ხაზარაძეს რა ოდენობის ხარკი მიჰქონდა სააკაშვილისთვის?**

— **მამუკა ხაზარაძე** სააკაშვილთან და ნაცმოძრაობასთან ჭიპით იყო მიერთებული! საერთოდ, ბანკების მეშვეობით ბიზნესმენების გატყავება და დაყაჩაღება რეჟიმებისთვის დამახასიათებელი თვისებაა... ასე რომ, სააკაშვილი „თიბისი ბანკსა“ და „საქართველოს ბანკს“ იყენებდა, როგორც ფინანსურ ჟანდარმებს, ხოლო რომელი ბანკიც არ დაემორჩილებოდა, მაგალითად „კონსტანტა“, იმას აკოტრებდა და მერე ხელში იგდებდა...

**— რა დაემართა ნორიოელ მილიონერ ნოდარ საქუაშვილს, რომელთანაც სააკაშვილი ყოველ კვირას საქეიფოდ დადიოდა და ქალები მიჰყავდა? სხვათაშორის, ნოდარ საქუაშვილი და ცხონებული ირინა ენუქიძე — სანდრო გირგვლიანის დედა, ორივე პანკრეასის თავის სიმსივნით დაიღუპნენ. ცნობისათვის, პანკრეასის თავის სიმსივნეს ხშირად იწვევს ძლიერი ინტოქსიკაცია, ანუ მოწამვლა!**

— **ნოდარ საქუაშვილს** საქართველოში ფული არ უშოვია, რუსეთში იშოვა... სააკაშვილს ერთი თვისება ჰქონდა — სადმე იპოვიდა მდიდარ კაცს, დაჰპირდებოდა ყველაფერს, ჩამოიტყუებდა საქართველოში და მერე მოწველიდა! სწორედ ასე დამართეს **ნოდარ საქუაშვილსაც...** სააკაშვილმა იგივე დამართა **სერგი კაკალაშვილსაც** — კახეთის წისქვილკომბინატის მფლობელს, რომელიც ლექსებს წერდა... ოღონდ **სერგი კაკალაშვილი** მიშას ბოლომდე არ გაუტყავებია. **სერგი კაკალაშვილს** საქართველოში ჩააბარეს ხორბლის ბიზნესი და ხორბალში რა ფულიც შემოდიოდა, **კაკალაშვილის** ხაზით, ყველაფერი სააკაშვილთან მიდიოდა. სინამდვილეში, სააკაშვილი და **ნინო ბურჯანაძე** ერთმანეთს სწორედ ხორბლის ბიზნესის გამო დაუპირისპირდნენ! მოგეხსენებათ, ეს ბიზნესი საქართველოში ხელში ეჭირა **ანზორ ბურჯანაძეს.** სააკაშვილმა მოინდომა ამ ბიზნესის დათრევა. ნაცებს, **სერგი კაკალაშვილის** ხელით, რუსეთიდან საქართველოში შემოჰქონდათ დიდი ოდენობით ხორბალი და **ანზორ ბურჯანაძეს** პრობლემებს უქმნიდნენ... ბოლოს ისეთი ვირეშმაკობა მოიფიქრეს, თვით ეშმაკსაც რომ არ მოუვიდოდა თავში. კერძოდ, კანადიდან წამოიღეს დიდი ოდენობით უმაღლესი ხარისხის ხორბალი, რომელიც რამდენიმე მაღალი ტონაჟობის გემზე იყო დატვირთული. ნაცებმა ეს მაღალი ხარისხის ხორბალი თურქეთში გაყიდეს, სამაგიეროდ, იყიდეს საფურაჟე ხორბალი და საქართველოში შემოიტანეს იმ ღირებულებით, თითქოს კანადაში იყო ნაყიდი... პურის მცხობელები გაგიჟებული იყვნენ, რადგან პურს ვერ აცხობდნენ... პურს გული არ უცხვებოდა და ეწებებოდა, რადგან ხორბალი საფურაჟე იყო! კანადაში ეს ბიზნესარხი რომ გაჭრეს, იმის შემდეგ **სააკაშვილი** ხალხს სულ საფურაჟე ხორბალს აჭმევდა და მხოლოდ ამ გზით მილიარდებს აკეთებდა. სხვათაშორის, ასლან აბაშიძის დამხობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის იყო, რომ **სააკაშვილი** ბათუმის პორტს ვერ აკონტროლებდა და **ასლანი** წილს არ აძლევდა! მას რომ სააკაშვილისთვის **თემურა ჭყონიასა** და **მამუკა ხაზარაძის** მსგავსად ფული ეძლია, შესაძლოა, არც შეხებოდნენ, მაგრამ ასლანი პატრიოტი და ღირსეული კაცი იყო და ამ უღირსებსა და ვიგინდარებს ქედი არ მოუხარა! „მხედრიონის“ დროს აჭარაში სისხლი რომ არ დაიღვარა, ეს პირადად ბატონი ასლანის დამსახურებაა.

**— კი მაგრამ, ამ თაღლითურ და დანაშაულებრივ სქემებს ვინ იგონებდა?**

— ამ ყველაფრის უკან სააკაშვილის ბიძა **თემურ ალასანია** იდგა! ეს მისი მოფიქრებული სქემები იყო! საერთოდ, სააკაშვილს ყველგან ჰალსტუხიანი ყაჩაღები ჰყავდა ჩაყენებული. **გიგი უგულავამ** ტრამვაის ლიანდაგები და ტროლეიბუსის ხაზები, აგრეთვე აურაცხელი ოდენობით სუფთა სპილენძი რომ გაყიდა და ჯიბეში ჩაიდო, ამის შესახებ ერთხელ უკვე ვთქვით.

საგარეჯოში, დავითგარეჯის გზაზე, სართიჭალის მხრიდან, კომუნისტების დროს სარწყავი არხი არსებობდა. ბეტონის არხების გარდა, მიწაში ჩადებული იყო ძალიან მაღალი ხარისხის ფოლადის დიდი მილები. **ზურაბ ადეიშვილის** ბრძანებით, საგარეჯოს მაშინდელმა გამგებელმა **ჩალათაშვილმა** ეს რკინის მილები, რომელიც 540 ტონა იყო, ამოთხარა და ირანში გაყიდა. ხაზს ვუსვამ, ეს იყო ძალიან მაღალი ხარისხის, სტრატეგიული დანიშნულების რკინა! ეს ის **ჩალათაშვილია,** რომელიც **ზურაბ ადეიშვილმა** მომიგზავნა და მითხრა — **ადეიშვილმა** შემოგითვალა, ნაცმოძრაობას 50 ათასი დოლარი ჩაურიცხეო! დღეს ეს **ჩალათაშვილი** სახლშია წამოწოლილი მხართეძოზე და მეგობრობს „ქართულ ოცნებასთან“. მოკლედ, სააკაშვილს ფულის საჭრელი დაზგა ჰქონდა აწყობილი... აი, მაგალითად, ჩემი მეგობარი, თელავის მერის ყოფილი მოადგილე **თემურ შაშიაშვილი,** რომელსაც ხორბლის წისქვილი და ინერტული მასალების კარიერი ჰქონდა, ტენდერებში იმარჯვებდა და თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ობიექტებზე რაღაც პროექტებს ახორციელებდა. **ირაკლი ოქრუაშვილის** თავდაცვის მინისტრობის დროს გენერალ**ბიძი იუკურიძის** სახელით, თავდაცის სამინისტროს საფინანსო განყოფილებაში დაიბარეს და ულტიმატუმი წაუყენეს — ამა და ამ ობიექტზე 2-მილიონიანი პროექტი რომ განახორციელე, თუ გინდა, აქტები ჩაგითვალოთ, 200 ათასი ლარი ქეშად მოგვიტანეო! კაცი გაგიჟდა — სადა მაქვს 200 ათასი, როცა 400 ათასი ლარი ჯერ კიდევ გადმოსარიცხი გაქვთ და ხელფასები არ გამიციაო?! ამის შემდეგ თემურმა ნაცმოძრაობის ერთ-ერთი მაღალჩინოსანი შეაწუხა — რა ვქნა, როგორ მოვიქცეო? — თუ გითხრეს, უნდა გადაიხადოო! — უპასუხა იმ მაღალჩინოსანმა. **თემურ შაშიაშვილმა** ეს თანხა ვერ გადაიხადა და ორ კვირაში კეზერაშვილის ფინანსურმა პოლიციამ დაიჭირა. შეაგდეს ციხეში, არმიღებული ფულის გადასახადის დამალვა დააბრალეს და შვიდი თვით საკანში აყურყუტეს. სანამ 200 ათასი არ გადაიხადა, საპროცესო შეთანხმებას არ უფორმებდნენ...

**— ვინ იყო ამ საქმის პროკურორი?**

— **რობერტ ბრიგალაშვილი!** ვინმეს გაახსენდა, რომ **თემურ შაშიაშვილს** ნაცმოძრაობამ 200 ათასი აახია და ეს საქმე გამოიძია? ცხადია, არა, რადგან კოჰაბიტაცია დღემდე ძალაშია...

**— რაც შეეხება ნაცმოძრაობის დაფინანსების დღევანდელ წყაროებს!**

— ნაცმოძრაობის დაფინანსების დღევანდელი წყაროები რამდენიმე ნაწილად უნდა გავყოთ! პირველია **სააკაშვილის, კეზერაშვილის, თემურ ალასანიასა** და, საერთოდ, ამ ვირთხების მიერ უცხოურ ოფშორებში გადაქაჩული მილიარდები; მეორე — ის დახმარება, რომლითაც უცხოეთი, მაგალითად, 2008 წლის აგვისტოს ომის დროს გვერდში დაგვიდგა და 5 მილიარდი მოგვცა. მაშინ ეს ფული მთლიანად **სააკაშვილმა** ჩაიდო ჯიბეში... მესამე წყარო აქამდე იყო დაფარული, მაგრამ უკვე გახდა ხილული... ვგულისხმობ იმ უცხოურ გრანტებს, რომლითაც დასავლეთი მდიდარ ქართველ ენჯეოშნიკებს აფინანსებს. აი, მაგალითად, საქვეყნოდ ცნობილი ფაქტია, რომ 120 მილიონ დოლარს ევროკავშირი არ მისცემს ქართულ სახელმწიფოს და გადაურიცხავს ენჯეოშნიკებს. **ენჯეოშნიკებმა წერილი უკვე გაგზავნეს ბრიუსელში — ეს თანხა ჩვენ მოგვეციოთ! ეს ყველაფერი ახლა გამოჩნდა, თორემ ხომ წარმოგიდგენიათ, ამ წლების განმავლობაში ენჯეოებს რამდენი ასეთი 120 მილიონი აქვთ აღებული ჩუმად?** სინამდვილეში, ეს სულ ნაცმოძრაობისთვის გადარიცხული ფულია, რადგან ეს ენჯეოები სწორედ ნაცებისაა. აი, ეს ფულია, ამ ქვეყანაში პოლიტიკურ ვითარებას რომ ურევს... **თუ ამ ყველაფერს იმასაც დავამატებთ, რომ კეზერაშვილის ქოლცენტრები მთელ ქვეყანას ატყავებს, აქ უკვე ძალიან დიდ ფულზეა ლაპარაკი.** ღმერთმა დაგვიფაროს და ამოდენა ფულით ამ გარეწრებს სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა კი არა, ჯარის დაქირავებაც შეუძლიათ. ასე რომ, ეს ძალიან საშიში ძალაა.

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***



**„ჯეოსელმა“, როცა სააკაშვილი იუსტიციის მინისტრი გახდა, ირაკლი ოქრუაშვილის ხელით 300 ათასი დოლარი გაუგზავნა!“**

## კვირგვინოსნები

**ზაალ ანჯაფარიძე**
*ანალიტიკოსი*



**სალომე ზურაბიშვილი** შევა საქართველოს ისტორიაში, როგორც პრეზიდენტი, რომელიც **პროევროპულ რიტორიკას ამოფარებული,** „რუსული“ თემის ჟონგლიორობით **მოქმედებდა საკუთარი სახელმწიფოს წინააღმდეგ.**

„საერთო გაზეთი“

**გოგა ხაინდრავა**
*კინორეჟისორი*



ჩვენ **პოლიტიკური დიდგორი** საქართველოში კი არა, ევროპაში მოვიგეთ. **ეს გადაგვარებული დაწესებულება — ევროკავშირი,** პოლიტიკურად, ზნეობრივად, სექსუალურად გარყვნილი ადამიანების თავყრილობაა. **ქართველმა ხალხმა წარმოუდგენელი გამარჯვება იზეიმა,** როცა არჩევნებში ამ გარყვნილებას ცალსახა უარი უთხრა.

„საერთო გაზეთი“

**პაატა ბურჭულაძე**
*ოპერის მომღერალი*



**ცოტა უფრო რადიკალური ზომებია საჭირო,** საქართველოს ჰიმნის სიმღერა არ ჭრის. ხომ ხედავთ, **ამ ადამიანებზე არაფერი არ მოქმედებს.**

„TV პირველი“

**ნანუკა ჟორჟოლიანი**
*ფსიქოთერაპევტი*



**მიხეილ ყაველაშვილი** პრეზიდენტადო! — **ვაიმე, მიშველეთ!** მადლობა **ბატონო ბიძინა,** თქვენი საყვარელი პინგვინი რომ არ გააპრეზიდენტეთ.

„პალიტრანიუსი“

*ცნობილი ჰომეოპათი, ექიმი ᲙᲐᲮᲐ ᲡᲐᲑᲐᲮᲢᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ საზოგადოებას აფრთხილებს და აცხადებს, რომ მზესუმზირისა და სიმინდის ზეთებში „ომეგა-6“-ის რაოდენობა სამოცდაათჯერ აღემატება „ომეგა-3“-ის რაოდენობას, რაც ორგანიზმისთვის ნამდვილი კატასტროფაა:*



**ᲙᲐᲮᲐ ᲡᲐᲑᲐᲮᲢᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ** — ექიმი ნევროპათოლოგი, საერთაშორისო ჰომეოპათიური ლიგის წევრი, საქართველოს ეკოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. გასული საუკუნის 80-იან წლებში იყო კიბოს საწინააღმდეგო პრეპარატ **„კატრექსის“** ავტორის **ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲑᲐᲩᲔᲩᲘᲚᲐᲫᲘᲡ** მიერ შექმნილი **საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი საიდუმლო სამეცნიერო ლაბორატორიის მთავარი ექიმი,** ქალაქ თბილისის №13 პოლიკლინიკის დირექტორი. აქვს გამოქვეყნებული 7 წიგნი და 1 მონოგრაფია, 50 სამეცნიერო სტატია. მსოფლიო აღიარება მოიპოვა მისი ხელმძღვანელობით შექმნილმა წამლებმა **„გულის ელექსირი ფორტე“, „ტონზილინი“ და „იმუნო ჰერბი ფორტე“, „ტონზილინმა“** ასობით ბავშვი გლანდების ამოჭრას გადაარჩინა. **„იმუნო-ჰერბი ფორტემ“** ათასობით ადამიანს გრიპი და კოვიდი თავიდან აცილა. **„გულის ელექსირი ფორტე“ —** საიმედო დაცვა ინფარქტისა და ინსულტისაგან.




**ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲕᲐᲟᲐ-ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲐᲡ 43, ᲛᲔᲢᲠᲝᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘ „ᲓᲔᲚᲘᲡᲘ“ (ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ). 593 31 70 34; ᲤᲔᲘᲡᲑᲣᲥᲘ: „ᲙᲐᲮᲐ ᲡᲐᲑᲐᲮᲢᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ“ ᲓᲐ „ᲚᲐᲖᲘᲙᲐ-ᲤᲐᲠᲛᲐ“**

## ᲙᲐᲮᲐ ᲡᲐᲑᲐᲮᲢᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ:

# ᲐᲛ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣᲡ ᲬᲐᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲛᲖᲔᲡᲣᲛᲖᲘᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲛᲘᲜᲓᲘᲡ ᲖᲔᲗᲔᲑᲡ, ᲬᲔᲡᲘᲗ, ᲐᲦᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲕᲔᲙᲐᲠᲝᲗ!





— მე-20 საუკუნის 70-იანი წლებიდან მოყოლებული, მთელ მსოფლიოში მკვეთრად გაიზარდა შაქრიანი დიაბეტით, ღვიძლის გაცხიმოვნებით, ციროზით და კიბოთი დაავადებულთა რიცხვი. ეს თითქოს პარადოქსია, რადგან მედიცინა ძალიან წინ წავიდა და უამრავი ახალი, რევოლუციური პრეპარატი შეიქმნა. ბევრი ამ მოვლენას შაქარზე და მცენარეულ ზეთებზე მომზადებული კერძებისა თუ ტკბილეულის ფართოდ მოხმარებას უკავშირებს. შაქრის მავნებლობის შესახებ არაერთხელ გვისაუბრია და ამაზე აღარ შევჩერდებით, მაგრამ შაქარზე არანაკლებ მავნებელია **ᲛᲖᲔᲡᲣᲛᲖᲘᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲛᲘᲜᲓᲘᲡ ᲖᲔᲗᲔᲑᲘᲡ** ლამის ყოველდღიური გამოყენება. საქმე ის არის, რომ ორგანიზმისთვის აუცილებელია, საკვებთან ერთად „ომეგა-3“ და „ომეგა-6“ მიიღოს. მზესუმზირისა და სიმინდის ზეთები ორივე მათგანს შეიცავს, მაგრამ მათ შორის გარკვეული თანაფარდობის არსებობა მაინც საჭიროა. კერძოდ, ერთ ნაწილ „ომეგა-3“-ზე „ომეგა-6“-ის სამი ნაწილი უნდა მოდიოდეს. **ᲡᲘᲛᲘᲜᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲖᲔᲡᲣᲛᲖᲘᲠᲘᲡ ᲖᲔᲗᲔᲑᲨᲘ ᲔᲡ ᲗᲐᲜᲐᲤᲐᲠᲓᲝᲑᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲛᲝᲪᲓᲐᲐᲗᲖᲔᲐ, ᲐᲜᲣ ᲛᲖᲔᲡᲣᲛᲖᲘᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲛᲘᲜᲓᲘᲡ ᲖᲔᲗᲔᲑᲨᲘ „ᲝᲛᲔᲒᲐ-6“-ᲘᲡ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲐ ᲡᲐᲛᲝᲪᲓᲐᲐᲗᲯᲔᲠ ᲐᲦᲔᲛᲐᲢᲔᲑᲐ „ᲝᲛᲔᲒᲐ-3“-ᲘᲡ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲐᲡ, ᲠᲐᲪ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲙᲐᲢᲐᲡᲢᲠᲝᲤᲐᲐ!** ამ ინტერვიუს წაკითხვის შემდეგ მზესუმზირისა და სიმინდის ზეთებს, წესით, აღარ უნდა გავეკაროთ! „ომეგა-3“ ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა და სხვა სიკეთესთან ერთად ანთების საწინააღმდეგო ეფექტიც გააჩნია, ხოლო ჭარბი „ომეგა-6“ ორგანიზმისთვის დამანგრეველია.

უნდა ითქვას ისიც, რომ „ომეგა-6“ ანთებას იწვევს და მისი ნახევარდაშლის პერიოდი 600 დღეა. უფრო მეტიც, „ომეგა-6“-ის უდიდესი ნაწილი, როგორც შლამი, ღვიძლსა და თავის ტვინში რჩება, რაც ღვიძლის ანთებას, ციროზსა და კიბოს იწვევს. ჭარბი „ომეგა-6“ ანგრევს თავის ტვინსაც.

*ჩაატარეს ასეთი ექსპერიმენტი — თაგვების პირველ ჯგუფს მისცეს ალკოჰოლი ღორის ცხიმთან ერთად; მეორე ჯგუფს — ალკოჰოლი საქონლის ცხიმთან ერთად, ხოლო მესამე ჯგუფს — ალკოჰოლი სიმინდის ზეთთან ერთად. გარკვეული დროის შემდეგ შეისწავლეს მათი ღვიძლი... პირველ ჯგუფს ღვიძლის მინიმალური დაზიანება აღენიშნა. მეორე ჯგუფში ღვიძლი დაზიანებული, ფაქტობრივად, არ იყო, ხოლო მესამე ჯგუფს, სადაც თაგვებს ალკოჰოლთან ერთად სიმინდის ზეთს აძლევდნენ, თითოეული თაგვის ღვიძლი ციროზულად იყო გადაგვარებული.*

**— აქედან რა დასკვნა უნდა გავაკეთოთ?**

— ღორის ცხიმში „ომეგა-6“, ანუ **ᲚᲘᲜᲝᲚᲔᲜᲘᲡ ᲛᲟᲐᲕᲐ** 2,5 პროცენტია, საქონლის ცხიმში — 0,7 პროცენტი, ხოლო სიმინდის ზეთში — მთელი 57 პროცენტი! აქედან გამომდინარე, როდესაც სუფრასთან გვიწევს ყოფნა და ალკოჰოლურ სასმელს ვსვამთ, საქონლის ცხიმიანი ხორცი აუცილებლად უნდა მივაყოლოთ! ამით ღვიძლზე ალკოჰოლის ტოქსიკური მოქმედების მინიმალიზაციას მოვახდენთ!

**— რომელ ზეთშია „ომეგა-3“-ისა და „ომეგა-6“-ის იდეალური შეფარდება?**

— ასეთი მხოლოდ ზეითუნის ზეთია, სადაც „ომეგა-6“ მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი. ზეითუნის ზეთი უამრავ ძვირფას მედიკამენტზე მაღლა დგას. ის არის ანთების საწინააღმდეგო და შესანიშნავია ართრიტებისა და სისხლძარღვების შევიწროების დროს, არეგულირებს წნევას, გააჩნია კიბოს საწინააღმდეგო მოქმედება, იცავს თავის ტვინს — ახდენს პარკინსონისა და ალცჰაიმერის დაავადების პროფილაქტიკას.

ზეითუნის ზეთი კარგი ტკივილგამაყუჩებელია და მასში შემავალ **ᲝᲚᲔᲝᲙᲐᲜᲢᲐᲚᲡ** იბუპროფენის ეფექტი გააჩნია. **ᲖᲔᲘᲗᲣᲜᲘᲡ ᲖᲔᲗᲘ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲙᲐᲠᲒᲘᲐ ᲓᲘᲐᲑᲔᲢᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲘᲡ ᲘᲜᲡᲣᲚᲘᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲔᲚ ᲑᲔᲢᲐ ᲣᲯᲠᲔᲓᲔᲑᲡ ᲙᲕᲔᲑᲐᲕᲡ.** ზეითუნის ზეთი მაღლა წევს ე.წ. კარგ ქოლესტერინს და ე.წ. ცუდი ქოლესტერინის დონეს ამცირებს.

იქ, სადაც ზეითუნის ზეთს ყოველდღიურად მოიხმარენ, გულ-სისხლძარღვთა დაავადებები ნაკლებია, ხოლო ალცჰაიმერისა და პარკინსონის დაავადებები — იშვიათი. ზეითუნის ზეთი სიბერის პროცესს ანელებს! საქმე ის გახლავთ, რომ ასაკის მატებასთან ერთად უჯრედის ქრომოსომების სიგრძე კლებულობს. ქრომოსომებს, ანუ გენებს იცავს ე.წ. ტელომერები, რომლებიც ქრომოსომების ორივე ბოლოებზეა მიერთებული. როცა ტელომერები ზომაში მცირდება, ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობაც იკლებს. ზეითუნის ზეთში შემავალი ნივთიერებები ტელომერებს შემცირების საშუალებას არ აძლევს და ამ პროცესს აფერხებს. **ᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲐ, ᲠᲝᲛ ᲮᲛᲔᲚᲗᲐᲨᲣᲐ ᲖᲦᲕᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲔ-**




## „ᲜᲣ ᲘᲧᲘᲓᲘᲗ ᲛᲖᲔᲡᲣᲛᲖᲘᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲛᲘᲜᲓᲘᲡ ᲖᲔᲗᲔᲑᲡ, ᲘᲧᲘᲓᲔᲗ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲖᲔᲘᲗᲣᲜᲘᲡ ᲖᲔᲗᲘ!“

## ᲙᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲝᲡᲜᲔᲑᲘ

**ᲐᲠᲩᲘᲚ ᲩᲮᲝᲢᲣᲐ**
*პროქტოლოგი*



ძალიან ბევრი ცნობილი ადამიანი იყო დაავადებული და გარდაიცვალა სწორედ **სიფილისით.** მათ რიცხვს განეკუთვნებიან: **ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲤᲝᲠᲔ ᲙᲝᲚᲣᲛᲑᲘ, ᲘᲕᲐᲜᲔ ᲛᲠᲘᲡᲮᲐᲜᲔ, ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲚᲔᲜᲘᲜᲘ, ᲤᲠᲘᲓᲠᲘᲮ ᲜᲘᲪᲨᲔ, ᲒᲘ ᲓᲔ ᲛᲝᲞᲐᲡᲐᲜᲘ, ᲐᲜᲠᲘ ᲢᲣᲚᲣᲖ-ᲚᲝᲢᲠᲔᲙᲘ, ᲐᲚ ᲙᲐᲞᲝᲜᲔ** და კიდევ მრავალი სხვა. სამწუხაროა, რომ **სიფილისი,** რომელიც მსოფლიოს ცივილიზებულ ქვეყნებში უკიდურესად იშვიათი დაავადებაა, **ჯერ კიდევ ხშირია საქართველოში.**

„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ“

**ᲚᲔᲕ ᲐᲜᲗᲐᲫᲔ**
*მსახიობი*



შეიძლება რეჟისორებს ეწყინოთ, მაგრამ **მეჩვენება, თითქოს კარგი მსახიობი იმდენად არ სჭირდებათ,** რამდენადაც ჩანაფიქრის განხორციელება სანახაობრივად. **დღეს სიღრმეს აღარ მიჰყვებიან, ყველაფერი უფრო ზედაპირულადაა.**

„ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲐ“

**ᲐᲜᲐ ᲛᲘᲥᲐᲫᲔ-ᲩᲘᲥᲕᲐᲘᲫᲔ**
*ყველის მკეთებელი*



**დღეს ადამიანს რომ შევხედავ, ზუსტად ვიცი, მას რა მოუვა.** ზოგჯერ ჩემს თავს ვეწინააღმდეგები, ყოველთვის ხომ არ გამართლდება ჩემი შეგრძნებები-მეთქი, მაგრამ **გამორიცხულია, ზუსტად ისე არ მოხდეს, როგორც ვგრძნობდი** და ჩემი წინათგრძნობა არ გამართლდეს.

„ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲔᲑᲘ“

**ᲐᲜᲓᲠᲘᲐ ᲤᲣᲢᲙᲐᲠᲐᲫᲔ**
*საბავშვო ევროვიზიის გამარჯვებული*



ვერ წარმოვიდგენდი, თუ ასეთი ცნობილი ვიქნებოდი ამ ასაკში. ადრეც სულ ვამბობდი, მინდა, **მსოფლიოში ცნობილი მომღერალი ვიყო-მეთქი,** მაგრამ ახლა, როცა საბავშვო ევროვიზია მოვიგე, **ეს ოცნება აუცილებლად უნდა ავიხდინო.**

„ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲔᲑᲘ“

# „როდესაც ალკოჰოლურ სასმელს ვსვამთ, საქონლის ცხიმიანი ხორცი აუცილებლად უნდა მივაყოლოთ!“





**ბის მოხუცები — იტალიელები, კორსიკელები, ბერძნები, ასაკშიც კი საკმაოდ ახალგაზრდულად გამოიყურებიან.** ნუ დაგვავიწყდება ისიც, რომ ისინი დიდი ოდენობით თევზეულსაც მიირთმევენ, სადაც „ომეგა-3“-ისა და „ომეგა-6“-ის იდეალური თანაფარდობაა და ერთ ნაწილ „ომეგა-3“-ზე მხოლოდ ერთი ნაწილი „ომეგა-6“ მოდის!

**— ზეითუნის ზეთი ცივი გაწურვის მეთოდით დამზადებული სჯობს?**

— რა თქმა უნდა, ცივი გაწურვის მეთოდით მიღებული ზეითუნის ზეთი, ანუ **„ექსტრა ვირჯინი“** საუკეთესოა, რადგან თერმული დამუშავებისას უამრავი სასარგებლო ნივთიერება იკარგება. ასეთი ზეთი მხოლოდ კერძების შესაწვავად თუ გამოდგება. კარგი ზეითუნის ზეთი უნდა იყოს მომწვანო ფერის, უნდა ჰქონდეს კარგი გემო და როცა დავლევთ, ყელი ოდნავ უნდა ჩაგვეხეხოს. ასეთია სწორედ **„ექსტრა ვირჯინი“.** ბევრმა არ იცის, რომ საქართველო ზეითუნის ზეთის წარმოების მხრივ მსოფლიოს ქვეყნების ხუთეულში შევიდა. უფრო მეტიც, საუკეთესო ქართული ზეითუნის ზეთის მწარმოებელი **გიორგი სვანიძე** ზეითუნის ზეთის საერთაშორისო ასოციაციის საპატიო პრეზიდენტადაც კი აირჩიეს. ქართული ზეითუნის ზეთი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა. **თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მთელ მსოფლიოში ზეითუნის ზეთის 80 პროცენტი ფალსიფიცირებულია და მასში სხვა ზეთებიც არის შერეული, აუცილებლად უნდა შევიძინოთ ქართული ზეითუნის ზეთი, რომელიც უცხოურთან შედარებით გაცილებით იაფია, მაგრამ ხარისხით ბერძნულ, ესპანურ, თურქულ და იტალიურ ზეითუნის ზეთებს არაფრით ჩამოუვარდება!** ამიტომ ჩვენი რჩევაა, იყიდეთ სწორედ ქართული ზეითუნის ზეთი!

**— რას წარმოადგენს ე.წ. რაფინირებული ზეთი?**

— შენახვის ვადა რომ გაუზარდონ, მზესუმზირისა და სიმინდის ზეთებს აცხელებენ, მრავალჯერ გადაამუშავებენ, დაუმატებენ სხვადასხვა არომატიზატორებს და ასე ღებულობენ ე.წ. **რაფინირებულ ზეთს,** რომელშიც არაფერი სასარგებლო დარჩენილი აღარაა. რაფინირების პროცესში ხშირად გამხსნელად იყენებენ **ჰექსანს,** რომელიც ბენზინის შემადგენლობაში შედის. თავად განსაჯეთ, რამდენად სასარგებლო იქნება ასეთი ზეთი!

**— რას იტყვით პალმის ზეთის შესახებ, რომელიც მასობრივად გამოიყენება საკონდიტრო მრეწველობაში და განსაკუთრებით ნაყინის წარმოებაში?**

— პალმის ზეთის ფართო მოხმარება იმან განაპირობა, რომ ძალიან იაფია. გარდა ამისა, მისი თითქმის 50 პროცენტი **პალმიტინის მჟავაა,** რომელიც ოთახის ტემპერატურაზე მყარია და მხოლოდ 37 გრადუს ცელსიუსზე დნება. სწორედ ამ თვისების გამო უმატებენ მას ნაყინს. შესაბამისად, ნაყინი დიდხანს არ დნება და ინახება. აქედან გამომდინარე, პროდუქცია იაფია.

საკვები პროდუქტების 50 პროცენტზე მეტი პალმის ზეთს შეიცავს. იგი იმდენად საშიში არ არის და მარგარინის მსგავსად, ტრანსცხიმს არ წარმოადგენს, მაგრამ საკვების ზოგიერთი არაკეთილსინდისიერი მწარმოებელი პალმის ზეთს **ტექნიკური პალმის ზეთით** ანაცვლებს, რაც ტოქსინია და კიბოს იწვევს. ტექნიკური პალმის ზეთი მხოლოდ კოსმეტოლოგიაში გამოიყენება და ისიც უმცირესი რაოდენობით. **ხომ წარმოგიდგენიათ, ასეთ პროდუქტს რომ შეჭამ, რა შეიძლება დაგემართოს?**

**— ე.წ. საცხობებში ნაყიდი ნებისმიერი პროდუქტი — ლობიანი, ხაჭაპური, ფუნჩულა, ღვეზელი... თითქმის ყველა იწვევს გულწვას, ანუ „იზჟოგას“, რა არის ამის მიზეზი?**

— ამას ერთადერთი მიზეზი და ახსნა აქვს — ე.წ. „იზჟოგას“ იწვევს მზესუმზირის ან სიმინდის ზეთი, რომელსაც რამდენიმე დღის განმავლობაში იყენებენ და ერთსა და იმავე ზეთში სხვადასხვა პროდუქტს რამდენჯერმე ამზადებენ. მზესუმზირისა და სიმინდის ზეთების მრავალჯერ გადმოდუღების შედეგად გამოიყოფა კიბოს გამომწვევი კანცეროგენები, რომლებიც საკვებთან ერთად ორგანიზმში ილექება.

**— სალათს, ჯონჯოლსა და მსგავს პროდუქტებს რომელი ზეთი უნდა მოვასხათ?**

— სალათს, პომიდორსა და ჯონჯოლს მხოლოდ და მხოლოდ ცივი გაწურვის შედეგად მიღებული ზეითუნის ზეთი უნდა მოვასხათ!

**— რამდენად სასარგებლოა ნიგვზის ზეთი?**

— ნიგვზის ზეთი საუკეთესოა, თუ ის ცივი გაწურვის შედეგად არის მიღებული. ამასთან, იგი ძალიან ძვირია, რის გამოც კულინარიაში ფართო გამოყენება არა აქვს!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

**ნიგვზის ზეთი საუკეთესოა, თუ ის ცივი გაწურვის შედეგად არის მიღებული. ამასთან, იგი ძალიან ძვირია, რის გამოც კულინარიაში ფართო გამოყენება არა აქვს!**



**„ზეითუნის ზეთი სიბერის პროცესს ანელებს!“**



**„ზეითუნის ზეთი ძალიან კარგია დიაბეტიანებისთვის, რადგან ის ინსულინის გამომმუშავებელ ბეტა უჯრედებს კვებავს!“**

**„სალათს, პომიდორსა და ჯონჯოლს მხოლოდ და მხოლოდ ცივი გაწურვის შედეგად მიღებული ზეითუნის ზეთი უნდა მოვასხათ!“**

## კვირგვინოსნები

**მერაბ ნინიძე**
*მსახიობი*



რა თქმა უნდა, ვენას, სადაც 22 წელი გავატარე, **სრულად ვერ მოვწყდები,** მაგრამ საქართველოშიც ვიქნები, ოღონდ გურიაში, **ჩემს სოფელში — ნაგომარში.** მე და ჩემი ძმა სახლს მივხედავთ, ხელახლა ავაშენებთ, ბოსტანს გავაკეთებ, ეზოს მოვუვლი. **მინდა, სოფელს და ბუნებას დავუბრუნდე.**

„სარკე“

**ნუგზარ ყურაშვილი**
*მსახიობი*



**თურქეთში შარდის ბუშტი გადამინერგეს.** ოპერაცია ექვსსაათნახევარი მიმდინარეობდა. შენივე ნაწლავებისგან აკეთებენ ახალ შარდის ბუშტს და ორგანიზმში გისვამენ. თვეები სჭირდება, სანამ ორგანიზმი ახალ სხეულს შეეგუება. **ერთი წუთითაც არ შემშინებია სიკვდილის, საერთოდ არ ვფიქრობდი სიკვდილზე.** ჩემი ოჯახი უფრო შემეცოდა. მათ აქეთ ვეხუმრებოდი და ვამხნევებდი.

„სარკე“

**დიმიტრი ტატიშვილი**
*მსახიობი*



**ძალიან ბევრ რამეზე მითქვამს უარი,** რადგან ჩემს პრინციპებს არ შეესაბამებოდა. **მატერიალისტი ვარ, მაგრამ ხარბი — არა.**

„თბილისელები“

**ზაზა მარჯანიშვილი**
*მუსიკოსი*



**ხშირად მინდა ტირილი,** მაგრამ ვითმენ, როგორც დიდი ბიჭი. ძალიან მძიმე ჯვარია, მაგრამ **მილიონჯერ რომ დავიბადო თავიდან, მილიონჯერვე მუსიკოსი გავხდები.**

„თბილისელები“

# რა უნდა იცოდეს ქართველმა აფხაზეთის, აფხაზებისა და აფსუების შესახებ?

*დასაწყისი იხ. „ა-დ“, 2024 წლის №29-49*

***დოკუმენტური მასალების საფუძველზე მტკიცდება, რომ 1907 წელს, როცა რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ მეორემ აფსუებს „დამნაშავე ხალხის“ სტატუსი მოუხსნა, ამ პოლიტიკური ნაბიჯის უკანაც პეტერბურგის საიმპერატორო კარის იმპერიული და ვერაგული მიზნები იდგა, რაც ქართველი ერის ისტორიულ ინტერესებთან წინააღმდეგობაში მოდიოდა. საქმე ის გახლავთ, რომ რუსეთის იმპერია აფსუების გულის მოგებითა და შემოხუნებით მათ სეპარატისტულ მიდრეკილებებს აძლიერებდა და ქართველებსა და აფსუებს შორის არსებულ უფსკრულს კიდევ უფრო აღრმავებდა.***



ამ ბინძურ და დაუნდობელ ბრძოლაში განსაკუთრებით აქტიურობდა რუსული ეკლესია და ეგზარქატი, რომლებიც ავტოკეფალიაწართმეულ და მეფობადაკარგულ საქართველოს მართავდნენ. ასე, მაგალითად, 1902 წელს საქართველოს ეგზარქოსი 1901-1905 წლებში **ალექსი ალექსის ძე ოპოცკი** (1837-1914 წ.წ.) კავკასიის მთავარმართებელს, ინფანტერიის გენერალს, თავად **გრიგოლ სერგეის ძე გოლიცინსა** (1838-1907 წ.წ.) და წმინდა სინოდს საიდუმლოდ მოახსენებდა — **„სოხუმის ეპარქია, რომლის უმრავლესობასაც აფხაზი და რუსი მოსახლეობა წარმოადგენს, სასურველია, მოვწყვიტოთ ქართულ გავლენას. ამ მიზნის მისაღწევად ძალიან ხელსაყრელი იქნება, თუ სოხუმის ეპარქიას ყუბანის ეპარქიას მივუერთებთ. ყუბანის მხარეში 1 716 245 კაცი ცხოვრობს, რომელიც სუფთა რუსული მართლმადიდებელი მოსახლეობაა. ამ მასაში ძალიან ადვილად აითქვიფება შავიზღვისპირეთის 100-ათასიანი, მრავალ ენაზე მოლაპარაკე მოსახლეობა!“**

ის, რაც აფხაზეთის გასარუსებლად და აფსუების ქართველების წინააღმდეგ გასაქეზებლად იმპერიის სინოდსა და საქართველოს მმართველ ეგზარქატში ხდებოდა, საბჭოთა ეპოქაში კიდევ უფრო მახინჯი და ბინძური ფორმებით გაგრძელდა. ამ მხრივ განსაკუთრებით 1979 წელს სოხუმში გამართული ერთი შეხვედრა გამოირჩევა, სადაც სიტყვით გამოვიდა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **სერგეი პავლეს ძე ტრაპეზნიკოვი** (1912-1984 წ.წ.) და განაცხადა — **„ლავრენტი ბერია რომ არ დაეხვრიტათ, აფხაზებს გაასახლებდნენ და მათ მიწაზე ქართველებს დაასახლებდნენ!“**

ცნობილია, რომ

**შოვინისტი და ქართველთმოძულე ტრაპეზნიკოვი ფიზიკურად ძალიან ჰგავდა ნიკიტა ხრუშჩოვს, რომელმაც ერთხელ ვასილ მჟავანაძეს კრემლიდან დაურეკა და დაემუქრა – „თუ ქართველები არ დაწყნარდებით, გაგასახლებთ... ჩვენ თქვენ აფხაზებს მოგიქსევთ!“**

როგორც ვხედავთ, **სერგეი პავლეს ძე ტრაპეზნიკოვი და ნიკიტა სერგეის ძე ხრუშჩოვი** არამარტო ტყუპებივით ჰგავდნენ ერთმანეთს, არამედ საქართველოსთან მიმართებაში მათი ბნელი და ბოროტი აზრებიც იდენტური იყო.

სოხუმში **სერგეი ტრაპეზნიკოვის** ამ სკანდალურ განცხადებას წინ უსწრებდა აფსუა ისტორიკოსისა და ეთნოგრაფის, პროფესორ **შალვა ინალ-იფას** ყოველგვარ მეცნიერულ საფუძველს მოკლებული პროვოკაციული წიგნის გამოსვლა 1976 წელს, რომელსაც ასე ჰქვია — „Вопросы этно-культурной истории абазов“. **შალვა ინალ-იფამ** ამ წიგნშიც და სხვა წიგნებშიც კოლხები, რომლებიც, ფაქტობრივად, ევროპის ისტორიას იწყებენ, აფსუებად გამოაცხადა და მათ ლაზებიც მიაყოლა. უფრო მეტიც, ინალ-იფამ ასეთი რამის დაწერაც კი იკადრა — **„აფხაზეთი იმდენად მჭიდროდ იყო დასახლებული აფხაზებით, რომ აფხაზური თქმულების მიხედვით, კატას სახლების სახურავზე სირბილით, მიწაზე ფეხის დაუდგმელად შეეძლო ზღვის სანაპიროდან კავკასიონის ქედის მწვერვალამდე მისვლა!“**

აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ იმავე **შალვა ინალ-იფასა** და სხვა აფსუა ვაი-მეცნიერების მტკიცებით, რასაც რუსი ქართველთმოძულე, პროფესორი **იური ვორონოვიც** „ამტკიცებდა“, თურმე, **„აფსუებს 2500 წლის სახელმწიფოებრიობის ისტორია აქვთ“!** ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ე.წ. პროფესორის **სტანისლავ ლაკობას** „აღმოჩენა“ იმის თაობაზე, რომ **„კაცობრიობის მომავალი ენა იქნება აფხაზური, რომელიც ჩინურ და ტიბეტურ ენებთან ახლოს დგას“,** სხვა არაფერია, თუ არა მორიგი ბოდვა, რომელიც სეპარატისტთა გაუნათლებელ, მაგრამ კბილებდალესილ ბრბოში კარგად იყიდება.

როგორც ცნობილი ქართველი ეთნოგრაფი და ისტორიკოსი, ნაადრევად და ტრაგიკულად გარდაცვლილი **ვახტანგ ითონიშვილი** იგონებს, პროფესორი **შალვა ინალ-იფა** აკადემიკოს **გიორგი ჩიტაიას** ასპირანტი იყო და თბილისში სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში დიდი გაჭირვებით ცხოვრობდა. **ასპირანტ ინალ-იფას** ქართველი ამხანაგები ეხმარებოდნენ და ლუკმაპურს უყოფდნენ, ხოლო, როცა საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა, აკადემიკოს **გიორგი ჩიტაიას** მეუღლემ, პროფესორმა **ვერა ბარდაველიძემ** ერთ-ერთ თანამშრომელს ფული მისცა და დაავალა — ამით შალვას დისერტაციის აღსანიშნავად ბანკეტი გამართეთო!

თბილისში დაიცვა დისერტაცია სულაძაღლებულმა **ვლადისლავ არძინბამაც.** მისი სადისერტაციო თემა იყო **„ძველი ანატოლიის მითები და ლეგენდები“...** არძინბასაც თან გადავყევით, მაგრამ ყველა შემოგვიტრიალდა და პატივისცემის ნაცვლად ზურგში ხანჯალი ჩაგვცა.

1917 წლის თებერვლის რევოლუცია სულ ახალი მომხდარი იყო, როცა 6 მარტს ვლადიკავკაზში მთიელთა დროებითი ცენტრალური კომიტეტი შეიქმნა, რომელსაც აფსუების წარმომადგენელი **ალექსანდრე შარვაშიძეც** ესწრებოდა. იმავე წლის მაისში **„მთიელთა გაერთიანებული კავშირი“** ჩამოყალიბდა, რომელშიც აფხაზეთის შეჩურთვა საქართველოს დაუძინებელი მტრების ოცნება იყო.

1917 წლის 8 ნოემბერს სოხუმში გამართულ ყრილობაზე შეიქმნა **აფხაზეთის სახალხო საბჭო,** რომელიც ურთულეს პოლიტიკურ თამაშებში ჩათრეული აღმოჩნდა. ეს ე.წ. „საბჭო“ ხან **„აფხაზი ერის თვითგამორკვევის უფლებისთვის“** იბრძოდა, ხან **„დამოუკიდებელი ქვეყნის კონსტიტუციის მისაღებად“** ილვწოდა, მაგრამ 1918 წლის 9 თებერვალს **აფხაზეთის სახალხო საბჭოსა** და **საქართველოს ეროვნულ საბჭოს** შორის თბილისში მოხდა უმნიშვნელოვანესი შეთანხმება, რომლის ძალითაც აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიის უფლებით შემოვიდა.

ეს ძალიან მნიშვნელოვანი შეთანხმება იყო, რომელსაც აფსუა ისტორიკოსები და მჩხიბავები გვერდს ან შეგნებულად უვლიან, ანდა უკუღმართად აფასებენ. ყველაზე უფრო საინტერესო ის გახლავთ, რომ ამ შეთანხმების დროს **აფხაზთა სახალხო საბჭოს** ხელმძღვანელი იყო აფსუათა სეპარატიზმის ერთ-ერთი იდეოლოგი **სიმონ ბასარია,** რომელიც ადრე არაერთგზის ვახსენეთ.

გააფსუებული ისტორიკოსის **გიორგი ძიძარიას** შეფასებით, **აფხაზეთის სახალხო საბჭომ „თავისი უმწეო არსებობის უფლება მხოლოდ ქართველი მენშევიკების მხარდაჭერით მოიპოვა და ის მოჩვენებითი ხელისუფლება იყო“!** ხოლო აფსუა სეპარატისტთა ერთ-ერთი ლიდერი, ე.წ. პროფესორი **სტანისლავ ლაკობა** მიიჩნევს, რომ **აფხაზეთის სახალხო საბჭო** „აფხაზეთის ლეგიტიმურ ხელისუფლებას“ წარმოადგენდა!

ასეა თუ ისე, 1918 წლის 9 თებერვლის შეთანხმება ქართულ-აფსუურ ურთიერთობაში მნიშვნელოვანი ეტაპი იყო. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ამ შეთანხმებით, **„აფხაზეთის ტერიტორიული მთლიანობა უნდა აღდგენილიყო“.** უპირველეს ყოვლისა, ეს ეხებოდა გაგრის ზონის დაბრუნებას აფხაზეთის შემადგენლობაში, რომელიც 1904 წელს რუსმა იმპერიალისტებმა საქართველოს მოჰგლიჯეს და შავი ზღვის გუბერნიას, კერძოდ, სოჭის ოლქს მიაკუთვნეს. **აკაკი ჩხენკელი** აფსუებს არწმუნებდა, რომ **„აფხაზეთის ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად“** აუცილებელი იყო **მთიელთა რესპუბლიკიდან** გამოსვლა, რასაც აფსუები დათანხმდნენ...

1918 წლის გაზაფხულზე ამიერკავკასიაში ოტომანურმა თურქეთმა აგრესიული შტურმი რომ წამოიწყო, რუსმა ბოლშევიკებმა საქართველოს რამდენიმე რეგიონში, მათ შორის, აფხაზეთში შეიარაღებული აჯანყებების მოწყობა და ქვეყნის არევა სცადეს. ბოლშევიკებმა აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება პირველად 1918 წლის 16-21 თებერვალს მოსინჯეს, როცა ცნობილმა აფსუა რევოლუციონერმა და პარტიულმა მუშაკმა **ეფრემ ეშბამ** სოხუმში სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი შექმნა. აფხაზეთსა და სოხუმში ვითარებას ისიც ძალიან ართულებდა, რომ რუსეთის იმპერიის შავი ზღვის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ორი ხომალდის — კრეისერ **„დაკიასა“** და ნაღმოსან **„შეუპოვარის“** ბოლშევიკი მატროსები ქალაქს პირდაპირ აწიოკებდნენ და სოხუმში საშინელებებს სჩადიოდნენ. სწორედ ამ ფაქტმა და მაშინდელ სოხუმში ბოლშევიკ მატროსებსა და ადგილობრივებს შორის მომხდარმა არაერთმა შეტაკებამ და მათ შორის მკვლელობამ, სახელოვან ქართველ მწერალს **ლეო ქიაჩელს** შთააგონა, დაეწერა უკვდავი ნოველა — **„ჰაკი აძბა“,** რომელიც თავადიშვილის — **უჯუშ ემხასა** და თავისი ძიძიშვილის — აფსუა ჰაკი აძბას საარაკო ძმობას, მეგობრობასა და თავდადებას ინახავს.

ეს ტრაგედია სოხუმში მართლაც მოხდა... 1918 წლის 15 თებერვალს სოხუმის პორტში მტკნარი წყლისა და სურსათის მარაგის შესავსებად შემოსული გემ „დაკიას“ მატროსებმა, რომლებიც ქალაქში დაძრწოდნენ, ადგილობრივი მილიციის რაზ-

## *პროფესორი სერგეი ტრაპეზნიკოვი:*

## ლავრენტი ბერია რომ არ დაეხვრიტათ, აფხაზებს გაასახლებდნენ და მათ მიწაზე ქართველებს დაასახლებდნენ!



## *ეგზარქოსი ალექსი ალექსის ძე ოპოცკი:*

## სოხუმის ეპარქია, რომლის უმრავლესობასაც აფხაზი და რუსი მოსახლეობა წარმოადგენს, სასურველია, მოვწყვიტოთ ქართულ გავლენას!



**თბილისში დაიცვა დისერტაცია სულაძაღლებულმა ვლადისლავ არძინბამაც. მისი სადისერტაციო თემა იყო „ძველი ანატოლიის მითები და ლეგენდები“... არძინბასაც თან გადავყევით, მაგრამ ყველა შემოგვიტრიალდა და პატივისცემის ნაცვლად ზურგში ხანჯალი ჩაგვცა!**

მის მეთაურს, ქართველ პორუჩიკს **ნიკოლოზ ემუხვარს** სამხრეების საკუთარი ხელით მოხსნა უბრძანეს, მან კი ეს დამამცირებელი ბრძანება არ შეასრულა. მაშინ რუსი ბოლშევიკი მატროსები შეეცადნენ, თავად გაეკეთებინათ ეს, რაც იმით დასრულდა, რომ **ნიკოლოზ ემუხვარმა** ერთი მატროსი რევოლვერით იქვე გააგორა, ხოლო მეორე დაჭრა და მიიმალა. სწორედ **ნიკოლოზ ემუხვარის** ძიძიშვილი იყო აფსუა **სმელ ბადია...** საბოლოოდ ყველაფერი იმით დასრულდა, რომ რუსმა ბოლშევიკებმა **ნიკოლოზ ემუხვარი და სმელ ბადია** შეიპყრეს და დახვრიტეს.

კომუნისტური რეჟიმის შიშით **ლეო ქიაჩელმა** „დაკიას“ „შმიდტი“ დაარქვა, ნიკოლოზ ემუხვარს — **უჯუშ ემხა,** ხოლო სმელ ბადიას — **ჰაკი აძბა** და ასე შეიქმნა უკვდავი ნოველა „ჰაკი აძბა“.

სწორედ **აფხაზთა სახალხო საბჭო** ჩაუდგა სათავეში იმ სახალხო მოძრაობას, რომელმაც ბოლშევიკებს 1918 წლის თებერვალში სოხუმის გაწითლების საშუალება არ მისცა და 1918 წლის 21 თებერვალს **ეფრემ ეშბას** სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი დაემხო. მარცხის მიუხედავად, ბოლშევიკები არ ცხრებოდნენ და აფხაზეთში სისხლიან რევანშს ამზადებდნენ. **1918 წლის 1 მარტს სოჭელმა წითელგვარდიელებმა დაიკავეს ქალაქი გაგრა, ხოლო 8 აპრილს რუსები სოხუმში შევიდნენ და მთელი ძალაუფლება ე.წ. რევკომის ხელში გადავიდა.** რუსმა ბოლშევიკებმა **აფხაზთა სახალხო საბჭო** გარეკეს, მათი წევრების უმეტესობა დააპატიმრეს და რეგიონში საშინელი დიქტატურა დაამყარეს. ბოლშევიკებმა მთელი სოხუმის ოლქზე დაამყარეს კონტროლი კოდორის ხეობისა და ოჩამჩირის რაიონის გარდა.

შექმნილ უმძიმეს სიტუაციაში **აფხაზთა სახალხო საბჭოს** ცალკეული წევრების თხოვნით, 1918 წლის 10 მაისს აფხაზეთში იმავე წლის 22 აპრილს შექმნილი ამიერკავკასიის ფედერაციული, დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარი შევიდა **ვალიკო ჯუღელის** სარდლობით, რომელიც სოხუმელი იყო. 1918 წლის 17 მაისს **ვალიკო ჯუღელმა** სოხუმი რუსი ბოლშევიკებისგან გაათავისუფლა, რისთვისაც მას 23 მაისს სოხუმის საქალაქო თვითმმართველობამ მადლობა გადაუხადა. **ვალიკო ჯუღელმა** აფხაზეთი რუსი ბოლშევიკებისგან გაგრამდე გაწმინდა და **აფხაზთა სახალხო საბჭოს** მუშაობა აღადგინა. სოხუმისთვის გამართულ ბრძოლებში **ვალიკო ჯუღელის** გვერდით იბრძოდა აფსუათა 300-კაციანი რაზმი მაშინ, როცა წითელგვარდიელ ბოლშევიკთა შორის ბევრი ქართველი იყო!

1918 წლის 8 ივნისს მოხდა მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტი — ამ დღეს **აფხაზეთის სახალხო საბჭოსა** და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის გაფორმდა ხელშეკრულება საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთისთვის ფართო ავტონომიის მინიჭებისა და სამხედრო დახმარების შესახებ. სწორედ ამ შეთანხმების საფუძველზე აფხაზეთში დისლოცირებულმა ქართულმა სამხედრო შენაერთებმა გენერალ **გიორგი მაზნიაშვილის** ხელმძღვანელობით დისლოკაციის ადგილი შეიცვალა და 1918 წლის 17-22 ივნისს ტუაფსედან სოჭამდე მთელი შავიზღვისპირა ზოლი ჩაკეტა. ეს იყო, ფაქტობრივად, ბუფერული ზონა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და **დენიკინ-ალექსეევის მოხალისეთა არმიას** შორის, რომელიც ყუბანისპირეთსა და ჩრდილოეთ კავკასიაში დათარეშობდა და საქართველოს წალეკვით ემუქრებოდა.

ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ 1918 წლის 17-22 ივნისს აფხაზეთში დისლოცირებული ქართული ჯარის ჩრდილოეთისკენ გადაადგილება **აფხაზთა სახალხო საბჭოსთან** შეთანხმებული იყო, მაგრამ ჰოი, საკვირველებავ, აფსუებმა და, განსაკუთრებით, **აფხაზთა სახალხო საბჭომ** 12-13 სექტემბერს თხოვნით მიმართეს ყუბანის კაზაკთა ფორმირების მეთაურს, **გენერალ მიხაილ ალექსეევს,** რათა **„აფხაზეთი საქართველოს სამხედრო ჩარევისგან დაეცვა!“** საქართველოს ხელისუფლებამ **აფხაზთა სახალხო საბჭო** დაშალა, მისი მოღალატე წევრები დააპატიმრა და სოხუმის ოლქის განსაკუთრებულ კომისრად **ბენია ჩხიკვიშვილი** დანიშნა.

**ანტონ დენიკინისა და მიხაილ ალექსეევის თეთრგვარდიული რეჟიმი აფხაზეთში დროებით განცდილ მარცხს არ ეგუებოდა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ მორიგ ინტერვენციას ამზადებდა!**

***დიტო ჩუბინიძე***



# 87 წლის წინათ ევგენი მიქელაძე დახვრიტეს, ხოლო მის ბინაში მისივე სპექტაკლების პრიმამომღერალი შესახლდა!

***სოლოლაკში, გერონტი ქიქოძის №11-ში, სადარბაზოს კართან განთავსებული მემორიალური დაფები გვამცნობენ, რომ ამ სახლში 1936-1984 წლებში ცხოვრობდა ოპერის სოლისტი ეკატერინე სოხაძე, ხოლო 1932-1937 წლებში — ცნობილი დირიჟორი ევგენი მიქელაძე. ეს პიროვნებები თბილისის ოპერის თეატრში ერთად კი მოღვაწეობდნენ და ევგენი მიქელაძის დირიჟორობით ეკატერინე სოხაძეს არაერთ სპექტაკლში აქვს ნამღერი, თუმცა, ამ სახლში მათ ერთდროულად არასოდეს უცხოვრიათ. მომღერალი ქალბატონი აქ ცხოვრობდა არა 1936, არამედ 1937 წლიდან, ევგენი მიქელაძის დაპატიმრების შემდეგ — მიქელაძისვე ოჯახის ბინაში.***

**1937 წლის 4 ნოემბერს** თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში **ოპერა „ლატავრას“** გენერალური რეპეტიციის დასრულებისა და დასთან თათბირის შემდეგ **ევგენი მიქელაძე** დააპატიმრეს. ორი დღის შემდეგ ოპერის თეატრის ხელმძღვანელობიდან თბილისის საქალაქო საბჭოში წერილი მიიტანეს: **მომღერალ ეკატერინე სოხაძეს საცხოვრებელი პირობები გაუუმჯობესეთ და ხალხის მტრის ევგენი მიქელაძის ბინა გადაეცით.** 11 ნოემბრიდან **ეკატერინე სოხაძე** უკვე **ევგენი მიქელაძის** სახლის ბინადარი გახდა, კაპიკებში შეიძინა მიქელაძის ოჯახის ავეჯი და ნივთები.









ქეთევან ორახელაშვილი და ევგენი მიქელაძე

დაპატიმრებულ და გადასახლებულ იქნა ოჯახის დიასახლისიც, **ევგენი მიქელაძის მეუღლე ქეთევან ორახელაშვილი,** რომელსაც ბრალად დასდეს სამშობლოს მოღალატის მეუღლეობა. 1938 წლის 7 იანვრის დადგენილებით, მას 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა და ყაზახეთში გადაასახლეს. თავიანთი საცხოვრებელი ბინიდან გაგდებულ ორ ბავშვზე — **ევგენი მიქელაძისა და ქეთევან ორახელაშვილის შვილებზე** — მზრუნველობა იტვირთა **ევგენი მიქელაძის დამ — თამარ მიქელაძემ.** ცნობილი ფაქტია, რომ **ეკატერინე სოხაძე** თამამად იცვამდა **ქეთევან ორახელაშვილის** კაბებს. ეს არაერთხელ ჰქონდა აღნიშნული დირიჟორის ქალიშვილს — **თინათინ მიქელაძეს,** რომელიც მამის დახვრეტისა და დედის გადასახლების დროს 3 წლის იყო: ***„როცა ჩვენები დაიჭირეს, რაც გვქონდა, კაბები, ჭურჭელი იმ ოჯახში დატოვეს, რომელმაც ხუთ დღეში მიიღო ის ბინა. იქ მომღერალი ეკატერინე სოხაძე შესახლდა, რომელიც დედაჩემის კაბებს იცვამდა. დედის კაბებს ხომ ვცნობდი, გავეკიდებოდი ხოლმე ამ ქალს, მაგრამ მისი სახით ჩემთვის უცხო ადამიანს ვეჯახებოდი“.***

**ზუსტად 87 წლის წინათ, სწორედ ამ პერიოდში, 5 ნოემბრიდან 13 დეკემბრამდე,** შინსახკომის სატუსაღოში გრძელდებოდა **ევგენი მიქელაძის** წამება. 3 დეკემბერს შეადგინეს საბრალდებო დასკვნა, ბრალად დასდეს კონტრრევოლუციური ჯაშუშური ორგანიზაციის წევრობა. **ევგენი მიქელაძემ ბოლო დაკითხვაზე განაცხადა, საქციელს ვნანობ და სასჯელი შემიმსუბუქეთო. მაგრამ მას დახვრეტა მიუსაჯეს. განაჩენი სისრულეში მოყვანილ იქნა 1937 წლის 22 დეკემბერს. ის ამ დროს 34 წლის იყო.**

**ეკატერინე სოხაძე** 30 წლის იყო, როდესაც **ევგენი მიქელაძის სახლში** დაიწყო ცხოვრება. ამ დროისათვის მას **ევგენი მიქელაძის დირიჟორობით უკვე შესრულებული ჰქონდა რამდენიმე წამყვანი პარტია,** სსრ კავშირში ცნობილი მომღერალი იყო, ბრწყინვალედ ასრულებდა დეზდემონას პარტიას ოპერიდან „ოტელო“. ერთ-ერთი ფოტო, რომელიც **ეკატერინე სოხაძემ** 1936 წელს „ოტელოს“ წარმოდგენის შემდეგ ევგენი მიქელაძესთან და დასთან ერთად გადაიღო, დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში, **პაპუნა წერეთლის პირად ფონდში.** ფოტოში **ეკატერინე სოხაძე** ბედნიერი სახით მიყრდნობილია დიდ მაესტროს. ფოტოზე ასახულნი არიან ნიჭიერი და ლამაზი ადამიანები, რომელთა მომავალი ბედი და ყოფნა-არყოფნა საბედისწერო თარიღმა — 1937 წელმა გადაწყვიტა.

ეკატერინე სოხაძის წარმატებული კარიერა, რომელიც 1930-1936 წლებში ორჯერ იყო მიწვეული მოსკოვში დიდი თეატრის სოლისტად, 1936 წელს მინიჭებული ჰქონდა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წოდება, ხოლო 1937 წელს დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ოდენით, მალე ჩაიფერფლა — **მომღერალმა ხმა დაკარგა და ავად გახდა, თუმცა, 1953 წლამდე ირიცხებოდა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში. გარდაიცვალა 77 წლის ასაკში 1984 წელს.**

გერონტი ქიქოძის №11-ში **ევგენი მიქელაძისა და ეკატერინე სოხაძის** მეზობლად ცხოვრობდა საქართველოს რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარე **ფილიპე მახარაძე** და საქართველოსა და სომხეთის სახალხო პოეტი **აკოპ აკოპიანი.** მოგვიანებით აქ ცხოვრობდა ცნობილი კინორეჟისორი **ომარ გვასალია.** ფილიპე მახარაძისა და ეკატერინე სოხაძის შთამომავლები დღესაც ამ სახლში ცხოვრობენ.

***ქეთევან ხამიცაშვილი***



**პირველ რიგში — მარცხნიდან მეორე: ევგენი მიქელაძე, ეკატერინე სოხაძე** *(დეზდემონა)*, **მიხეილ კვალიაშვილი** და ოპერის თეატრის მომღერლები **„ოტელოს“** წარმოდგენის შემდეგ. 1936

# პრეზიდენტის პრეცედენტი

***საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობის ოფიციალურად დაკავების შემდეგ მიხეილ ყაველაშვილი გახდება მსოფლიოში მეორე ყოფილი პროფესიონალი ფეხბურთელი, რომელიც თავისი ქვეყნის პირველ პირად აირჩიეს.***

ყოფილი პროფესიონალი ფეხბურთელის ქვეყნის პირველ პირად არჩევის პირველი პრეცედენტი მსოფლიომ 2017 წლის 26 დეკემბერს იხილა, როცა დასავლეთ აფრიკის პატარა სახელმწიფოს — **ლიბერიის პრეზიდენტი ჯორჯ ტაულონ მანე ოპონგ უსმან ვეა** გახდა. მას შთამბეჭდავი საფეხბურთო კარიერა ჰქონდა და 1995 წელს მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშის ჯილდოს — ოქროს ბურთსაც დაეუფლა.

**ჯორჯ ვეამ** პროფესიონალური საფეხბურთო კარიერა 1985 წელს სამშობლოში — ლიბერიის პრემიერლიგის კლუბ **„მაითი ბაროლში“** დაიწყო, ხოლო 1988 წლიდან ლიბერიის ეროვნული ნაკრების წევრი გახდა და მის ღირსებას 2003 წლამდე იცავდა. იგი 1988 წლიდან 2001 წლის ჩათვლით ევროპის ცნობილ საფეხბურთო კლუბებში — **„მონაკოში“, „პარი სენ-ჟერმენში“, „მილანში“, „ჩელსიში“, „მანჩესტერ სიტისა“ და „მარსელში“** თამაშობდა.

მიაქციეთ ყურადღება, რომ ლიბერიის ყოფილი პრეზიდენტი **ჯორჯ ვეა,** საქართველოს მომავალი პრეზიდენტის **მიხეილ ყაველაშვილის** მსგავსად, ინგლისის პრემიერლიგის კლუბ „მანჩესტერ სიტის“ ფეხბურთელი იყო, თუმცა, ქართველი ინგლისურ გრანდში ლიბერიელზე უფრო ადრე და მასზე დიდხანს თამაშობდა. კერძოდ, **ყაველაშვილი** „მანჩესტერ სიტის“ ღირსებას 1995-1997 წლებში იცავდა, 28 მატჩი ჩაატარა და 3 გოლი გაიტანა, ხოლო **ვეა** იმავე კლუბში 2000 წელს გამოდიოდა, 7-ჯერ ითამაშა და 1 გოლი მიითვალა.

მოკლედ, მსოფლიოში დღეისათვის არსებული ორივე პრეცედენტი, როცა ყოფილი პროფესიონალი ფეხბურთელი საკუთარი ქვეყნის პრეზიდენტად აირჩიეს, **„მანჩესტერ სიტის“** უკავშირდება!

აღსანიშნავია, რომ **ჯორჯ ვეამ** ლიბერიის რესპუბლიკის პრეზიდენტის პოსტი მეორე ცდაზე დაიკავა. მან კენჭი პირველად 2005 წელს, 39 წლის ასაკში იყარა და საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში ქალ კანდიდატთან — 67 წლის **ელენ ჯონსონ-სერლიფთან** დამარცხდა, ხოლო 2017 წლის 26 დეკემბერს, ასევე მეორე ტურში, მოწინააღმდეგე **ჯოზეფ ბოკაი** დაამარცხა და ლიბერიის 25-ე პრეზიდენტი გახდა. **ჯორჯ ვეას** საპრეზიდენტო უფლებამოსილება 2024 წლის 22 იანვარს ამოეწურა, დღეს კი ლიბერიის რესპუბლიკის პრეზიდენტი მისი ყოფილი მეტოქე **ჯოზეფ ბოკაი** გახლავთ.

დასავლეთ აფრიკის ქვეყანა **ლიბერია,** რომელსაც 2024 წლის დასაწყისამდე პრეზიდენტად **„მანჩესტერ სიტის“** ყოფილი ფეხბურთელი **ჯორჯ ვეა** ჰყავდა, ტერიტორიით — გვარიანად აღემატება, მოსახლეობის რაოდენობით კი ოდნავ უსწრებს საქართველოს, რომელსაც 2024 წლის მიწურულიდან პრეზიდენტად **„მანჩესტერ სიტის“** ყოფილი ფეხბურთელი **მიხეილ ყაველაშვილი** ეყოლება. კერძოდ, ლიბერიის ფართობი 111 370 კვადრატული კილომეტრია, ხოლო საქართველოსი — 69 700 კვადრატული კილომეტრი; 2024 წლის მონაცემებით, ლიბერიაში 5 437 249 ადამიანი ცხოვრობს, საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა კი, 2020 წლის მონაცემებით, 3 716 900 ადამიანს შეადგენს.

რაც შეეხება მმართველობის ფორმას, **ლიბერია საპრეზიდენტო რესპუბლიკაა, სადაც პრეზიდენტს პირდაპირი არჩევნების გზით ირჩევენ, საქართველოში კი, როგორც საპარლამენტო რესპუბლიკაში, პრეზიდენტი არაპირდაპირი გზით, ე.წ. ხმოსნებისაგან შემდგარი საარჩევნო კოლეგიის მიერ აირჩევა.**

ასე და ამრიგად, 2024 წლის 14 დეკემბრიდან საქართველო ლიბერიის რესპუბლიკის შემდეგ მსოფლიოში მეორე ქვეყანა გახდება, რომელსაც პრეზიდენტად ყოფილი პროფესიონალი ფეხბურთელი ეყოლება!

შესაბამისად, **ქართველი მიხეილ ყაველაშვილი ლიბერიელი ჯორჯ ვეას** შემდეგ მეორე ყოფილი პროფესიონალი ფეხბურთელი იქნება, რომელიც თავის ქვეყანას უპრეზიდენტებს!



ჯორჯ ვეა „მანჩესტერ სიტის“ მაისურით

**მიხეილ ყაველაშვილი არის მსოფლიოში მეორე პროფესიონალი ფეხბურთელი, რომელიც თავისი ქვეყნის პრეზიდენტი გახდება!**



მიხეილ ყაველაშვილი „მანჩესტერ სიტის“ მაისურით

**ლიბერიის ყოფილი პრეზიდენტი ჯორჯ ვეა, საქართველოს მომავალი პრეზიდენტის მიხეილ ყაველაშვილის მსგავსად, ინგლისის პრემიერლიგის კლუბ „მანჩესტერ სიტის“ ფეხბურთელი იყო!**

**ჯორჯ ვეა მიხეილ ყაველაშვილზე წარმატებული და ტიტულოვანი ფეხბურთელი იყო, მაგრამ იმედი გვაქვს, მიხეილ ყაველაშვილი ჯორჯ ვეაზე წარმატებული და ღირსეული პრეზიდენტი იქნება!**

### ბოლოთქმა

თურქეთის რესპუბლიკის დღევანდელი პრეზიდენტი **რეჯეფ თაიფ ერდოღანიც** ფეხბურთელი იყო, თუმცა, მისი კარიერა, მშობლების წინააღმდეგობის გამო, პროფესიონალურ დონეზე ვერ განვითარდა. ერდოღანი 15 წლის ასაკში სტამბოლის გუნდ **„ქასიმფაშას“** სამოყვარულო ფარმ-კლუბში თამაშობდა, 27 წლის ასაკში კი ასევე სამოყვარულო კლუბებში — **„ქამიალტსა“** და **„იეტტ სპორში“** ბურთაობდა, სადაც 5 ტიტული მოიგო. თურქეთის პრეზიდენტი ფეხბურთისადმი განსაკუთრებულ სიყვარულს დღესაც არ მალავს და ზოგჯერ მწვანე მინდორზე ბურთსაც აგორებს, თუმცა, **ჯორჯ ვეასა** და **მიხეილ ყაველაშვილის** კატეგორიაში ვერ გადის, რადგან პროფესიონალი ფეხბურთელი არასოდეს ყოფილა!

***ჯაბა ხუბუა***





რეჯეფ თაიფ ერდოღანი ახალგაზრდობაში და დღეს

# ნინა მჟავანაძე:

# დაე, საქართველოს ყველა მომავალ ხელმძღვანელს ისევე უყვარდეს საქართველო, როგორც მამაჩემს უყვარდა!



***14 დეკემბერს დანიშნულია საქართველოს პრეზიდენტის არჩევნები. მმართველ პარტიას მიხეილ ყაველაშვილის კანდიდატურა აქვს შერჩეული, რომელსაც ახასიათებენ, როგორც პატრიოტ და ერთგულ პიროვნებას, თუმცა, მოწინააღმდეგენი ქილიკობენ, დიპლომი არა აქვსო. ზოგადად, რა თვისებები უნდა ამკობდეს ქვეყნის პირველ პირს? — ამ კითხვით მივმართეთ ლეგენდარული ვასილ მჟავანაძის ქალიშვილს ნინა მჟავანაძეს:***

— საქართველოს ხელმძღვანელს, უპირველეს ყოვლისა, გულწრფელად უნდა უყვარდეს თავისი ქვეყანა. მე არ ვიცი, ვის რა დიპლომი აქვს, მაგრამ რამდენი დიპლომიანი პრეზიდენტი გვყოლია და ცუდად წაუყვანიათ საქმე. დიპლომიანი და გაუნათლებელიც ბევრი მინახავს... ზოგადად, ვინც ქვეყნის სათავეში ზის ან სამომავლოდ ქვეყნის სამართავად ემზადება, მამაჩემის დღიურიდან ერთ რჩევას გავუზიარებ: **„იყავი მარად შენი ხალხის გვერდით, არც მდაბალი და არც — მაღალი, არ არსებობს ბრძოლაში იმაზე მეტი წოდება, ვიდრე რიგითი“.** სულ ამბობდა — იმისათვის, რომ გონივრული და მართებული პოლიტიკა გაატარო, არ არის საკმარისი, იცნობდე ადამიანებს, მთავარია, ისინი გიყვარდესო!

**— მამათქვენს ფანტასტიურად უყვარდა ქართველობა, მაგრამ საქართველოში ერთი ძეგლიც კი არ აღირსეს...**

— მამაჩემის ქანდაკება ქუთაისში დგას აწ გარდაცვლილი აკაკი კიკვაძის სახელოსნოში. თაბაშირშია ჩამოსხმული და ოდესმე დაიდგმება თუ არა, ვერ გეტყვით. ხალხს ისიც უნდოდა, რომ დედაქალაქის ერთ-ერთი ქუჩა ყოფილიყო ვასილ მჟავანაძის სახელობის, მაგრამ რამდენჯერაც დააყენეს ეს საკითხი, იმდენჯერვე უარი თქვეს. არა უშავს, მამა ამბობდა: **ამ ცხოვრებიდან წასვლით არაფერს ვკარგავთ, თუ ჩვენს ხსოვნას გულში ინახავენო.**

**— სრულიად ქართველ ერზე რომ აღარაფერი ვთქვათ, მამათქვენის კეთილ საქმეთა მემატიანედ მარტო მცხეთის სალობიეს ხელმძღვანელი და ვასილ მჟავანაძის უდიდესი დამფასებელი დიმიტრი ალავიძეც იკმარებს...**

— მართლაც უზომოდ მადლობელი ვარ მცხეთის სალობიეს ხელმძღვანელის **დიმიტრი ალავიძის,** ის ერთადერთია, რომელსაც ახსოვს მამას ხელშეწყობა და ინიციატივა ამ ობიექტის შექმნაში. ისიც ვიცი, რომ სამუშაო ოთახში მამაჩემის პორტრეტი უკიდია. ბატონმა დიმიტრიმ ეს ობიექტი განავითარა, 58 წელი იშრომა, მოუარა და დღემდე მოიყვანა. ჩემთვის ისიც ცნობილია, რომ მას შენახული აქვს ის 25-მანეთიანიც, რომელიც მამამ გადაიხადა, როგორც ამ საჰაშნიკეს პირველმა სტუმარმა. მახსოვს, ლიკანში მივდიოდით და გზად ამ სალობიეში შევიარეთ, ალბათ, 10 ადამიანი მაინც ვიყავით. შესანიშნავი დრო იყო და ხშირად მახსენდება ეს ამბები. მამა იყო ძალიან ხალხური ტიპაჟის კაცი, უყვარდა ადამიანები, საკმარისი იყო, თუნდაც ერთხელ გამოლაპარაკებოდი, რომ არნახული სითბოთი და სიყვარულით აგევსებოდა გული. მშობლის ქება ცოტა არ იყოს, მეუხერხულება, მაგრამ ის ასეთი იყო!

**— ქართლოს კასრაძე ვასილ მჟავანაძეზე ამბობდა, ეს ამაყი გენერალი ტიპური ქართველი გახლდათო...**

— ქართლოს კასრაძე მასზე წერდა: ერთი შეხედვით უკარება ადამიანს ჰგავდა, მაგრამ ეს იყო კეთილშობილი ქართველი, ყველა კანონზე მაღლა საქართველოს აყენებდა და ეს იყო მისთვის უმაღლესი კანონი.

მამა მოსკოვში გარდაიცვალა. თბილისში რომ ჩამოვასვენეთ, პანაშვიდზე უამრავი ხალხი მოვიდა, უმეტესად უბრალო ადამიანები. სანამ სამარეში ჩაასვენებდნენ, როდესაც ქალები მის ცხედარს გამოვემშვიდობეთ და მამის კუბოსთან მხოლოდ ჩემი ძმა დარჩა, მასთან მოხუცი მუსიკოსები მივიდნენ და სთხოვეს, გამოსათხოვარს დავუკრავთო. დღესაც არ მავიწყდება არც ის მოხუცები, არც ის მელოდია. თურმე, ცნობილი მუსიკოსები, ქსოვრელები ყოფილან. მამა ამბობდა — ისე უნდა იცხოვრო, სასაფლაოს დარაჯსაც რომ ცრემლი წამოუვიდესო. იმ დღეს სასაფლაოს დარაჯიც იქვე იდგა და თვალებიდან მართლაც ცრემლი სდიოდა.

**— გიგა ლორთქიფანიძე ვასილ მჟავანაძეს იხსენებდა, როგორც ყველაზე ჰუმანურ ადამიანს...**

— მარჯანიშვილის თეატრში ერთ-ერთ სპექტაკლზე ბატონ გიგას ეუბნებოდნენ, რეპერტუარიდან მოხსენიო, მოკლედ, არ ადგმევინებდნენ. ბოლოს მამამ ნახა ეს სპექტაკლი, ძალიან მოეწონა და უთხრა — ყველაფერი კარგია, მაგრამ ერთს გთხოვ, ბავშვს ნუ მოკლავო — სპექტაკლი ბავშვის სიკვდილით მთავრდებოდა. მამას ფაქიზი ბუნება ჰქონდა, სპექტაკლშიც კი არ უნდოდა ბავშვის სიკვდილის დაშვება. როდესაც მერაბ კოსტავას ბიძას, ცნობილ მსახიობს **გრიგოლ კოსტავას** საპყრობილიდან გათავისუფლების მერე აკრძალული ჰქონდა დედაქალაქში ცხოვრება და სცენაზე გამოსვლა, ბატონმა გიგამ ის ქუთაისში, ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრში „ტარიელ გოლუაში“ ათამაშა. პრემიერაზე მამაჩემიც იყო მიწვეული. კოსტავა სცენაზე რომ გამოჩნდა, პოლიტბიუროს წევრები გაუნძრევლად ისხდნენ, მაგრამ, როდესაც მამამ ტაში დაუკრა, ბიუროც აჰყვა. ასე მოხდა **გრიგოლ კოსტავას** რეაბილიტაცია. მამამ იზრუნა, რომ რეაბილიტირებული ყოფილიყო 1937 წლის მსხვერპლის **ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილისა და მიხეილ ჯავახიშვილის** სახელები.



**— თავისი ცხოვრების ბოლო პერიოდი ვასილ მჟავანაძემ მოსკოვში გაატარა. საქართველოში ხშირად ჩამოდიოდა?**

— ბოლოს, 1972-1988 წლებში მოსკოვში ცხოვრობდა, დიდ დროს ატარებდა მოსკოვთან ახლოს ჟუკოვკაში, სადაც პენსიაზე გასული თანამდებობის პირები ცხოვრობდნენ. იქ წიწვნარი ტყე იყო, როდესაც მოხუცდა და სასეირნოდ შორს ველარ მიდიოდა, სახლის წინ მერხზე იჯდა. **მასთან ხშირად მიდიოდნენ ციყვები, რომელთაც მამამ კიკი და მიკი შეარქვა, მისი ხელიდან თხილს მიირთმევდნენ. მერე ყვავიც შემოეჩვია** (იღიმება). სიცოცხლის ბოლო წუთამდე უვლიდა ერთ მცენარეს, ელოდა, როდის გამოიტანდა ლამაზ ყვავილს. ეს ყვავილი მართლაც აყვავდა, მაგრამ მაშინ მამა უკვე ცოცხალი აღარ იყო!

სანამ შეეძლო, საქართველოში ჩამოდიოდა ყოველ ზაფხულს, სხვაგან არსად მიდიოდა, საირმეში ისვენებდა. როცა იქაურები გაიგებდნენ, **მჟავანაძე** ჩამოვიდაო, უხაროდათ, მოდიოდნენ, ათას რამეს ეკითხებოდნენ და ერთად სურათებს იღებდნენ. სიცოცხლის ბოლო წუთამდე მამას საქართველოში უნდოდა ცხოვრება, ვაზის გაშენება, ყვავილების ბაღის მოწყობა. მაგრამ, სამწუხაროდ, ყველაფერი გააკეთეს, რომ მას საქართველო დაეტოვებინა. აქაურობა ენატრებოდა, ყოველდღე აინტერესებდა, როგორი ამინდი იყო საქართველოში, თოვდა, მზე იყო თუ წვიმა, საქართველოში უნდოდა სიბერის გატარება. ერთხელ თქვა — ბოლო წლებშიღა ვიგრძენი, რა არის გამარჯვების სიხარული და სიჩუმე, რომელმაც მშვიდობიანი ცხოვრება გამახსენაო.

**დაე, საქართველოს ყველა მომავალ ხელმძღვანელს ისევე უყვარდეს საქართველო, როგორც მამაჩემს უყვარდა!**

*ესაუბრა*
***ქეთევან ხამიცაშვილი***


ლეგენდარული **დიმიტრი ალავიძე**
ლეგენდარული **ვასილ მჟავანაძის**
პირველი სტუმრობიდან **58-ე წელია,**

**მცხეთის სალობიეში გეპატიჟებათ!**





# მიხეილ ცაგარელი:

# დეკემბრის საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგნოზი

*— რატომ არის ესოდენ მნიშვნელოვანი, რომ 7 დეკემბრამდე ამ პოზიტიური პერიოდის ყველა სასიკეთო შანსი გამოვიყენოთ, ყოველი ცვლილება დოკუმენტურად დავაფიქსიროთ, ხელშეკრულებები გავაფორმოთ, საქმიანი და მეგობრული კავშირები გავამყაროთ და მოკლე თუ გრძელვადიანი პერსპექტიული საქმეებიც დავგეგმოთ? როდიდან დაიძაბება სიტუაცია? როდის არის მოსალოდნელი გაუთვალისწინებელი მოვლენები, საერთაშორისო მასშტაბის სიახლეები და ცვლილებები? წვრილმანი უსიამოვნებები თუ სერიოზული პრობლემები და ასევე კატასტროფები და ხანძრები? როდის დაისადგურებს სიმშვიდე? რა და რა თვისებებს გაამახვილებს ადამიანებში ზამთრის მზებუდობის საკრალურ დღეს მზის გადანაცვლება მშვილდოსნიდან თხის რქის ზოდიაქოს ნიშანში? რა უნდა გავითვალისწინოთ და რა მოგვეთხოვება დეკემბრის ბოლოს, 29 რიცხვის შემდეგ? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი გვესაუბრება.*

**— ქრისტეშობისთვე რას გვპირდება, როგორია ასტროლოგიური პროგნოზი?**

— **დეკემბრის დასაწყისი პოზიტიური იქნება.** ამიტომ სასურველია, მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული ამ პერიოდის დადებითი შანსები. **მზე 21 დეკემბრამდე მშვილდოსნის ზოდიაქოში იმოძრავებს, რაც ცვლილებების აქტიურ ძიებასა და პროფესიულ სფეროში განვითარების ახალი გზების მოძიების სურვილს განაპირობებს. 7 დეკემბრამდე** შესაძლებელი იქნება კოლეგებთან, პარტნიორებთან, მოკავშირეებთან, ხელმძღვანელ პირებთან და მაღალჩინოსნებთან ურთიერთობის წარმოუდგენლად დადებითი მიმართულებით შეცვლა. ამიტომ ამ დროს მეტად მნიშვნელოვანი იქნება ყველა ცვლილების დოკუმენტურად დაფიქსირება, ხელშეკრულების გაფორმება. წინააღმდეგ შემთხვევაში, შუა თვეში შესაძლოა, საპირისპირო ნეგატიურ მოვლენებს ჰქონდეს ადგილი. მანამდე კი მეტად მნიშვნელოვანი იქნება საქმიანი კავშირების, მეგობრული ურთიერთობის განვითარება-გამყარება, ახალი კავშირის დამყარება, საკუთარი გრძნობების, მოსაზრებისა და იდეის უფრო ზუსტად ფორმულირება და გამოხატვა. ასევე სასურველია, დაიგეგმოს, როგორც ახალ წლამდე პერიოდის, ისე უფრო ხანგრძლივვადიანი პერსპექტიული საქმეები. ნიშანდობლივია ისიც, რომ **7 დეკემბრამდე გააზრებული და ჩამოყალიბებული ყველა იდეა, გეგმა თუ სტრატეგია ძალზე ეფექტური აღმოჩნდება და მას მარტივად მხარს დაუჭერენ როგორც ახლობლები და პოტენციური პარტნიორები, ისე დამფინანსებლები და ზემდგომნი.**

**— როგორი იქნება ვითარება 7 რიცხვის შემდგომ და თვის მეორე დეკადაში?**

— **8-16 დეკემბრის შუალედში სიტუაცია დაიძაბება.** შესაძლოა, მოულოდნელ და გაუთვალისწინებელ მოვლენებს ჰქონდეს ადგილი, მათ შორის, საერთაშორისო მასშტაბის სიახლეებსა და ცვლილებებს, რაც ნებისმიერი სახის პოზიტიურ იმპულსებს ხელს შეუშლის. ეკონომიკური და სოციალური განვითარება შენელდება. ახალი პრობლემებიც გაჩნდება. კონფლიქტური სიტუაციები ადამიანთა მოტივაციაზე, ჯანმრთელობაზე და მოქმედების შედეგიანობაზე ცუდად აისახება. **შედარებით სიმშვიდეა მოსალოდნელი 18-22 დეკემბრის შუალედში, მაგრამ 23 რიცხვიდან ადამიანების ფსიქოემოციური ფონი უკიდურესად დაიძაბება.** არ იქნება გამორიცხული როგორც წვრილმანი უსიამოვნებები და კამათი, ისე სერიოზული პრობლემები, საგზაო შემთხვევა, საავტომობილო თუ ავიაკატასტროფა, ხანძრები. გარდა ამისა, **28 დეკემბრამდე ადამიანთა ინტუიცია შესუსტდება, ემოციურობა გაიზრდება და მოთმინების უნარიც დაქვეითდება.**

**— რა და რა თვისებებს გაამახვილებს ადამიანებში თვის მესამე დეკადის დასაწყისში მზის გადანაცვლება მშვილდოსნის ნიშნიდან თხის რქის ზოდიაქოს ნიშანში?**

— **მზე, 21 დეკემბერს (13.22), მზებუდობის საკრალურ დღეს, გადაინაცვლებს თხის რქის ზოდიაქოში** და ადამიანებში გააძლიერებს ორგანიზებულობას, დისციპლინას, პრაგმატულობას, მიზანსწრაფულობას, შრომისმოყვარეობას, კარიერული წინსვლისკენ მიდრეკილებას, ნებისყოფას და ასევე სიჯიუტესა და პირდაპირობასაც.

**— როგორი იქნება სიტუაცია წლის ბოლო დღეებში?**

— **29 დეკემბრიდან დედამიწის ბიოსფერო ჰარმონიულ კოსმოსურ ზონაში გადაინაცვლებს.** შედეგად ქმედითუნარიანი შემოქმედებითი ენერგიები მოიმატებს. ამ დროს მეტად მნიშვნელოვანი იქნება ოპტიმიზმის შენარჩუნება, ემოციების კონტროლი და გამოცდილი, გონიერი, ბრძენი ადამიანების მხარდაჭერის მოპოვება, რათა **ახალ 2025 წელს, რომელიც აღმოსავლური ზოდიაქოს კალენდრით ხის სტიქიის გველის წელიწადია (... და რეალურად 3 თებერვალს ახალმთვარეობა შემობრძანდება), შევეგებოთ ჯანმრთელნი, ბედნიერნი და სასიცოცხლო ძალებით აღვსილნი.**

## 2-8 დეკემბრის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
გაიზრდება თქვენი შემოქმედებითი და ინტელექტუალური მონაცემები და მეტად კომუნიკაბელური, თავდაჯერებული და ქმედითუნარიანი გახდებით. ყურადღებით იქნებით მიღებული ინფორმაციის მიმართ და ადვილად გაართმევთ თავს სირთულეებს. გაიზრდება მომხიბვლელობა, მოიმატებს მადა და ვნებიანობა. საყვარელი ადამიანის სურვილების გათვალისწინება მის უკეთ შეცნობაში დაგეხმარებათ. მოგზაურობა ამ დროს განსაკუთრებულად დასამახსოვრებელი იქნება.

**კურო** (21.04-20.05)
საწინააღმდეგო სქესის წარმომადგენლების განსაკუთრებული სიმპათიის წყალობით წარმატება გელით როგორც პირად ცხოვრებაში, ასევე საქმიან ურთიერთობებში. თუ გამოიყენებთ ხელსაყრელ მომენტს და მიაწვდით თქვენს იდეებს საჭირო ხალხს, კარიერაში მნიშვნელოვან ნაბიჯებს გადადგამთ. თუმცა, გაზრდილი შემოსავალი ფინანსების დაგროვების საშუალებას ჯერ ვერ მოგცემთ. მოგზაურობა მიზანთან დაგაახლოვებთ, ხოლო მიღებული გამოცდილება სასიკეთოდ აისახება თქვენს მომავალ საქმიანობაზე.

**ტყუპი** (21.05-22.06)
გაიზრდება თქვენი იღბლიანობა ფინანსურ ოპერაციებთან მიმართებაში. კარგი პერიოდია ახალი ხალხის გასაცნობად, უცხოელებთან ან უცხოეთში მყოფ მეგობრებთან საქმიანი მოლაპარაკებების გასამართად. მიმდინარე მოვლენებისადმი დიდი ინტერესი ცხოვრებისეული მიზნების გადახედვისაკენ გიბიძგებთ. ახალმა შეგრძნებებმა შესაძლოა, სულიერი დაძაბულობა კიდევ უფრო გაზარდოს. გარშემო მყოფების მიმართ მეტად მომთმენი იყავით, რათა გართულებები არ მოჰყვეს სასიყვარულო ან საქორწინო ურთიერთობებს.

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
მიუხედავად აქტიური განწყობისა, ჯობს, შეამციროთ შეხვედრები, გადაადგილებები და მოგზაურობების რაოდენობა. შთაგონებითა და ენთუზიაზმით იმუშავეთ და მცირედი პრობლემების წარმოქმნისას ეცადეთ, არ აჰყვეთ ემოციებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოიმატებს თქვენი აგრესია, რაც არაერთ კავშირსა და საქმეს მიაყენებს ზიანს. უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ საქმეებში სიფრთხილეა საჭირო. მეუღლის ან საყვარელი ადამიანის ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას ნუ მიიღებთ.

**ლომი** (23.07-23.08)
კარგი დროა წინსვლისთვის და პირად ცხოვრებაში ახალი ეტაპის დასაწყებად. თავს სანაქებოდ იგრძნობთ და შეძლებთ აუცილებელი ინფორმაციის მიღებას. ადვილად გაართმევთ თავს სირთულეებს და შეინარჩუნებთ ადრინდელ ავტორიტეტსა და პოზიციებს. სასიყვარულო პარტნიორის დახმარებით შეძლებთ ოჯახის სრულად უზრუნველყოფას და ზედმეტი დანახარჯებისთვის თავის არიდებას. მოგზაურობა დადებითად ჩაივლის და სასურველ შედეგს გამოიღებს.

**ქალწული** (24.08-23.09)
თქვენი ავტორიტეტი კეთილსინდისიერებისა და შრომისმოყვარეობის მეშვეობით მნიშვნელოვნად ამაღლდება. მიუხედავად ამისა, გაგიჭირდებათ პროფესიული და სახლის საქმეების ერთდროულად შესრულება. ამიტომ იმუშავეთ ჯგუფურად, რათა გაუმკვლავდეთ დასახულ ამოცანებს. პირად ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენები დროულად გააკონტროლეთ. მოგზაურობა კი მეტად ნაყოფიერი იქნება, თუ თავს აარიდებთ მძაფრ შეგრძნებებსა და ექსტრემალურ სიტუაციებს.

## 2-8 დეკემბრის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)
მიზანდასახული და ახალი იდეებით შეპყრობილი იქნებით. გაგიუმჯობესდებათ ჯანმრთელობის მდგომარეობა და განწყობა. შესაძლოა, სარფიანი წინადადება მიიღოთ მეგობრებისგან. თავდაჯერებულობას შეგმატებთ პროფესიული წარმატება. საქმეების გამო ცოტა დრო დაგრჩებათ პირადი ცხოვრებისა და დასვენებისთვის. საოჯახო ბიუჯეტის დაგეგმვისას მოერიდეთ გადამეტებულ ხარჯებს. უცხოელებთან ურთიერთობა და როგორც ახლო ისე შორეული მოგზაურობა ბევრ სიამოვნებას მოგანიჭებთ.

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
თქვენი ენთუზიაზმი გადამდებად იმოქმედებს გარშემო მყოფებზე. სამსახურის საქმეებში წარმატებისთვის გამოიყენეთ არაორდინარული გზები და მეთოდები. დიდ მნიშვნელობას მიანიჭებთ პირად და საქმიან პარტნიორულ ურთიერთობებს. არსებული სასიყვარულო ურთიერთობა შეიძლება, სწრაფად შეცვალოს ახალმა რომანმა. შესაძლოა, თავი იჩინოს ქრონიკულმა დაავადებებმა. ავადმყოფობა იმის მიმანიშნებელია, რომ თქვენ მიერ არჩეული გზა არასწორია. დროულად მიმართეთ ექიმს.

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
თქვენ წინაშე დიდი შესაძლებლობები გადაიშლება და დროის მცირე მონაკვეთში ბევრი საქმის შესრულებას მოასწრებთ. სწრაფად და წარმატებით დაასრულებთ ყველა ადრე დაწყებულ პროექტს. ცხოვრებისეული გეგმების შეცვლით კი მომავლის იმედი გაგეზრდებათ და გაგიადვილდებათ ახალი მიზნების დასახვა. საქმიან პარტნიორებთან აქტიურად თანამშრომლობა და მათი გამოცდილებისა და ფინანსების გამოყენება საქმეში წარმატებებს გიქადით. დრო ხელს უწყობს მოგზაურობასაც.

**თხის რქა** (22.12-19.01)
საკმაოდ დინამიკური და ენერგიული პერიოდია. შესაძლოა, გაიზარდოს თქვენი შემოსავლებიც. ახალი იდეების განსახორციელებლად ადვილად იპოვით თანამოაზრეებს. თუ მეტად რეალისტი იქნებით, საფუძველს ჩაუყრით ახალ პროექტებსა და წამოწყებებს. შორეული მოგზაურობებისაგან ამ პერიოდში ჯობს, თავი შეიკავოთ. ნუ დაიწყებთ სასიყვარულო ურთიერთობას სრულიად უცნობ ადამიანებთან, რადგან ამის გამო სერიოზული პრობლემები შეგექმნებათ ძველ პარტნიორებთან.

**მერწყული** (20.01-18.02)
შესაძლოა, მიიღოთ სერიოზული ცხოვრებისეული გადაწყვეტილება, რაც თქვენს კარიერაში და სოციალურ მდგომარეობაში ცვლილებებს გამოიწვევს. სამსახურში მოსალოდნელია დაწინაურება, თუმცა, წარმატებისთვის აუცილებელია კოლეგებთან კარგი ურთიერთობის დამყარება და ჯგუფურად მუშაობა. გაიზრდება თქვენი პოპულარობაც. საქმეების სიუხვის გამო პირადი ცხოვრებისთვის შეიძლება არ დაგრჩეთ დრო. გადაადგილებებისა და მოგზაურობისას ეცადეთ, მეტი ინფორმაცია მიიღოთ.

**თევზები** (19.02-20.03)
გაიზრდება თქვენი როლი ახლობლების, ოჯახის წევრების, მეგობრებისა და ნათესავების ცხოვრებაში, ამიტომაც მოგიწევთ ერთდროულად არაერთ პრობლემაზე ფიქრი და ბევრი საქმის შესრულება. მოერიდეთ ფულის უყაირათოდ ხარჯვას და გააკონტროლეთ საკუთარი ფინანსური მდგომარეობა. სამსახურში დაწყებულმა ფლირტმა შესაძლოა, ზიანი მიაყენოს არსებულ ურთიერთობას. შორეულმა მოგზაურობამ კი შეიძლება დაგაფიქროთ საცხოვრებელი ადგილის ან სპეციალობის შეცვლაზე.



*რუბრიკას უძღვება*
***მარინა მერკვილაძე***

## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია
### 2, 3, 5 და 8 დეკემბერი

15 დეკემბერი – სავსემთვარეობა, პიკი – 13.03 საათზე;
31 დეკემბერი – ახალმთვარეობა, პიკი – 02.38 საათზე.

# რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 2 დეკემბერი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 07.10 საათზე, ჩადის 16.31 საათზე. **მთვარე** მშვილდოსნის ზოდიაქოშია. ამოდის 08.32 საათზე, ჩადის 17.01 საათზე (მთვარის მე-3 დღე იწყება 11.51 საათზე. I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 19.48 საათიდან 23.59 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** ყურადღება გმართებთ, დიდია კონფლიქტის ალბათობა უფროს თაობასა და ხელმძღვანელობასთან. კარგი დღეა ინტელექტუალური საქმიანობისთვის, შემოქმედებისთვის, მოგზაურობისთვის, სპორტული ვარჯიშებისა და ღონისძიებებისთვის, უცხოელებთან კონტაქტისთვის, უცხოეთში კაპიტალდაბანდებისთვის, ექსკურსია-ლაშქრობისთვის, პრეზენტაციებისთვის, ხელშეკრულებების დასადებად. ეფექტური იქნება სუნთქვითი ვარჯიში, წყლის პროცედურები, ფილტვების, მხრების, ხელების, მეტყველების დეფექტის მკურნალობა. არ არის სასურველი მშენებლობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, საზარდული, მენჯ-ბარძაყის ძვალი. **ქვები:** ფირუზი, ლაზურიტი, საფირონი, ლალი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის.

## 3 დეკემბერი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 07.11 საათზე, ჩადის 16.31 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (01.16) თხის რქის ზოდიაქოში. ამოდის 09.29 საათზე, ჩადის 17.58 საათზე (მთვარის მე-4 დღე იწყება 12.49 საათზე. I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 00.00 საათიდან 23.59 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** ტრავმულ-ავარიული დღეა, სიფრთხილე და ყურადღება გმართებთ. გაღიზიანებადობა მომატებულია. მოერიდეთ ალკოჰოლის მიღებას. ეფექტური იქნება კუჭ-ნაწლავის სისტემის, ფილტვების, მკერდის მკურნალობა. კარგი დღეა მგზავრობისთვის, დალაგებისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, სარესტავრაციო სამუშაოებისთვის, უძრავი ქონების, ავტომობილის ყიდვა-გაყიდვისთვის, კოლექციონერობისთვის, კარგად ნაფიქრი საქმეებისთვის. არ არის სასურველი ქორწინება, გაცვლითი ოპერაციები, ხელმძღვანელთან ურთიერთობა, მოლაპარაკების წარმოება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები, კუნთები, კბილები, კანი, მუხლები. **ქვები:** ონიქსი, ქრიზოპრაზი, აქატი, მალაქიტი, ოპალი. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის.

## 4 დეკემბერი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 07.12 საათზე, ჩადის 16.31 საათზე. **მთვარე** თხის რქის ზოდიაქოშია. ამოდის 10.18 საათზე, ჩადის 19.05 საათზე (მთვარის მე-5 დღე იწყება 13.26 საათზე. I ფაზა). **ტენდენციები:** დღეს შესაძლებელია პრობლემის მოგვარება, უთანხმოების მოწესრიგება, თავი შეიკავეთ ისეთი საქმის შესრულებისგან, რომელიც არ არის აუცილებელი. ეფექტური იქნება კუჭ-ნაწლავის, ფილტვების, მკერდის მკურნალობა. კარგი დღეა კარგად ნაფიქრი საქმისთვის, მავნე ჩვევისგან გათავისუფლებისთვის, სარესტავრაციო სამუშაოებისთვის, მანქანის ყიდვა-გაყიდვისთვის, ეპილაციისთვის, ექსპერტიზისთვის, მიწათმოქმედებისთვის, ნადირობა-თევზაობისთვის. არ არის სასურველი ქორწინება, ახალი კავშირის დამყარება, გაცვლითი ოპერაციები, ფინანსური ოპერაციები, ოფიციალურ პირებთან ურთიერთობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, კანი, სახსრები, კბილები, მუხლები. **ქვები:** ონიქსი, ქრიზოპრაზი, აქატი, მალაქიტი, მარჯანი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 5 დეკემბერი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 07.13 საათზე, ჩადის 16.31 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (08.17) მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 10.59 საათზე, ჩადის 20.17 საათზე (მთვარის მე-6 დღე იწყება 13.48 საათზე. I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 03.35 საათიდან 08.22 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** ნევროზულობა და გაღიზიანება მომატებულია. საჭის მართვისას სიფრთხილე გამოიჩინეთ. მაღალია ზოგადი სისუსტის, გულის წასვლის, ანემიის გამოვლენის ალბათობა. დღეს და ხვალ საკვებთან ერთად მიიღეთ კაკალი, ავოკადო, მზესუმზირა, თვალებს ნუ დაღლით. არ არის სასურველი ნერვიულობა, ზედმეტი ლაპარაკი, ფორიაქი, ფეხზე დიდხანს დგომა (ჯობს, იაროთ), დამაწყნარებელი საშუალებების გამოყენება. კარგი დღეა საზოგადოებრივი და ნოვატორული საქმეებისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, მშენებლობისთვის, ვაჭრობისთვის. შესაძლებელია ზოგიერთი იდეის რეალიზება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თვალები, ნერვული სისტემა, ფეხის კუნთები, ვენები. **ქვები:** საფირონი, აკვამარინი, ცირკონი, ძოწი, ნეფრიტი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.

## 6 დეკემბერი, პარასკევი

**მზე** იმყოფება მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 07.14 საათზე, ჩადის 16.30 საათზე. **მთვარე** მერწყულის ზოდიაქოშია. ამოდის 11.31 საათზე, ჩადის 21.30 საათზე (მთვარის მე-7 დღე იწყება 14.01 საათზე. I ფაზა). **ტენდენციები:** დღეს ყურად იღეთ უფროსი თაობის წარმომადგენელი ქალბატონის რჩევები, ურთიერთობისას სასიამოვნო სიურპრიზებია მოსალოდნელი. მოერიდეთ ზედმეტ ლაპარაკს, ფორიაქს, საიდუმლოს გამხელას. კარგი დღეა ნოვატორულ-რეფორმისტული საქმიანობისთვის, ინტელექტუალური განვითარებისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, ვაჭრობისთვის, ელექტრო, აირ, კომპიუტერული სისტემის მოწყობილობებისა და ტექნიკის შესაძენად, სარემონტო-სამღებრო საშუალებებისთვის, ბინის შესაცვლელად. არ არის სასურველი ნერვიულობა, ემოციურობა, ფეხზე დიდხანს დგომა, თვალების გადაღლა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნერვული სისტემა, თვალები, ფეხები, ვენები. **ქვები:** საფირონი, აკვამარინი, ცირკონი, ძოწი, ლაბრადორიტი, ამაზონიტი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 7 დეკემბერი, შაბათი

**მზე** იმყოფება მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 07.15 საათზე, ჩადის 16.30 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (13.38) თევზების ზოდიაქოში. ამოდის 11.59 საათზე, ჩადის 22.43 საათზე (მთვარის მე-8 დღე იწყება 14.10 საათზე. I ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 04.03 საათიდან 13.50 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს **პლანეტა მარსი** რეტროგრადული (უკუმავალი) ხდება, რაც შეაფერხებს ახალ საქმეებს და დაგვაბრუნებს ძველთან, ძველ პარტნიორთან, ძველ კონფლიქტთან. **პლანეტა ნეპტუნი** კი ხდება დირექტული (წინმავალი), რაც ადამიანებს გაათავისუფლებს ზედმეტი ფანტაზია-ილუზიებისგან, სიცრუისგან, ტყუილებისგან და დაუბრუნებს ჭეშმარიტ რეალობას, რწმენას. იმატებს ინტუიცია. დღეს არ არის სასურველი ნერვიულობა, ემოციურობა, საიდუმლოდ მოქმედება, ალკოჰოლის მიღება. კარგი დღეა მოგზაურობისთვის, ქველმოქმედებისთვის, ქორწინებისთვის, იურისტთან კონტაქტისთვის, კულტურული საქმიანობისთვის, შემოქმედებისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნერვული და ლიმფური სისტემა, ტერფები, თვალები. **ქვები:** ცირკონი, ამაზონიტი, ალექსანდრიტი. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის.

## 8 დეკემბერი , კვირა

**მზე** იმყოფება მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 07.16 საათზე, ჩადის 16.30 საათზე. **მთვარე** თევზების ზოდიაქოშია. ამოდის 12.23 საათზე, ჩადის 23.56 საათზე (მთვარის მე-9 დღე იწყება 14.47 საათზე. მე-2 ფაზა იწყება 19.28 საათზე). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს მშვიდად დაისვენეთ. სიყვარულისა და ხელოვნების ერთგული პლანეტა **ვენერა** გადაინაცვლებს **მერწყულის** ზოდიაქოში, რაც პარტნიორთან ურთიერთობისას გააძლიერებს თავისუფლებას, დემოკრატიულობას, სპონტანურობას, ორიგინალობას, სიახლისკენ წრაფვას და ასევე სიჯიუტეს, სულსწრაფობასაც. დღეს კარგია ქორწინება, მგზავრობა, კაპიტალდაბანდება, ქველმოქმედება, შემოქმედება. არ არის სასურველი ალკოჰოლის, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებების მიღება, საიდუმლოდ მოქმედება, ახალი საქმის დაწყება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნერვული და ლიმფური სისტემა, ტერფები, თვალები. **ქვები:** ალექსანდრიტი, მარგალიტი, ამეთვისტო. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის. **ნეგატიურია** მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

# საეკლესიო კალენდარი

**2 დეკემბერი. ორშაბათი. ღირსისა ილარიონ ქართველისა, სასწაულმოქმედისა;** წინასწარმეტყველისა აბდიასი, 12-თაგანისა; მოწამისა ვარლაამისა; ღირსთა: ბალაპვარისა და იოდასაფისა, ინდოეთის უფლისწულისა და მამისა მისისა აბენეს მეფისა; მოწამისა მამისა აზასი და მისთანა 150-თა მხედართა; მოწამისა ილიო-დორესი; ფილარეტისა, მოსკოველი მიტროპოლიტისა.

✝ **3 დეკემბერი. სამშაბათი. წინადღესასწაული ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ტაძრად მიყვანებისა.** ღირსისა გრიგოლ დეკაპოლელისა; პროკლესი, კონსტანტინოპოლელი მთავარეპისკოპოსისა; მოწამისა დასისა; მოწამეთა: ევსტათისა, თესპესისა და ანატოლისა; მღვდელმოწამეთა: ნერსე ეპისკოპოსისა და იოსებისა, მოწაფისა მისისა, იოანესი, საბერისა, ისააკისა და იპატისა, სპარსელ ეპისკოპოსთა; მოწამეთა: აზატი საჭურისისა, სასონისა, თეკლასი, ანასი და სხვათა მრავალთა მამათა და დედათა, სპარსეთს წამებულთა.

✝ **4 დეკემბერი. ოთხშაბათი. ტაძრად მიყვანება ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა.**



7 დეკემბერი - ხსენება დიდმოწამისა ეკატერინესი

✝ **5 დეკემბერი. ხუთშაბათი. შემდგომი დღესასწაული ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ტაძრად მიყვანებისა.** მოციქულთა ფილიმონისა და არქიპოსი, 70-თაგანთა და მოციქულთა სწორისა მოწამისა აპფიასი; მოწამეთა: კიკილიასი, ვალერიანესი, ტიბურტისა და მაქსიმესი; მოწამისა პროკოფი წიგნისმკითხველისა; მოწამისა მენიგნისა; ღირსისა აგაბო ისმაიტელისა; მართლისა მიქაელ მხედრისა, ბულგარელისა; კეთილმსახურისა მთავრისა მიხეილ ტვერელისა.

✝ **6 დეკემბერი. პარასკევი. მღვდელმოწამისა გრიგოლ არქიმანდრიტისა, ოსვეციმის ბანაკში აღსრულებულისა;** ამფილოქესი, იკონიელი ეპისკოპოსისა; გრიგოლისა, აკრაგანტიელი ეპისკოპოსისა; მოწამეთა სისინისა, კვიზიკელი ეპისკოპოსისა და თეოდორე ანტიოქიელისა; კეთილმსახურისა დიდისა მთავრისა ალექსანდრე ნეველისა, სქემაში ალექსისა.

✝ **7 დეკემბერი. შაბათი. დიდმოწამისა ეკატერინე ყოვლადბრძენისა, ალექსანდრიელისა;** დიდმოწამისა მერკურისა; მოწამეთა ავგუსტასი — აგვისტა დედოფლისა, პორფირი სტრატილატისა და 200-თა მხედართა; ღირსისა მასტრიდია ქალწულისა; ღირსისა სიმონ სიოგინელისა.

✝ **8 დეკემბერი. კვირა. წარგზავნა ყოვლადაწმიდა ღმრთისმშობლის ტაძრად მიყვანების დღესასწაულისა.** მღვდელმოწამეთა კლიმენტი რომის პაპისა და პეტრესი, ალექსანდრიელი მთავარეპისკოპოსისა; ღირსისა პეტრე მდუმარისა.




საქართველო- ისრაელის ერთობლივი კლინიკა

GIDMEDI GEORGIA - ISRAEL JOINT CLINIC

გიდმედი

გქონდეთ ჩვენი იმედი!

ნებისმიერი ქირურგიული და უროლოგიური პათოლოგია

თბილისი, ლუბლიანას ქ. 2/6, მეხუთე სართული. 591 35 33 55

მადლობა მკურნალ ლამარა თოდუას!

თოდუების საგვარეულო მალამოებითა და წამლებით ქალბატონმა ლამარამ ათასობით ადამიანი გამოაჯანმრთელა. ის 100-პროცენტიანი გარანტიით კურნავს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, დარჩენილ ნაწიბურებს, ნაწოლებს, გამაგრებულ ნანემსრებს, თმის ბუდობრივ ცვენას, ბუასილს, დისბაქტერიოზს (შეკრულობას, აშლილობას), თმის ჩაბრუნებას. მისი მალამოები სწრაფად შეგიხორცებთ დაჩირქებულ ჭრილობებს (დიაბეტიანებს), მოგირჩენთ ჰაიმორიტს (ქრონიკულს), მოგაშორებთ ქერტლს, ტილებს (ერთი პროცედურით), სწრაფად და წარმატებით კურნავს სოკოვან დაავადებებს, ფრჩხილების გასქელებას, დახეთქილ ქუსლებს, ჩირქოვან გამონაყარს კანზე, მწერების ნაკბენს (პირველივე წასმაზე ქრება ქავილიც და სიწითლეც).

ტელეფონები: 599-16-10-82, 593-99-62-52, 230-62-52



მაღაზია «ბუკვიცა»

ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს1945 წლამდე

574-73-46-96, 243-01-17, 555-68-82-90

მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.

იმედის კლინიკა

თბილისი, დიდი დიღომი, მირიან მეფის 10ა

imediclinic.com

* ორსულ ქალთა კონსულტაცია
* სამშობიარო სახლი
* პედიატრიული კლინიკა
* გინეკოლოგიური დეპარტამენტი

პროფესიონალიზმი, უახლესი აპარატურა, ოჯახური გარემო

სამშობიარო: 032 229-56-50

პედიატრიული კლინიკა: 032 223-85-80




**32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:**

თარაზულად: 3. ბოსტანა; 8. მამონა; 11. ბურუსი; 12. მდელო; 13. ზარნაშო; 14. რენო; 15. მონაკო; 16. ცისკარი; 17. ნიაგარა; 18. დიროლი; 21. ნიელო; 22. დეკა; 24. კილიტა; 27. ნაიკი; 28. მელანჟი; 29. ბიჭი; 32. რიტმიკა; 33. აბატი; 34. ანგლეზი; 35. სიდრი; 36. ლონდონი; 37. დროშა; 38. აბაშიძე; 42. ლიანა; 43. სადილი; 46. პინა; 48. ტუპოლევი; 49. პიეტა; 51. ქარიბდა; 52. რემი; 53. სონატინა; 57. რადიო; 58. მილედი; 59. დიახ; 60. მინოტავრი; 61. სკოტი; 62. საპონი; 63. ამინ.

შვეულად: 1. რუპორი; 2. სუნამო; 3. ბიზონი; 4. სირტაკი; 5. ალაზანი; 6. ამოცანა; 7. სექსტეტი; 8. მონაგონი; 9. მირიადი; 10. ნანსუკი; 18. დამბაჩა; 19. რელიგია; 20. ლანდები; 23. ეკვატორი; 24. კირილე; 25. ლიტანია; 26. ტეილორი; 29. ბასილი; 30. ჭადრაკი; 31. სიგარა; 33. აიდა; 39. ბრუნო; 40. შკოდა; 41. ძმები; 43. სიქა; 44. დერგი; 45. ლიბრეტო; 46. პაროდია; 47. ნამგალი; 49. პარისი; 50. ენდრო; 53. სუმო; 54. ნანა; 55. ტოტი; 56. ნევა; 58. მის.

სპარტაკიმონოლითიუმიაკიდომინოტავრიასულიერი
ტურნემოცვიკივერიკოდალალიდიალოგიკაბალაგანი

| მონათა აჯანყების ბელადი | მთლიანი ქვის ლოდი | ესკიმოსების ნავი | სამასკარადო სამოსი | ყირიმის ნახევარკუნძულის ძველი სახელი | სულდგმული |
|---|---|---|---|---|---|

| ძვ. ბერძ. ქალაქი-სახელმწიფო | იაპონური სამოსი | ქიმიური ელემენტი, ლითონი | ვაზის წყილ-მტვენიანი რქა | მეფე მინოსის ურჩხული | ქალიშვილი | ნაცია |
|---|---|---|---|---|---|---|



ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 3. ბოსტნეულის მავნებელი მწერი, მახრა; 8. სიმდიდრის ღვთაება ძველი აღმოსავლეთის ზოგ ხალხში; 11. ნისლი, ჯანღი; 12. მწვანით მოსილი მინდორი; 13. დიდი ბუ; 14. ფრანგული ავტომობილი; 15. ქალაქი საფრანგეთში; 16. ალიონი, განთიადი; 17. მდინარე და ჩანჩქერი ჩრდილოეთ ამერიკაში; 18. ერთგვარი სალეჯი რეზინი; 21. მოსავადების ტექნიკა; 22. სიმებიანი მუსიკალური საკრავი; 24. ფოლგა; 27. ამერიკული სპორტული ნაწარმის ფირმა; 28. სხვადასხვა ფერის ძაფის ქსოვილი; 29. მამრობითი სქესის მოზარდი; 32. მოძღვრება რიტმის შესახებ; 33. კათოლიკური მონასტრის წინამძღვარი; 34. ძველებური ევროპული ცეკვა. 35. ვაშლის ღვინო; 36. დიდი ბრიტანეთის დედაქალაქი; 37. ალამი, ბაირაღი; 38. ქართველი პოეტი ირაკლი ...; 42. ხვიარა მცენარე; 43. შუადღის პურის ჭამა; 46. სასწორის თეფში; 48. რუსი ავიაკონსტრუქტორი; 49. ჯვრიდან ჩამოხსნილი იესოს დატირების ნახატი; 51. სცილას მეწყვილე ბერძნულ მითოლოგიაში; 52. რომულუსის ძმა; 53. მცირე სონატა; 57. მაუწყებლობის საშუალება; 58. ლორდის მეუღლის ხსენება ინგლისში; 59. დასტურის სიტყვა; 60. მეფე მინოსის ურჩხული (მით.); 61. ინგლისელი მწერალი; 62. ჰიგიენური საშუალება; 63. ლოცვის დასკვნითი სიტყვა.

ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1. ხმის გამაძლიერებელი კონუსური საგანი; 2. პარფიუმერიული ხსნარი; 3. ჩრდილოეთ ამერიკაში გავრცელებული ხარი; 4. ბერძნული ცეკვა; 5. მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში (კახეთში); 6. გაანგარიშებით ამოსახსნელი საკითხი; 7. ექვსი შემსრულებლისგან შემდგარი ანსამბლი; 8. ის, რაც მოიგონეს; 9. ბევრი, უთვალავი; 10. ბამბის წმინდა ქსოვილი; 18. ხელით ცეცხლსასროლი იარაღი ძველად; 19. სარწმუნოება; 20. დ. ბანოვანი — „შორეული ..."; 23. წარმოსახვითი წრეხაზი — დედამიწას ყოფს ჩრდილოეთ და სამხრეთ ნახევარსფეროებად; 24. კირილიცას ერთ-ერთი ავტორი; 25. საყოველთაო ლოცვა; 26. მსახიობი ელიზაბეტ ...; 29. ბიზანტიის იმპერატორი; 30. თამაში 64-უჯრედიან დაფაზე; 31. თამბაქოს ნაწარმი; 33. ჯ. ვერდის ოპერა; 39. იტალიელი ასტრონომი ჯორდანო ...; 40. ჩეხური ავტომობილი; 41. თ. დოსტოევსკი — „ ... კარამაზოვები"; 43. ძალა, ღონე; 44. ქვევრის მოყვანილობის დიდი ქილა; 45. ოპერის სიტყვიერი ტექსტი; 46. სატირული ან კომიკური მიბაძვა; 47. სათიბი იარაღი; 49. ტროას მეფის შვილი, რომელმაც მოიტაცა მშვენიერი ელენე; 50. კვერცხების შესაღები მცენარე; 53. ჭიდაობის სახეობა; 54. ე. ზოლას რომანი; 55. იტალიელი ფეხბურთელი; 56. მდინარე სანკტ-პეტერბურგში; 58. ქალიშვილო! (ინგლ.).

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| მოგზაური ... ჰეიერდალი | ნაუტილუსის კაპიტანი (ლიტ.) | ამერიკელი რეჟისორი | ... ანჯაფარიძე | გრძელი ნაწნავი | საუბარი ორ პირს შორის | მონური დამოკიდებულება | სიგანე |
|---|---|---|---|---|---|---|---|

| მსახიობის საგასტროლო მოგზაურობა | ბუჩქი, ისხამს შავ-ტკბილ ნაყოფს | ძველებური სამხედრო ქუდი | ხეკაკუნა ფრინველი | მცირე აზიის ძვ. სახელწოდება | მსჯელობის და დასკვნათა თანამიმდევრობა | უხამსი სანახაობა |
|---|---|---|---|---|---|---|

## ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲔᲑᲘ (ᲐᲠ) ᲮᲣᲛᲠᲝᲑᲔᲜ...

- სასიამოვნო, სასიკეთო დღე.
- პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.
- მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.
- ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.
- მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.
- მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.
- მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.
- მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.
- რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.
- ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.
- შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




- რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.
- შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.
- კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.
- მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.
- წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.
- სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.
- ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.
- შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.
- შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.
- გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.
- იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.


ᲓᲐᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘᲐ 1992 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲛᲐᲠᲢᲡ

ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲖᲔᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ

ᲐᲡᲐᲕᲐᲚ ᲓᲐᲡᲐᲕᲐᲚᲘ

2024 ᲬᲚᲘᲡ 2 – 8 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ №50 (1568)

ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

2 009882 637296

მედიაკორპორაცია "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲚᲐᲨᲐ ᲜᲐᲓᲐᲠᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲒᲖᲐᲕᲜᲔᲗ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚ ᲤᲝᲡᲢᲐᲖᲔ:

**mail@asavali.com**

„ასავალ-დასავალის" ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**

ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე: **www. facebook.com/Asavali.com**

გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის" სტამბაში.**


